

619

№ 12 ԲՅՅԵՁՅՈՒՆ 1964

1964





საქპათილ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოწონება და აქტიური მხარდაჭერა ჰპოვეს. სესიამ განიხილა და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმა და ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტი. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განააზღვრავენ ჩვენი დიდი და სახელგანთქანი საქმეების მასშტაბებსა და გაქანებას მომავალი, ახალი წლის მანძილზე.

ზრუნვა ადამიანზე — ეს სოციალისტური საზოგადოების უპირველესი და წმინდათაწმინდა კანონია; ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამას. 1965 წლისათვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ზრდა ნაციონალური შემოსავლისა — იგი იზრდება რვა პროცენტით, ნაცვლად წლევანდელი სუთი პროცენტისა; ასეთი სწრაფი ტემპი ნაციონალური შემოსავლის გადიდების სფეროში ერთი წლის მანძილზე — მართლაც უმაგალითოა და აღმაფრთოვანებელი. ნაციონალური შემოსავლის გადიდებაზე დაფუძნებული ზრდა ბიუჯეტისა, რომელიც აღწევს თითქმის ას მილიარდ მანეთს.

1965 წელს ჩვენი სამშობლო მოიპოვებს ახალ ბუმბერაზულ წარმატებებს მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგებაში. დიდი და წარმატება ამოცანები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა 1965 წელს უნდა გადაჭრას. სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი ცხოვრების დონეს, კიდევ უფრო ლამაზი, ბედნიერი და მდიდარი იქნება ცხოვრება საბჭოთა ადამიანისა, რომელიც გზას უკავავს მთელ კაცობრიობას ნათელი და ბრწყინვალე მომავლისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ — ესაა მშვედობიანი მშენებლობის გაშლილი პროგრამა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამა; ამ კანონებში გამოხატულია ლენინის დიდი პარტიის მუდმივი, დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის.

მომავლის მტკიცე რწმენით, ალტაცებით და ნათელი იმედებით ხვდება ჩვენი სამშობლო ახალ წელს, რომელიც კიდევ უფრო მიგვაახლოებს მთელი კაცობრიობის სანატრელ მომავალთან — კომუნისმთან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 12 (161) დეკემბერი 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოვადივიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სახეობრივი ჟურნალი



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. ნ. კოსიგინი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ისევ აღდგენილი, მესხი ვარ,
მზე ახლად გადმომესხია...
რომ ახალ დიდებისათვის
მესხმა შესხმა ვთქვა ახალი,
თქვენ დამილოცეთ მე ფუძე,
ძველთაგან სახელმძღვანელო!

გიორგი ლეონიძე

მესხეთ-ჭავჭავეთი. ისტორიული ცნობებით ირკვევა,
რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის ამ
მხარეში ათეულობით სოფელი იყო, რომლებიც
მტკიცედ იდგნენ თავიანთ რაჭულზე და ფარულად
ასრულებდნენ ქრისტიანულ წესებს.
1821 წელი სამარადისოდ დარჩება მესხეთ-ჭა-
ვხეთის ისტორიაში, როგორც სასახარულო თა-
რილი. ამ წელს ჩვენმა ხალხმა თავისუფლების
დროშა ააფრიალა მთელ საქართველოში. როგორც
ყველგან, ამ კუთხეშიც დაიწყო ახალი ერა, სიხა-
რულისა და ბედნიერების ერა, დედსაქართველოს-
თან ერთად აყვავებისა და განუხრელი წინსვლის
ერა.

სამირამიდის ბაღავი ფოცხოვა

ახალციხეს გავცდით და ფოცხოვის ხეობას ავე-
ვით... არ ვიცით, სადმე თუ არის კიდეც ასეთი
თავლწარმატი ხეობა, განსაკუთრებით კი შემოდ-
გომის მიწურულს. მოდის და მოქუხს ლოდებზე
ფაფარაყრილი ფოცხოვი, რომელშიც მხიარულად
დგაფუნებენ კალმახები. მის გაღმა-გამოღმა ხუჭუ-
ჭა ბაღები და ატეხილი ქალებია, რომელთა შე-
ყვითლებულ-შეწითლებული ქორები აქეთ-იქით
ამართულ რუს მთებს ოქროსფერად დაფენიათ მკერ-
დებზე.

ჰო, იმას ვამბობდით... ახალციხის იქით, ფოცხო-
ვის ხეობას რომ აშუვეებით, მის მარცხენა მხარეს
ერთ კარგა მოწრდილ, ქალაქივით ნაგებ-ნაკეთებ
სოფელს დაინახავთ. ეს სოფელი ვალეა.

ბევრს ალბათ იგი ხრიოკი და უღიმჯამო ჰგო-
ნია. ალბათ იმითომ ჰგონია, რომ ადრე მატარებელ
„თბილისი-ვალეს“ ფანჯრებზეა შემოჭრილი ვაგონებს
რომ შეხედავდა, უნებურად ვალეზეც ასეთი უსი-
ხარულო წარმოდგენა ექმნებოდა. ჩვენც ასე გვე-
გონა. ვალემ კი ერთბაშად მოგვხიბლა თავისი ფარ-
თო ქუჩებით, ავროს ორსართულიანი, კოპწია სახ-



ახალქალაქის მუსიკალური სკოლის პედაგოგი ამე-
ცაღინებს მეშვიდე კლასის ფრიადოსან მოსწავლეს.

1828 წლის 15 აგვისტოს საქართველოს დედა-
ქალაქში უჩვეულო წიგნი იყო. თბილისელებმა ის
ის იყო მიიღეს ცნობა, რომ რუსმა და ქართველმა
მხედრებმა, გენერალ-ფელდმარშალ პასკევიჩის მე-
თაურობით დაამხეს ახალციხის საფაშო და მესხეთ-
ჭავჭავეთი განათავისუფლეს. არტილერისტო, რომ-
ელმაც ნაშგალა მთვარე ჩამოაგდო ახალციხის სი-
მაგრეზე, იყო ახალგაზრდა ქართველი პოეტი და
მხედარი გრიგოლ ორბელიანი.
მესხეთ-ჭავჭავეთი ძველთაგანვე საიმედო ფარად
ელდა საქართველოს. შემართული ხმლითა და ვაჟკა-
ცური მკერდით პირველი უღობავდა გზას მტკვრის
ხეობისაკენ დაძრულ მტრის ჯარებს.

მესხეთ-ჭავჭავეთის მადლიან მიწაზე დაირწა ძველი საქართველოს კულტურის აკვანი. აქ შეიქმნა ხელოვნების დიდებული ძეგლები, რომლებსაც დღესაც ალტაცებაში მოჰყავს ადამიანი. მესხეთ-ჭავჭავეთის მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღმოცენდა და გამოხივრდა ჩვენი ერის სულიერი საგანძური — ქართული კლასიკური მწერლობა.

ტყუილად როდი ამბობდა ილია ჭავჭავაძე ამ კუთხის შესახებ: ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულია. ცნობილი მკვლევარი მოსე ჭანაშვილი წერდა: „მესხეთი საქართველოსათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“.


მამა-პაპათა ძვლებით მოკირწყლულ მესხეთ-ჭავჭავეთის მიწაზე სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერის სასიკადაულო შვილები: კათალიკოსი არსენ დიდი, ბასილ ზარზმელი, გიორგი მერჩული, გრიგოლ ოშკელი, ექვთიმე მთაწმინდელი, მიქელ მოდრეკილი, იოანე მტკვარია...

აქ ქმნიდნენ თავიანთ „ხელი-ხელთ საგოგამანებელ მარგალიტებს“ — დიდი რუსთველი და ჩანჩუხაძე, შავთლი და იმრაველი...
მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს მესხეთ-ჭავჭავეთის ცაზე სისხლში ნაფორი ოსმალების ნახვარსითვარე აკიაფდა. 1578 წელს სულთანმა ისარგებლა მტრებთან ბრძოლებში დასუსტებული საქართველოს უილაჯობით და მესხეთ-ჭავჭავეთი სამშობლოს მოსწყვიტა.

დაპურობილ კუთხეში მტერი ცეცხლითა და მახვილით შეუდგა თურქული ენისა და ისლამის გავრცელებას. საუკუნეთა მანძილზე მტრები ცდილობდნენ მეტრძოლი სული ჩაეკლათ ქართველებში, დაევიწყებინათ მათთვის ეროვნული ტრადიციები, შეებლინათ ყოველივე მამა-პაპური და წმინდათა წმინდა.

1595 წელს თურქების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერისათვის ირკვევა, რომ მესხეთ-ჭავჭავეთის ბაღ-ვენახები უკვე გაპარტახების გზაზე იყო დამდგარი და სოფლები თანდათან იცლებოდა ხალხისაგან.

„გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ ნათქვამია, რომ მესხეთის 1.100 სოფლიდან იმ დროისათვის მხოლოდ 876 სოფელში ცხოვრობდა 11-დან 51-მდე კომლი, 80 სოფელში 1-დან 11-მდე კომლი, 296 სოფელი კი მთლიანად უკაცრიელი იყო.
შინც საბოლოოდ ვერ გასტეხა მტერმა წილში



ფოტოები
01. არჩხაძის

ლებით, ფარდავებით მოხატული ბაღა-ბაღებითა და ვალელების პირნათელი, სულნათელი ღიმილით.

შინც რატომ ჰქვია ამ სოფელს ვალეო, იკითხავთ. ჩვენც ვიკითხეთ და ასე აგვიხსენეს: ამ ადგილას ოდესღაც მონათა გასაყიდი პუნქტი ყოფილა, სადაც ქართველ მეზობლებს თურქებისათვის მისასყიდად თავიანთი ყმები მოჰყავდათ. გაყიდული ყმების ერთ ნაწილს ადგილობრივი მკვიდრნი უკანვე პარებდნენ, რის გამოც მათი ფასი ვალად ედებოდათ და ისინი უყოყმანოდ იხდიდნენ ამ ვალს. სოფელსაც ამიტომ შეერქვა თურმე ვალე. ალბათ ამ სიკეთისაგან იყო, რომ სანთელ-საქმეველმა თავისი გზა არ დაკარგა, ეს სოფელი ათას ჰირ-ვარამს ეკრავაუციებლად გამოატარა და შიგროგორც იტყვიან ხოლმე, მადლი და ბარაქა დაატრიალა.

— ახლა აღარც მტრის ვალში ვართ, აღარც მოყვრისა, უბატონოდ კაცი მზას ვერც გავცემს, — იცინის ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ კაკაჩიშვილი.

საოცარი კაცია სიმონი. სამოცი წლის არის და ისეთი სიცილი აქვს, ყმაწვილ კაცს შეშურდება. ტანად ახოვანი, მარჯვე და ომანიანი. მზისა და ქარისაგან სახე ყავისფერი აქვს, მსხვილნაკვებია, ღრმა ნაოჭებით დასერილი; სიმონი აქაურ კოლმეურნეობას სათავეში უდგას მისი დაარსების დღიდან.

ამ სოფელში კი დიდი თუ პატარა ყველა შრომის ჯარისკაცია. აი თუნდაც კოლმეურნეობის ბუღალტერი მია ნიკალა ავიდოთ. ნიკოლოზ გოზალიშვილი ამ კოლმეურნეობის დაბადების დღიდან ამოუდგა მხარში სიმონს და დღემდე ერთგულად ეწევა მის გვერდით ჰაპანს. ანდა აი, სტეფანე გოზალიშვილი, რომელმაც მარტო წელს ათას ასზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა, ან სიმონ ხიოთარიშვილი, კოლმეურნეობის პარტოგანიზაციის

მდივანი, გიორგი ჩიტაშვილი, მეზადე, და ვანო გოზალიშვილი, მეზადეობის ბრიგადის ხელმძღვანელი. რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა. ან მარტო ჩამოთვალა რა ბედენაა, როცა მთელი სოფლის ნაშრომ-ნაამგარი ისეა ძია ნიკალას სქელ დავთრებში ჩაიწიწი-ჩაგვირისტებული, რომ მართლაც მტერს თვალებს დაუყენებს და მოყვარეს კი გულს გაუხარებს.

აი ახლაც ნიკალამ ცხვირზე გაიღო თავისი ადამისდროინდელი სათვალე, დინჯად გადაისვა ხელი უღვაშებზე და ისე სათუთად გადაშალა საბუღალტრო წიგნი, როგორც ალბათ ოდესღაც მეზადეანე გადაშლიდა თავის ხელნაწერებს. გადაშალა და დაიწყო: ჩვენს კოლმეურნეობას ორი ათას ას მექტარზე მეტი სავარგული მიწა აქვს, აქედან სახნავი ექვსასზე მეტი, ბალი კი ორასზე მეტი მექტარია.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი ორას სამოცდახუთ ათას მანეთს აჭარბებს. ჩვენი მთავარი დარგები კარტოფილი და ხილია. ჰოდა, წელს სახელმწიფოს კარტოფილი გეგმით თავთაღისწინებული სამას ორმოცდათხუთმეტი ტონის ნაცვლად ათას ტონამდე მივიყიდეთ, ხილი კი — ას ორმოცოც ტონის ნაცვლად ორასი ტონაა. ჰო, მართალი, იმსაც გეტყვით, რომ ამ პერიოდში შრომადღის თვითღირებულებამ ორ მანეთსა და ოცდაათ კაპიკს გადააჭარბა.

გაჭკრა-გამოჭრა საანგარიშოს ძია ნიკალამ. თავმჯდომარე კი მოუთმენლად წრიალებდა ოთახში, პაპიროსს ექაჩებოდა და ცოტა არ იყოს ჭავრობდა.


— მოჰყვება ახლა... შენ იმას რატომ არ ეუბნები, საწყობში რომ ამდენი კარტოფილი გვიყარია და კაცი კი არ ფიქრობს მის წაღებას.

გაღმოგვიხედა, უცებ გაიღიმა, თითქოს ელვამ გაანათა მისი სახეო, და ისევ შეიკრა წარბი.
— ვაშლისა არ იყოს... ჭერ რაღაც ოცდაათიოდე მექტარი ისხამს და შემსყიდველ ორგანიზაციებს აქამდე ვერ მოუხერხებიათ მისი გატანა, გარეთ გვიწვივა სავსე ყუთები, არა და, ორასივე მექტარი რომ ნაყოფს მოგვეცემს, მერე რაღა დღეში ჩავვაგაღებენს!

— რაც თავი მახსოვს, სულ ასეთი დაუდგრომელია ეს კაცი, — გვეუბნება ნიკალა და სათვალის შემოდან ღიმილით შემაყურებს კაკაჩიშვილს, — ამ საყვედურებს არა ჯობია, სიმონ, საკუთარი თვალით ინახულონ ყველაფერი? თუნდაც, აი, ჩვენი ბაღები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის
სს. სს. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ჩვენ ახალციხეშივე უფრო გვიკონდა მოკრული ვალდებულება საოცარ ბაღებზე, რომლებიც მათ ფოცხვის პირას ჰქონდათ გაშენებული, და ნიკალას სიტყვებს ჰაზინევი ჩავიხსენებთ ხელი.

მართლაც არ შეიძლება არ გავაოცოთ ამ ბაღებში, უფრო კი იმ უდიდესმა შრომამ, ღმერთებთან ამირანის შექმნისას რომ მოვავლინებთ. შეზღოვან ვალდებულება ჰქონდათ, შეზღოვან მძიმე ბრძოლაში და გაუმარჯვიათ. მერე და როგორ გაუმარჯვიათ!

აბა, წარმოიდგინეთ მდინარის პირას უწარმაზარი რიყე, სიგრძით, რაც სოფელს ჩაიტანს, იმხელა, სიგანით — თითქმის ნახევარი კილომეტრი. ადიდებოდა მდინარე, მთებიდან ქვეყნის ქვესა და ღორღს ჩამოიტანდა და დახვავებდა ამ რიყეზე, თითქოს ჩაქოლვით ემუქრებოდა სოფელსო. უთმინეს ვალდებულება, უთმინეს და ერთ მშვენიერ დღეს შეერკინენ კიდევ გადარეულ ფოცხვს. ქუდზე კაცი გამოვიდა მდინარისთან საომრად. ჩაუჭედეს ნაპირებს გასწვრივ ვეება ბოძები, ჩაუყარეს ფიჩხი და ლოდები.

მაგრამ არ კადრულობდა ვიწროდ სიარულს უხსოვარ დროიდან გაღალატებული ფოცხვები, მოდიდებოდა, თავს აიწყვეტდა და მღვრიე ტალღებს გაატანდა ხალხის ნაშრომ-ნაოფლარს. ისევ შეეჭიდებოდნენ ვალდებულები ფოცხვს. ბოლოს მეზობელ კლდეებს გული გამოუფუფურეს და იმ ნაკლდეგებით ამოუშენეს ფერდები, ამოუშენეს და კიდევ წამოაჩოქეს, გატხეს და დაიმონეს. მერე ამ რიყის ამოსავსებად ზიდეს მიწა, ლამი, ნაკელი და ას ოც ჰექტარ ნარიყალზე ისეთი ხეხილი გააშენეს, ავ თავს არ დაენახებოდა. სამნახევარ კილომეტრზე გასდევს ფოცხვს ჰებირი, ერთ ხუთასობად მეტრსაც ახლა მოათავებენ და მდინარისთან ბრძოლაში ამით დამთავრდება.

თვალი შევასწარით: იღვა თავმჯდომარე, მაღალი, ახოვანი, და ვაშლის პატარა, ათრთოლებულ ნერგს საოცრად ნაზად ეფერებოდა მსხვილი, ხაოიანი თი-

თებით. რომ იგრძნო, ვუცქეროდით, უცებ დაბალა ხელი და ღიმორეულმა გამოსწია ჩვენსკენ.

— ამ ნარიყალზე ცამეტი ათასზე მეტი ძირი ვაშლი გვიდგას, — მოგვამხა შორიდანვე, — სამოთხე წელიწადში ედემივით აუვავდება აქაურობა. მერე რა ვაშლი მოვა! რამდენი მოვა! — მას აღტაცებისაგან თვალები გაუფართოვდა და ჩვენც მხოლოდ ახლა შევნიშნეთ, რომ ეს თვალები ცისფერი იყო, საოცრად ახალგაზრდული და ცისფერი, ღრმა ნაოჭებით დასერილი, უყავსფერ სახეზე. — ანგარიშის საქმე არ არის, — მოლუნა თითები სიმონმა, — ორ წელიწადში ძირზე ათ-თუთმეტ კილოგრამს მოგვრეფთ, ხუთ წელიწადში — ორმოც ორმოცდაათ კილოგრამს, მეთორმეტე წელიწადს კი თვითუფლი ძირი ნახევარ ტონა ვაშლს მაინც მოგვცემს. ჩვენს მსხმობარე ბაღში ზოგი ხე მთელ ტონა ვაშლს იხსამს. ჰოდა, ცამეტი ათას ძირზე რომ... არა, თუნდაც ათი ათასი ძირი იყოს, თითოეულ ნახევარი ტონა რომ მივიღოთ, ეს რამდენი ვაშლი მოგვცემა, მა?

სიმონს თვალები უბრწყინავს. მერე კოლმეურნეები გვიახლოვდებიან და სიმონი სათითაოდ გვაცნობს მათ. ეს ივანე გოზალიშვილია, მებაღვთობის ბრიგადის ხელმძღვანელია, ესენი კი მისი ბრიგადის წევრები: გიორგი ჩიტაშვილი, ანტონ გოზალიშვილი, პოლიკარპე ხითაროშვილი, ვახტანგ გოგიაშვილი და შოთა ჭონაშვილი...

— აბა, შეხედეთ, რით არ არიან ამირანები, ბაღრები და უსუფები! — იცინის სიმონი, — რა ვიცისე მგონია, რაც ჩვენს ზღაპრებში ვუყვაცებოდა, უწელო ამ ბრიგადაშია თავმჯდომარე-მეთქი, თორემ ამ ბრიგადის ახე როგორ გააღინდნენ ვაშლის წვენს.

სწორედ ამ ბრიგადას წამოუწყია ჰებირის ამბავიც. ეს აზრი პირველად ბრიგადის ხელმძღვანელს ვანო გოზალიშვილს მოსვლია. უფიქრია, უფიქრია და თავისი ბრიგადის უხუცესი წევრის პაპა ანტონისთვის გაუწვდია. მერე ორივე ბრიგადას დასთანხმებოდა და იმავე დღეს კოლმეურნეობის თავკაცებისთვის გაუშხელიათ განზრახვა. სიმონ კაკაჩიშვილსა და პარტოგანიშვილის მდივანს სიმონ ხითაროშვილს მაშინვე მხარი დაუჭერიათ მათთვის. ამბობენ, იმ დამეს ეს ორი სიმონი ძია ნიკალასთან დამხმარან და გათენებამდე ანგარიშობდნენ რალაცასო. საერთო კრებაზეც გაუტანიათ ჰებირის საკითხი, მოუწონებიათ ვანოს აზრი და საქმის დაწყებაც გადაუწყვეტიათ.

ჰოდა, მესხები რის მესხები იქნებოდნენ, ეთქვათ და არ გაეკეთებინათ.

ახლა მთელმა რაიონმა აიტაცა მათი ინიციატივა. რაიონის ხელმძღვანელების თაოსნობით ვალეში მოეწყო ეკონომიური კონფერენცია, რომელსაც ახალციხის უფრო კოლმეურნეობის თავმჯდომარე და აგრონომი დავისწო. აგარის, წინუზნის, არალისა და უდის კოლმეურნეობები მაშინვე შეუდგნენ ფოცხვზე ჰებირების აგებასა და ნარიყალზე ბაღების გაშენებას. ნეიტრალურ ზონებში ჰებირების ასაგებად კი წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიმართეს დახმარებისათვის.

დავით რომანიშვილს, წყალთა მეურნეობის ახალციხის სამმართველოს უფროსს, ახალი საქმე გაუჩინდა, დღეისათვის უკვე გააკეთეს ოცდაათი კილომეტრის სიგრძის ჰებირი და რვაას ჰექტარამდე ახალი მიწა აითვისეს. ამასთან, ეს ჰებირები ადრე გაშენებულ ბაღებსაც იცავს დატბორვისაგან. სამმართველოს კიდევ დარჩა სამი ათასი კუბომეტრი მიწის სამუშაოები, რომელთა დამთავრების შემდეგ დამატებით კიდევ ექვსასამდე ჰექტარ მიწას აითვისებენ. მთელი ამ სამუშაოების ხარჯების ორმოც პროცენტს სახელმწიფო იხდის, სახელმწიფოვე ეხმარება ახალციხელებს საშენი მასალითა და მექანიზმებით.

— აბა, ბიჭებო, მთელი რაიონი ავაფორიაქეთ და არ შევიცხვივით თავი, — ამხნევეს და ახალიხებს სიმონი თავის თანაოფლებლებს.

ჰო, მართლა, ახლა, ამ დეკემბერს, სიმონს დაბადებიდან სამოცი და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის ოცდაათი წელი უსრულდება და ვალელები იუბილეს გადახდას უპირებენ. რა თქმა უნდა, მრავალ თბილსა და კარგ სიტყვას იტყვიან ამ იუბილზე, იტყვიან, აქ დაიბადა და აქ დაბერდა კაცია. ამ სოფელს და ამ ხალხს შეაღია მთელი თავისი ჯანო, სამამულო ომშიც იყო და ორი, წელიწადი ომობდა, რომ ლენინისა და წითელი დროშის ორი ორდენით არის დაჯილდოებული და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის თორმეტი მედლით, რომ ოთხი შვილი ჰყავს, ოთხივე ერთი მეორეზე უკეთესი და ოთხიც სულში ჩასამჯერნი შვილიშვილია, იტყვიან, რომ... რას აღარ იტყვიან მის ცხოვრებაზე, მაგრამ იმ წუთებში აღბათ ბერძი



ახალციხის აქატ-ლიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დირექტორი რევაზ ქენჭაძე (მარცხნივ) და მოწინავე მხგრველი გრიგოლ სააკიანი.

ვერ გაიხსენებს ყველა მის დარდას და ზრუნვას, იმ უძილო ღამეებსა და საკუთარ გულთან ჰიდილს, იმ უთქმელ სიხარულსა და ყველასაგან დაფარულ წამიერ უღონობას, საკუთარ თავთან იმ მკაცრ ანგარიშგებას, რამაც მისგან ხალხს მისცა ის, რისთვისაც დღეს ასეთი მაღლობის გრძობით ხვდებიან და რის გამოც ასე ზედნიერია თვითონ.

ვაშო, შვილივით ნაზარლო!

ეს ამბავი 1957 წელს მოხდა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა წიქვაძე ახალციხეში მოწყობილ რაიონულ სამრეწველო გამოფენას ათვალთიერებდა. მეცნიერის უყრადღებო მოულოდნელად მიიპყრო დიატომიტის პატარა ნიმუში, რომელზეც ოვალური ფორმის კიდებდაკბილული ჭედ იყო აღმჩენული.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან მოვიდა ცნობა, რომ საანალიზოდ გადაგზავნილ ნიმუშზე პრესტორიული ხანის უფრძის ფოთლის გამოასხულებდა იყო აღმჩენული.

შორეულ წარსულში მესხეთის ფერდობები ბაღებითა და ვენახებით იყო დაფარული.

მეექვსე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერდა: „მესხეთში, ამ თემის მთავარიანობის მიუხედავად, აქაურ მკვიდრთ ხეხილიცა და ვენახებაც გაუშენებიათ და ხილნაყოფიც საქაოლ აქვთ“.

მესხეთ-ჭავჭავეთის მთაცების შემდეგ დამპყრობლებმა ბარბაროსულად დაიწყეს ზვრების გაჩანაგება. საუკუნეთა მანძილზე მესხეთში დაბლარი ვაზის ხსენება მოისპო. მესხი გლეხკაცი თანდათან გადაეჩვია ამ მაღლიანი მცენარის მოვლა-პატრონობას და მხოლოდ ვადმოცემითა იცოდა, რომ მისი წინაპრები საუკეთესო ხარისხის ღვინის დაუენებითაც იყვნენ ცნობილი.

მამაპაპისეული ვაზის ხელახალი აღორძინება მესხეთის მიწაზე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მთავრობის გადაწყვეტილებით ახალციხეში შეიქმნა საქართველოს სსრ მებაღეობა-მევენახეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის დასაქრდენი პუნქტი, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა ვაშლად აღდგომბრივი ვაზის ჰიშების გამოსავლინებლად და აღსადგენად.

საკავშირო ამბელოგრაფიაში მოყვანილი ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირში ამჟამად 1.180 ვაზის ჰიშია აღწერილი. აქედან აწერბაიჯანში აღნუსხულია 200 ადგილობრივი ჰიში, სომხეთში — 90, ყირიში — 50, მოლდავეთში — 80, საქართველოში — 100.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ვაზის ჰიშების სათვალავში ნაგულისხმევი არ არის მესხეთის ადგილობრივი ჰიშები, რომლებიც უყანასკნელ ხანებში გამოავლინეს და შეისწავლეს სპეციალისტებმა.

მესხური ვაზის ჰიშებიდან უყრადღებას იმსახურებს ცხენის ძმძუ, ბეჟანა, ახალციხის თეთრი, ასპინძურა, რომლებიც კარგად ეგუებოიან გარემო პირობებს და მაღალ მოსავალსაც იძლევიან.

მესხეთის კლიმატური პირობებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიუვალ მთებში შემონახულ ვაზის საადრეო ჰიშს — სამარობოს. ეს ვაზი ადვილად უძლებს სუსხიან ამინდებს, ნაკლებად ავადებდა ჰრქაქით და საქაოლ კარგ მოსავალსაც იძლევიან.

1958 წლის 10 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა ქართული ღვინოების დეგუსტაცია, რომელზეც მესხური ღვინოების რვა ნიმუში იქნა წარმოდგენილი.

მთელი ქართველი ხალხის სიხარული გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მესხურმა ღვინოებმა



ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიმონ კაკაჩიშვილი (მარჯვნივ), ვანო გოზალიშვილი და სიმონ ხითაროშვილი ამოწმებენ ახლადდაკრეფილ ვაშლს.

მესამე საპატიო ადგილი დაიჭირეს და სადგურსტაციო კომისიამ დიპლომებით დააჯილდოვა ისინი. მესხეთის ნოყიერ მიწებზე ისევ გაიდგა ფეხი რქანაყარმა ვაშამ. ქართველი გლეხკაცი ისევ სიყვარულითა და ძველებური გულისყურით დასტრიალებს თავის ნაამაგდარ ვენახს. ახალციხის რაიონში აშუამალ რამდენიმე ასეული ჰექტარი მსხმოიარე ვენახები აქვთ. ბევრმა კომუნურნიმ საკარმიდამო ნაკვეთზეც დაიწყო ვაშის გახარება, ყოველწლიურად უფრო და უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება ვენახების ფართობი მესხეთში.

თეთრი მთის საუნჯეები

მესხეთში, მრავალთა შორის, ორი კომუნია სოფელია, რომელთაგან ერთს პატარა ბამაჩი ჰქვია, მეორეს — დიდი ბამაჩი. ამ სოფლების თავზე ერთი თეთრი მთაა გადმომდგარი, საიდანაც დღენიადაგ გუგუნის მოსმის... ახვალ და გოცდები. ვაგვიკვირდება საიდან გაჩნდნენ ამ სიმაღლეზე ეს ექსკავატორები, ბულდოზერები და თვითმცლელიები. მერე გამოფურღულ კლდის ძირში აშიშხინ-აბოლებულ ზონრებს შეამჩნევ და სანამ მოისასრებ რამეს, საიდანაც გამოვარდნილი კაცი დაგეჭახება, ყვირილით გაგაკრავს მიწაზე და იმ წამსვე იქუხებს კედელს კლდე. შეზანზარდება მთა, ცაში აიჭრება ვეებერთელა ქვები და ბულტები და როგორც ომის დროს სანჯარი, ისე აივსება იქაურთა მტვერითა და დენის კვამლით.

მერე ის, ვინც თქვენი ხელი გკრათ, მოვიახლოვდებით, მეშახტის მუშარადის ქვეშ სუფთად გაპარსულ, დამტვერილ სახეზე ნაოჭებს გადაიყრის და დიმილით შეგვიკითხებათ.

— შეგეშინდათ?

— ა-არა... — ვერც იცნობთ ალბათ საკუთარ ხმას და რატომღაც უფრო დიდხანს მოუნდებით ტანსაცმლის ბერტყვას, ვიდრე ეს საჭირო იქნება.

— არაფერია, — მაინც განუგებებთ დამხვდური და ნიარბივით ხელისუფლებს მუშარადს დაიბერტყავს, მერე ხელს გამოგიწვდის:

— მე გრიგოლს მეძახიან, გვარად სააკიანი ვარ, ოცდაოთხი წელია აქ ვმუშაობ და, როგორც ხედავთ, ჩინებულად ვგრძობო თავს. უკვე სამოც წელიწადს გადავაბიჭე... ეს კი ჩემი ძმა აღასია, — განიშნებთ გვერდით მდგომ თხელ-თხელ შუახნის კაცზე, და თქვენც მხოლოდ მაშინ შეამჩნევთ თქვენს ირგვლივ შეგროვილ, მტვერში ამოვანგლულ, მხიარულად მომღიმარ მუშებს.

— ალბათ ჩვენი კარიერის ამბები გაინტერესებთ. — გვეკითხება აღასი სააკიანი, რომელიც თითქმის მთელი თავით დაბალია თავის ძმაზე, — კარგ დროს მოხვედით. ჩვენი სამმარტველოს დირექტორი აქ არის და იქ მოგიყვებით ყველაფერს ჩვენს მუშაობაზე.

ახალციხის აქატ-ლიტომიტის მადაროთა სამმართველოს დირექტორი რევაზ ქენჭაძე სრულიად ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. რევაზსაც მეშახტის მუშარადი დაეხურა და, საშუალო ტანის, შავთვალწარბა და შავუღვაშა, ერთი შეხედვით ბევრი არაფრით გამოირჩეოდა მუშებისაგან. რომ დავგინახა, მუშარადი ვიდაცას გადააწოდა, შავი გრუშა თმა შეიბერტყა და განიერი ნაბიჯით წამოვიდა ჩვენსკენ.

ბულდოზერისა და ექსკავატორის გუგუნ-რაჩრახში ძლივს ვაგებინებდით ერთმანეთს სათქმელს.


საქმის ჩინებულ მცოდნე და ტკბილმოუბარი გამოდგა რევაზი.

დაჯდა და გვიამბო: ახალციხეში აქატის ორი კარიერია, ზიარეთის და ორალის. ამ აქატს არა მარტო საბჭოთა კავშირში, მსოფლიოშიც არ ჰყავს ბადალი სიმტკიცისა და ხარისხის მხრივ. აქატი ძვირფასი ქვაა. მას იყენებენ ზუსტ ხელსაწყოთა მშენებლობაში, კაპრონისა და საათების წარმოებაში, აგრეთვე ელექტროაპარატურის წარმოებაში და ა. შ.

წელს აქ ოცდათხუთმეტი ტონა აქატი მიიღეს, მერმის ორმოცი ტონის ამოღებას აპირებენ. კარიერის ერთ კუბომეტრ სამთო მასიდან 120-150 გრამ აქატს იღებენ. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი კუბომეტრი სამთო მასა უნდა გადაეშუშავებინათ წელს, რომ ოცდათხუთმეტი ტონა აქატი მიეღოთ — თითქმის ნახევარი მილიონი კუბომეტრი.

ტიტანური სამუშაო, — გვეუბნება რევაზი, — მაგრამ თავისებურად იტაცებს ადამიანებს. აქ რომ იყოს ახლა ამ კარიერების უბნის უფროსი შორა კობერიძე, ის უფრო კარგად გაიშობდათ თავიანთ საქმიანობაზე, მაგრამ დღეს ბიუროვია, პარტიაში იღებენ.

როგორ წარმოიშობა აქატი? ქენჭაძე იღიშება და ამ დიმილიანს თავს, ცოტა არ იყოს, ცნობისმოყვარე ბავშვებად ვგრძნობო.



ეს პატარა მესხები სოფ. რუსთავიდან არიან.

— მოდით, სჯობია, ერთ რამეს გაჩვენებთ, — თქვა რევაზმა და კარიერის განაპირა უბანზე მიგვიყვანა. მიწაზე რუხი ქვის უცნაური მორი იდო, რომელიც ქვისავე ღეროებით იყო დატოტვილი, ისე რომ შორიდან კაცს ხე ეგონებოდა.

— საქმე იმაშია, რომ ეს ნამდვილად ხეა. — აგვიხსნა რევაზმა, — როგორც ეტყობა, აქ უხსოვარ დროიდან ტყე ყოფილა. მერე ეს ტყე ვულკანურ ამოფრქვევების გამო გავარვარებულ ლავას დაუფარავს, ხეები დამწვარა, მათგან დაცარიელებული ადგილი ლავის ახალ ნაკადს შეუესია და დროთა მანძილზე დიდი სიხისა და წნევის შედეგად აქატად და კვარცადა გადაქცეულა. ახა, შეხედეთ, — ხელში აიღო ქენჭაძემ ქვის მორის ნატეხი, — შუაში რომ თერთი მინერალია, კვარცია, ირგვლივ მერქანითი რომ რუხი ფენა არტყია, აქატი. ეს ჭერ კიდევ არ არის კონდიციური აქატი, მაგრამ როცა დავამუშავებთ, ნამდვილ აქატად იქცევა.

მდიდარია მესხეთის მიწა. აქატის გარდა, მისი წიაღი შეიცავს ქვანახშირსაც, ფუტლებსაც, დიატომიტსაც და მრავალ სხვა მინერალს. აქაურ დიატომიტს, ისევე, როგორც აქატს, მსოფლიოში ვერა დიატომიტის ვერ შედარება ხარისხით. მისი საბადო სოფ. ქისათობის ახლოა და ამიტომ მას ქისათობის დიატომიტის საბადოს უწოდებენ. ეს საბადო ამ საუკუნის გარეუარაზე აღმოუჩინებიათ, საიდანაც დიატომიტის სახელებითა და ცხენებით გაქონდათ ბორჯომში, ბორჯომიდან საზღვარგარეთ, იქიდან კი მერე მამასისხლად ღირებულნი მზა პროდუქტი, ისევე უკან შემოქონდათ.

ახლა ამ საბადოს მადაროები, რომლებიც მიწის ზედაპირიდან 500 მეტრის სიღრმეზე შეჭრილან, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არიან აღჭურვილნი და თვეში სამი ათას—სამი ათას სამას ტონა დიატომიტს იძლევიან. დიატომიტი ჩვენი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში გამოიყენება. მას ხმარობენ ქიმიურ ქარხნებში სხვადასხვა სილიკატების საწარმოებლად, აგრეთვე ცხიმების საწმენდ და შაქრის დანაკარგების აღსკვეთ ნივთიერებად, იყენებენ აკუმულატორებისა და სხვადასხვა ელექტროხელსაწყოების დასამზადებლად, დიატომიტის შერევით მიიღობ უმაღლესი ხარისხის ცემენტსაც, რომელსაც რუსთავის ცემენტის ქარხანა ამზადებს.

— რაც დრო გადის, სულ უფრო ფართოვდება ჩვენი დიატომიტის წარმოება, — თქვა რევაზმა, — გათვალისწინებულია ახალი დიდი ქარხნის აშენება, ახალი საამქროების დამონტაჟება. რას იზამ, ასეთია ჩვენი ცხოვრების კანონები — რაც შეიძლება მეტი, მეტი და უკეთესი.

სიტყვა არ დამეთავრებინა, რომ ჩვენთან აღასი სააკიანმა მოიბრინა.

— რეზო, ვაფთქებთ!

კლდეს ამოვეფარეთ.

ისევე იქუხა ზიარეთის მთამ და ექიმ გრილით გადაურბინა მთებს...

ოქროსფერი დოლაბების სამუშაოში

უკან დაგვიჩა ვარძია, თმოგვი, ხერთვისი. გეზი ახალქალაქისკენ ავიდეთ. ისეთი უჩინ-მარინი აღმართებით ვიარეთ, რომ ახალქალაქში ასულეშმა ყურს არ დავუჭერეთ, რომ ზღვის დონიდან თითქმის ორი ათას მეტრზე ვიმყოფებოდით.

ჯავახეთის უსაზღვრო და უკიდევანო ზეგანზეა გაშენებული ახალქალაქი.

ადამიანის თვალს იტაცებს ფართოდ გადაჭიმული სოდაბუნები, კარტოფლის ნათესები, საძოვრები.

მეცხოველეობა აქ მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ალბათ ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის ყველის წარმოების თითქმის მეოთხედს ამ რაიონზე მოდის. ჩვენც ავდექით და პირველად ახალქალაქის ყველ-კარქმერწველობის მთავარ ქარხანას ვესტუმრეთ.

ფთიაქს ჰგავდა ქარხანა. ისე იყო იქაურობა დაწმენდილ-დაწკრილებული, რომ ერთს აკრეფავდა კაცი. საამქროებში ათასნაირ ქვებთან და მექანიზმებთან მარჯვედ ტრიალებდნენ თეთრხალათიანი ადამიანები, თეთრად მოჩქეფდა კლმეურნეობებიდან ახლად მიღებული რძე და ქართული ყველით სავსე ფორმები თეთრი ლოდებოვით ელავნენ მაგიდებზე.

ქარხნის დირექტორი რაფაელ ცისკარაძე, როგორც გვითხრეს, შევიცარული ყველის მოსამწიფებელ სარდაფში ყოფილა. მოსამწიფებელიო? განა გაგონილა ყველის მომწიფება? აი, ჩაღით და ყველაფერს საკუთარი თვალის დანიშნავთ.

რაფაელი სარდაფის კარებში შემოგვხვდა. ჩვენს შეკითხვაზე გაიღიმა და ექსკურსიანთმდლოდვით გაგვიძღვა თაროებს შორის, რომლებზეც ოქროსფერი დოლაბებოვით ელავნენ შევიცარული ყველის ვეებერთელა თავები.

— ალბათ გაოცდებით, რომ ვითხრათ, რომ ჩვენი ქარხანა საბჭოთა კავშირში შევიცარული ყველის თითქმის ერთ მეოთხედს აწარმოებს, — თქვა რაფაელმა.

ჩვენ ნამდვილად გავვოცდით.

— შევიცარული ყველი კეთდება მარტო ისეთი რძისაგან, — აგვიხსნა მან, — რომელსაც მხოლოდ წმინდა ალბიური ბალახით ნაკვები ძროხა იძლევა. ჩვენს რაიონს კი საუკეთესო ალბიური საძოვრები აქვს.

— მაინც ვერ გავიგეთ რას ნიშნავს ყველის მომწიფება? — დავუბრუნდით ჩვენ ძველ შეკითხვას. — ზო, დამვიწყდა მეტყვა, — გაიღიმა დირექტორმა, — ეს ამბავიც ამ შევიცარულ ყველს ენება. რძეს რომ მივიღებთ, ორთქლით გადავხარშავთ, ჩავაწყობთ ყველს ფორმებში და ერთი დღის მანძილზე წნეების ქვეშ დავტოვებთ, მერე ათითორმეტი დღე მარიალწყალში გვიდევს, შემდეგ კი ექვსი თვის განმავლობაში ამ თაროებზე აწვევს სხვადასხვა საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ამას ჩვენი მომწიფებას ვეძახით, რადგან აქ იღებს თავის საბოლოო სახეს, გემოსა და სურნელს.

ანაზღად ზურგს უკან შეგავებული სიცილი მოგვესმა. ორ ღონიერ მუშას ძლივს აეწიათ ერთ-ერთი თავი და ვეღარ ახერხებდნენ მის გადაბრუნებას.

— რაო, ბიჭო, რა გაციენებს? — ჰკითხა ცისკარაძემ.

— როგორ არ გავიცინობთ, კაცო, — სული მოითქვა დამმაროლებელმა ფილოანმა, — შემოწმება გვინდა და ვერ გადაგვიბრუნებია. ჩვენც ვაუჟაცები გვეთქმის, ერთ თავ ყველს ვერ მოვრევივართ ორი კაცი!

ჰმ, მოერევი, როგორ არა, თუ თითო თავი წონით ოთხმოცდაათ კილოგრამს აღემატება. ასეთ ყველს კი ქარხანა მრავალ ათას ცენტრებს ამზადებს წელიწადში.

შევიცარული და ქართული ყველის გარდა, ქარხანა ამზადებს ჰოლანდიურ, საბჭოთა და თუშურ ყველს, კარაჭს, რძის შაქარს ანუ ლაქტოზას შედეკამენტებისათვის და სხვ.

სულ მალე ეს ქარხანაც გაფართოვდება, აშენდება საქართველოში პირველი მექანიზებული საწყობი, მალე დამთავრდება კოთედილი ყველის ახალი

სოფლის მეურნეობის მშენებელი



ზიარეთის აქატის კარიერზე.

ქარხანა, რომელიც ამ ქარხნის ფილიალი იქნება. ქარხანა უოველწლიურად წარმატებით ართმევს თავს პროდუქციის გეგმიურად და ხარისხიანად გამოშვების ამოცანებს, რის გამოც ექვსჯერ მიიღო რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ჯავახეთის ტყვიანობის ბარაქიანი მიწა ერთი ათად უბრუნებს თავის შვილებს ამაგსა და სიყვარულს.

სოფელ ტოლოში დღესაც არის შემორჩენილი ძველებური ხიდი. წინათ, როდესაც ურმით მიმე ავადმყოფი მოხუცად, აუცილებლად უნდა შეჩერებულიყვნენ ამ ხიდთან, რადგან იგი ისე ვიწრო იყო, რომ ზედურემი ვერ გადიოდა.

ჭირისუფალი იძულებული ხდებოდა ურემი ნაწილ-ნაწილ დაეშალა, მეორე ნაპირზე გადაეტანა, ისევე აეწყო და ავადმყოფისათვის „სასწრაფო“ დახმარების აღმოსაჩენად ბორჯომის შორეულ გასასვლელად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მესხეთში მხოლოდ სამი ექიმი მუშაობდა. ახალციხის რაიონში ამჟამად მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის 152 ექიმი და 486 ექთანი ემსახურება.

რაიონში გახსნილია 9 კეთილმოწყობილი საავადმყოფო, 15 ამბულატორია, 48 საფერშლო-საბებიო პუნქტი, სანებილსადგური, დისპანსერები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები.

ოქტომბრის რევოლუციამდე თითქმის მთელი მესხეთ-ჯავახეთი უწინგური იყო. ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში ამჟამად 280-ზე მეტი სკოლაა. გახსნილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო სასწავლებელი, სკოლა-ინტერნატები, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, რომლებშიც 80 ათასზე მეტი მოსწავლე ეუფლება ცოდნას.

განახლებულ მესხეთ-ჯავახეთში არანახული ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, კულტურა.


ორივე რაიონში დღესათვის 118 ბიბლიოთეკა და 180-ზე მეტი სამკითხველო მოქმედებს. ნაყოფიერად მუშაობს კულტურის 15 სახლი, სამი მუსიკალური სკოლა, მუზეუმები, ათობით სასოფლო კლუბი...

სამარადისოდ მოუშუშებია ჭრილობა მესხეთ-ჯავახეთის ოდესღაც განაწამებ მიწას. წელში ამაყად გასწორებულია საუკუნეების მანძილზე სისხლდაწრეთილი და წელგაუმართავი ქართველი კაცი. ნათელ მომავალს ახლა იმედის თვალით გასცქერაინ „მესხნი სწავლითა ქებულნი“ და „აურადი, სიბრძნით ქებული ჯავახები“.

ერთ მტკიცე ძმურ ოჯახად შეკავშირებულან მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე მცხოვრები ქართველები

და სომხები, რუსები და უკრაინელები. შეკავშირებულან და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ ახალი მწვერვალებზე დასაპყრობად, უველაფერს აკეთებენ კაცობრიობის სასწრაფო ოცნების — კომუნისმის დიადი შენობის ასაგებად.

ამირან კასრაშვილი, ოთარ დამატრაშვილი



ახალქალაქი. შვეიცარული ყველის საამქროში.

რ ა ს ჭ ი რ ე ბ ა პ რ ა მ ი ა ნ ს

პატივცემულ რედაქციას! ამ წერილის დაწერა გადამწყვეტინა „დროშის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „როცა გზა სასამართლოსაკენ მიდის“. ძალიან ამაღელვებელია და ლევანის ოჯახის ამბავი. მეგონა ჩემს თავს დატეხილ უსიამოვნებას, ასე თუ ისე, უკვე შეეჩვიე-მეთქი, მაგრამ ის ამბავი რომ წავიკითხე, ყველაფერი ხელახლა განვიცადე. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ სიძე ყოფილა ნიშნში ამოღებული. აჰ, ჩემს ამბავში კი რძალი, ე. ი. მე. დიდხანს ვიყოყმანე გამოგზავნა თუ არა ეს წერილი. არ მინდოდა კიდევ უფრო გადამკიდებოდნენ ჩემი ახლო ნათესავები და „კეთილისმყოფელნი“, რომელნიც უამისოდაც ყველაფერს აკეთებენ, რომ სიცოცხლე გამომწარონ.

მაგრამ რაც იქნება, იყოს... მე გახლავართ მედიცინის და ჩემი მეუღლე მეთვლე კურსის სტუდენტი იყო, როცა წავყვედი. დიდი ხანია გვიყვარდა ერთი-მეორე, და როცა გადაწყვიტეთ ხელი მოგვეწერა, მე უთხარი არჩილს, — შენი მშობლები რა აზრისა არიან-მეთქი. მან მიპასუხა — აჰ მთავარი ჩემი აზრია, ცხოვრების თანამგზავრი მე თვითონ უნდა ამოვიჩირო... თქვა ეს და სიტყვაც სხვა რამეზე გადაიტანა. ამით მივხვდი, რომ ან ერიდებოდა და შინ ვერაფერს ამბობდა, ანდა — უკვე ნათქვამი ჰქონდა და ალბათ არჩევანი

არ მოუწონეს. შემაწუხა ამ ამბავმა, მინდოდა ჩემს ბედნიერებას ჩრდილი არ დაჰყოლოდა, მინდოდა დედის წინ მარბუნელ კვიცხლად არ ჩავეთვალეთ ვინმეს. მე ყოყმანი დავიწყე, არჩილი კი სულ მაჩქარებდა. ბოლოს გადაწყვიტე და მოვაწერეთ ხელი. ამ დღიდან დაიწყო ჩემი წვალუბა. არაფერს არ მოერიდნენ არჩილის მშობლები, განსაკუთრებით ჩემი დედამთილი. რა არ მიჯობეს, რა არ გამაგონეს, ვერც გავითვრებ იმ სიტყვებს; ჯერ არჩილს მისდგენ — რად გინდოდა უდიბლომო ცოლი რომ შეირთო, მერე იმის ლაბარაკი დაიწყეს — ჩვენი შვილი ძალიან ლამაზი ბიჭია და არც ერთი მდიდარი, მანქანიანი საცოლე უარს არ ეტყობა. პირდაპირ, განცვიფრებული ვიყავი: ნუთუ ჩვენს დროშიც შეიძლება ადამიანი ასე ვაჭრული თვალთ ზომავდეს ცხოვრებასა და სიყვარულს.

გვეც არ იყოს, მე სულაც არ მიმეჩნია ჩემი თავი ღარიბად. ვმუშაობ, მყავს ქმარი, რომელსაც ვუყვარვარ, მყავს პატარა ბიჭუნა, რომელსაც არაფერი აკლია, ტანზეც კარგად აცვია და ფეხზეც. არც საკმელი აკლია და არც სასმელი, არც სათამაშოები და საერთოდ არაფერი, რასაც თავის ტოლებს შენატრებდა. დიბლომი კი, რი ვუყოთ... რა თქმა უნდა, კარგი ბედნიერება, მაგრამ ნუთუ ეგ არის ბედნიერების მწვერვალი, ნუთუ უდიბლომო ადამიანი — ნახევარი ადამიანი?

რა ვიცი, ბევრჯერ მიფიქრია, იქნებ მართლაც არა ვარ-მეთქი ღირსი არჩილის ცოლობისა; პასუხი, აი ისეთი პასუხი, გულს რომ ჩასწვდნოდა, ვერაფერს მითხრა. მით უმეტეს, მეც ვერ გადავუშალე გული ყველას, მაგრამ მეც ხომ მაქვს ჩემი აზრი ყოველივე ამასზე. რა თქმა უნდა, არავინ დამიჯერებს, რომ ვთქვა საკუთარი მანქანა არ მინდა-მეთქი, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ბედნიერების საზომი ეგ არ არის. მე ბედნიერი აღმიაანად ვთვლი ჩემს თავს. საავადმყოფოში, მწუხარე ავადმყოფს რომ ტკივილს შევუმსუბუქებ, მადლობის თვალთ რომ შემომხედავს და მეტყვის: „შენ გაიხარე, შვილო“, ან „მადლობელი ვარ, დაო“, ჩემი ბედნიერება ეს არის... იქიდან დადლილი რომ მოვალ შინ, ჩემს ქმარ-შვილს რომ სუფრას ვავუშლი — ჩემი ბედნიერება ეს არის. სიყვარული, სიბორო, ურთიერთ პატივისცემა — აი რა სჭირდება ადამიანს და რა ანიჭებს მას ბედნიერებას.

დამავიწყდა მეტყვა, ახალ ბინაში გადავდივით, იქ გაძლება აღარ შემეძლო — ყოველდღე დამიკრება, ყოველდღე შეუტრაცხოფა ვეღარ ავიტანე. ბედზე არჩილს ახალი ბინა მისცეს. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ყველა უსიამოვნებანი ვთავიდა; რა არ სცადეს აქაც, რომ ერთმანეთისათვის დავეშორებინეთ — ისიც კი იკადრეს, რომ სალანძღვ წერილებს მიგზავნი-

დნენ, ათანაირ ხმას მივრცელებდნენ... დიდი სიმტკიცე გამოიჩინა არჩილმა, არ დაარღვია ჩვენი ოჯახი... შინც ძალიან მტკივა გული — რად უნდა იყოს ასე! დედამთილი ხომ იგივე დედაა, მით უმეტეს ჩემთვის უნდა ყოფილიყო დედა, რაკილა მე დედა აღარა მყავს. ლევანსა და მაიას, ვისი ამბავიც უსრულიდან ვავიცი, აი რა მინდა ვუჩირო: თქვენ ხომ გრძნობთ, რომ ერთმანეთისათვის კარგი ხარო, მაშ იყავით ასე — ეცადეთ არ დაირღვეს ეს თქვენი ურთიერთობა, სიყვარული. მშობლები კი, ალბათ ადრე თუ გვიან, მიხვდებიან, რომ მართლანი არ არიან. მეცა მაქვს ეგ იმედი — ვიცი, მჯერა და მწამს, რომ ბოლომდე ასე არ იქნება. აი, ეს ფიქრები აღმიძრა „დროშაში“ დაბეჭდილმა წერილმა. რა ვიცი, გამოვთქვი კი, რაც მინდოდა? მაგრამ ვეღარ ვისვენებდი, არ შემეძლო არ დამეწერა. ახლა კი თითქოს გულზე მიმეწვა.

პატივისცემით ნუსუ გულდამაშვილი რედაქციას მრავალი წერილი მოსდის, რომლებშიც ჩვენი მკითხველები თავიანთ აზრს გამოსთქვამენ „დროშის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნებული წერილის გამო („როცა გზა სასამართლოსაკენ მიდის“). აჰ ჩვენ ვაქვეყნებთ ერთ-ერთი მკითხველის წერილს.



Handwritten signature in large, bold Georgian script.



თენგიზ გომოლაძე

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

სოფლიდან გამოქცეულმა ბერდომ თბილისში, რიუეზე, ერთ გამოყრუებულ წისქვილში შეაფარა თავი. სოფელში არავის ეგონა თუ ის ცოცხალი გადაურჩებოდა ხანძარს; ყველამ იცოდა, რომ ბერდომ თავის წისქვილიდან არ გამოსულა, როცა ერობის თავმჯდომარემ ბრძანა წისქვილისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. ნაწისქვილარზე, ფერფლსა და ნაცარში იმისი ძვლები აღარავის უძებნია.

ბერდომ კი ცეცხლწაქვდივდებულ წისქვილში იატაკის ფიციარი აყარა და ღარბთან გავიდა. აქედან კი შეუმჩნევლად დაიკარგა.

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც დათებას წისქვილში იმალებოდა. ეს თვალისდახამხამება დრო წელიწადად გადაექცა.

მარტის ქარიან საღამოს, როცა ბებერი ზამთარი კარზე მომდგარ ჯანიან გაზაფხულს ეკიდებოდა და შინ არ უშვებდა, მეწისქვილე დათებას კარზე მიადგა სოფლიდან ჩამოხეტებული წინგუაანთ ზაქარას ბიჭი, ოტლე. ქალაქში რაღაც საქმეზე გამოეგზავნათ შინაურებს და თანასოფელელის სანახავად მოვიდა რიუეზე.

დათება და ბერდომ წისქვილში იყვნენ. წყალდიდობის მოლოდინში წისქვილის მართავდნენ. როცა ბერდომ წელში გაიმართა და მოსულს შეხედა, ოტლეს ფერი-ფურმა გადაჰკრა და ღამის იქვე ჩაიქცა.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — საღამოს მაგივრად შეაგება დათებამ და სტუმრისაკენ წავიდა.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — ამოიღულღულა ოტლემ და პირჯვარი გადაიწერა, — ძია დათებ, ეს ჩვენი ბერდომ არ არის?

ბერდომ წინ წამოადგა რამდენიმე ნაბიჯი და დაიბუხუნა:

— გეშლები, ოტლე!
— ისა ხარ, ისა! მაშ საიდან იცი ჩემი სახელი? — ამოიღულღულა შეშინებულმა ოტლემ.

— ისა ვარ და ჩუმათ იყავი! სოფელში რომ ჩახვალ, იქ არ წამოგცდეს! — შეუღრინა ბერდომ და ახლოს მივიდა ბიჭთან, — აქ რად ჩამოხვედი?

— საყდლებზე გამოგზავნეს, ბერდომ ძია გოგითა შენზე თქვა, დავწვი და დავბუგეო. შენ კი...

— დამწვა, მაგრამ... ბერდომ არ დაიწვება!
— ის — პირი დაალო ოტლემ.

* * *

...სადგურიდან სირბილით აიჭრა სოფელში. ერთი სული ჰქონდა დანახული და განცდილი თავისიანებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ თავისიანებისთვის ჩაეკაკლა. მთელმა სოფელმა ნახა დამწვარი წისქვილი. იქიდან კაცი თუ ცოცხალი გადარჩებოდა, ამას ვინ წარმოიდგენდა. და აი, საღ-საღამათი ბერდომ ქალაქის წისქვილშია და კვლავ დოლაბებს დასტრიალებს. ამაზე საკვირველს რას ეტყვის ოტლე მამასა და დამებს!

შინ მიიჭრა. აქაქანებულმა თავი მოუყარა თავისიანებს და ყველაფერი უამბო. მამამ არ დაუტერა, მოგერივებოდაო.

— მომერივებოდა კი არა. ის იყო.
— დედის სულს გაფიცე!

— დედის სული ნუ წამიწყდება. ბერდომ იყო. ვიცანი, თვითონაც მითხრა, ბერდომ ვარო. იმის ამოგდებულ თვალს ვეღარ ვიცნობ?!
— და-ძმები პირდაღებული შეგპურებდნენ. უმცროსი გოგო შიშით თრთოდა და უფროს დას ეკვროდა.

— ნეტა ის დღე დაქციულიყო, შენ რომ ქალაქში გაგზავნე! — უთხრა მეორე დღეს ზაქარამ ვეილს.

— რათა, მამი?
— იმითრამ, რომა... ავ საქმეს შეეყარე.

— ოტლეს თანატოლებში წამოსცდა... ამბავმა ფენი

აიღვა და ერთ დღეს გოსტაბაშვილმა წინგუაანთ ზაქარას დაბალ ღობეს გაღმობადა.

— სად არი შენი ბიჭი?
— ცუდად ენიშნა ზაქარას ერობის თავმჯდომარის მკვახე სიტყვები. ქული ხელში მოსრისა და ათრ-თოლებული ხმით გასძახა:

— ოტლე, ბიჭო!
— ოტლე გომურიდან გამოვარდა, გოსტაბაშვილის დანახვაზე შეკრთა და ადგილზე გაშეშდა.

— წამამე! — უბრძანა გოგითა და მამიწვე იბრუნა პირი.

სოფლის თავკაცი წინ მიდიოდა, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ოტლე მიითრევდა ფეხებს. მისგან ცოტა მოშორებით მიხანხალებდა წინგუაანთ ზაქარა.

მამა და შვილი ერობის შენობასთან შედგნენ. გოსტაბაშვილი აივანზე ავიდა და მამის მოიხედა. ოტლე იმპო, ზაქარას შეუტია, შინ წაეთრიაო.

— შენი სახელის ჭირიმე! — შედგმულა ზაქარამ და მუხლი მოიყარა.

მაგრამ გოგითა ყურის აღარ უგდებდა, კანცელარიში შევიდა და თავის მაგიდას მიუჭდა. ოტლე შორიანლო გაჩერდა, გოსტაბაშვილის თვალების ცეცხლს ვეღარ უძლო და თავი დახარა.

— ხო არ მოგვლანდა? — ჰკითხა გოგითა, — იქნება ბერდოს სული იყო?

— სული იყო, ნამდვილად სული... — მოცოცხლდა ოტლე.

— ცალი თვალი ჰქონდა?
— ცალი თვალი?... ჰო, სულსაც ცალი თვალი ჰქონდა.

— მამაძაღლო!
— რათა, შენი ჭირიმე!

— იმათა, რომ მამაძაღლი ხარ და კიდევ უფრო მეტი... რაღაცას იგონებ და ხალხს მართალი უნდა ეგონოს.

— ვიგონებ? ის... როდის ვიგონებ!

— მაშ მართალია, მა?
— ოტლე შეკრთა და შიშით უკან დაიხია, ეს რა წამოვროშეო.

გოსტაბაშვილი მტკვრის აღმა წასვლას დაიჭერებდა, თავის მამა-პაპათა საფლავიდან წამოდგომას დაიჭერებდა, ვიდრე ბერდოს მკვდრეთით ადგომას. ეჭვი შეეპარა წინასწარ გაგზავნილ მილიციელზე, მაგრამ როცა გამოუძახა, მილიციელმა ფიცით ცოლ-შვილი გაიწყვიტა, წისქვილისთვის თვალი არ მომიშორებია, ბერდომ შევიდა და იქიდან აღარ გამოსულაო.

მაშ რა ჯანდაბა გადაარჩენდა ბერდოს?
გოსტაბაშვილმა ოტლეს პანდური აშოქრა და გააგლო. გააგლო, მაგრამ ვეღარ მოიხვეწა. ოთახში ბოლთა დასცა. ბერბიჭა გაშტერებული შეგპურებდა, თვალს არ აშორებდა და ყოველ წამს მის გაბრაზებას ელოდა. გოსტაბაშვილი უცებ მოტრიალდა მისკენ. ქოსა სკამზე შეხტა.

— ღმერთი გვამს?
— ჰო... არა... რა ვიცი... — აღულღულღა მდივანი.

— სულინა? — ეს ისე თქვა გოგითამ, კითხვაც იყო და ბრძანებაც. ქოსამ არაფერი უბასუხა.

მერე ხმას დაუდგამდა სოფლის თავკაცმა და ახლა თავის თავს გაესაუბრა:

— ნუთუ მართლა ნახა იმ წირბლიანმა?
ნახაო?! მთელი ღამე წრიალებდა გოგითა. სახლის კარი მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი, მაგრამ მაინც ელანდებოდა ფანჯრიდან გადმომძვრალი ცალთვალა დევი. გოგითამ საბანი წაიფარა თავზე, მაგრამ ახლა უფრო გაჭკვულა ზმანებამ, სული შეეხუთა და ლოგინზე წამოჭდა.

დამე ტანჯვით გაატარა. დილით კანცელარიაში მივიღე და ქოსა გააღვიძა, გააღვიძა და უბრძანა, წინგუაანთ ზაქარას ოტლე ახლავე აქ მომითრიეო. საწყალი ბიჭი თვალბის ფშვინებით მიიყვანა ბერბიჭამ.

— ნახე?
— ვინა? — ოტლემ თვალბი კიდეც ამოიწმინდა. თმა გასჩრქოდა. ტანსაცმელი ისე ურიგოდ მცვა, გეგონებოთ ზედ დაუყრიათო.

ოთახის კუთხეში კოკა იდგა. გოგითამ ხელი წამოავლო და ნახევრად მძინარე ოტლეს სახეში ცივი წყალი შეასხა.

— გძინავს, შე მამაძალის ობერტილო?! — თან შეუძახა და გაბრაზდა, — სული იყო თუ ბერდო იყო ნამდვილია?

— სული, შენი ჭირიმე.. ბერდო ვარო, ისიც მითხრა, — თქვა და ბავშვით აწულქუნდა იმხელა ოტლე.

* * *

გოგითა გოსტაბაშვილმა დაჰკრა ფეხი და თბილისში თავისი პარტიის თავკაცებს ეახლა.

ბერდოს „სულის“ სანახავად ჭერ ჯაშუში გაგზავნეს რიყეზე.

ჯაშუში საფქვავე ფორანი მიუტანა დათებას. მეწისქვილე ცას ეწია. სიმინდი ხვიშირში გადაუშვა და თავად მეფორნეს დაუჭდა სამასლათოდ.

წისქვილში ბერდო შემოვიდა.

უცნობმა აათვალიერ-ჩათვალიერა, თავაზიანად მიესალმა და ბერდოს საუბარში ჩაება.

ჯაშუში მენშევიკურ მთავრობას აგინებდა, თვით უორდანიასა და რამიშვილსაც არ ინდობდა, მათზე მორაგული რამდენიმე ანეკდოტს ხითხითით თქვა, მაგრამ მეწისქვილეები მის ანეკს არ წამოეგნენ. ორივე ფრთხილი იყო და არ აშკვნენ.

ბერდოს ოდნავდაც არ ეგონებოდა მუშტრის ლაქლაქი, მის გულს დოლაბების ხმაური უფრო აუხებდა. წყალდიდობა დაწყებულყოფი და მტკვარი ღონივრად აბრუნებდა წისქვილის თვლებს. გობში ჩაყრილი ცხელი ფეკილის ნიანძარტი სუნიც დადგა.

..სალამოს ბერდო დაიჭირეს. ხუნდებდადებული პირისპირ შეხვდა გოსტაბაშვილს, რომელიც გაკვირვებით უყურებდა და კიდეც არ სჭეროდა, თუ ეს მართლა ბერდო იყო. კარგა ხანს ათვალიერა.

— ეგრე რას მომჩერებობარ?

— მიკვირს იმ ცეცხლიდან როგორ გამოხველ?

— ბერდოს ვერ მოჰკლავ, გოგითავ... ჩემმა ნათლიამ უკვდავება დამანათლა და შენ ხელი ვერ მოგიწვდება ჩემზე! — ნაძალადევად ჩაიცინა ბერდომ.

— ციხეში დალბები!

ბერდოს კიდეც ჩაეცინა.

— მაინც, საიდან გაიგე?.. ის წირბლიანი ოტლე მოგიტანდა ამბავს..

— სწორედ ის იყო, — არ დაფიცა გოსტაბაშვილმა, — ასე გყლიდან. შენ კი ვითომ იმითთვის იბრძვი.

ბერდომ ხუნდი ააჩხარუნა. მეგრულზე ხელის მოსმა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო და ჰქვიდა ტუჩზე მწარედ იკბინა.

— წაიყვანეთ! — გასცა ვიდაცამ განკარგულება. ბადრაგებმა თოფის კონდესი უთავაზეს ბერდოს, იარეო. ხუნდების ჩხარუნით მძიმედ დაძირა მეტეხის ციხისაკენ.

ციხის გაღმავანს რომ მიატანეს, ავლადრელმა ბიჭებმა დაიძახეს:

— არსენა მოჰყავთ, არსენა!

ბერდომ მწყურად გახედა ლაზღანდარა ყმაწვილებს, არსენა არა, ისაო, გულში თქვა და კიდეც შევიდა ციხის ჭიშკარში.

* * *

ნახევრად ბნელ საკანში ჩაჰკეტეს. მის ზურგს უკან დაიხურა რკინის კარები, ურდულმა გაიჩხაკუნა. კუთხეში, დაბალ საწოლზე, ვიდაც შეიშმუნა და მალე წვერმოშვებული და გამხდარი კაცი წამოჯდა. ერთი დაკვირვებით შეათვალიერა საკანის ახალი ბინადარი და დაუცადა, სანამ მოსული რაიმეს იტყვოდა.

ბერდო პირველად იყო ციხეში და გული ისე გამაღბით უცემდა, ლამის ამოფარდნოდა. სიტყვის დაძვრა ვერ შეძლო. ბოლმა ახრჩობდა. ახლად ნანობდა, თავის ლაჩრობის გამო გოსტაბაშვილი სამგზის რომ დაინდო და წუთისოფელს არ გამოასალმა.

საკანს დარკინული პატარა სარკმელი ჰქონდა. ეს პატარა ფანჯარა სინათლეს, სიცოცხლესა და ჰვენიერებას აგონებდა აქ დამწყვედულთ.

ბერდო იდგა და არ იძროდა. გაკვირვებული იყო, ეს სად მოვიდოო. კაცს კიდეც ერთხელ შეხედა და გამარჯობა ძლივს უთხრა. დამხვდურმა დაგუდული და გამწყურალი ხმით უპასუხა, გაგიმარჯოსო.

— პოლიტიკური პატიმარი ხარ? — ჰკითხა მერე ბერდოს, რადგან ბერდო პოლიტიკურ პატიმარს სრულიადაც არ ჰგავდა.

— რა ვიცი ვინა ვარ.. ესა ვარ, აი, ვინცა ვარ!... — ჩაიღუდლუნა ბერდომ და წინ გადადგა ორიოდ ნაბიჯი. პატიმარს მიუახლოვდა. ის კი ჰვემ-ჰვემ ეტვის თვლით უყურებდა და მისი ასეთი ჭიქური, გამომსდელი და უნდობი მზერა არ მოეწონა ბერდოს.

საკანში მეორე საწოლიც იდგა, დაბალი, ფეხებდადრეცილი, პატარა, დაფხავებული სახან-ლეიბითა და გატრცილი, ნახევრად გამოშინებული მუთაქით „გაწყობილი“.

ეს ჩემი იქნებოა, გაიფიქრა ბერდომ.

— რაზე დაგვიტრის? — ჰკითხა პატიმარმა. აინტერესებდა ვინ იქნებოდა მისი ჭირის მოზარე, მისი ბინადარი.

— იდეისთვის! — უპასუხა ბერდომ.

— მე კი მეგონა.. — დაიწყო დამხვდურმა და სათქმელი აღარ დაამთავრა.

— რა გეგონა? იდეისთვის თავი დამიდევა და რა გეგონა? — იწყინა ბერდომ.

— არაფერი, ძმობილო. შენ ახლა მოისვენე, დალილი იქნები, — ურჩია პატიმარმა და ნიშნად იმისა, რომ საუბრის გაგრძელებას აღარ აპირებდა, მიწვა თავის საწოლზე და საბანი წაიფარა.

„უშუშური რამე იქნება! — გაიფიქრა ბერდომ, — არცა შეიძლება ვინა ვარ, რა ვარ, საიდანა ვარ, რას თვინა ვარ!.. ფუი, შენი! ჩემმა მტერმა გასძლო შენთან! კაცო, ეს სად შემომაგდეს! გოსტაბაშვილო, შენი დღის დემრთს!.. ეს რა სიუაჟ? კაცი არ მომიყავს, მაგრამ აქედან რა გამოვა, მოგკლავ; სიყრმეს გეფიცები, მოგკლავს!.. — ეგონა ისევე მაძევსო ხედლებზე მძიმე ხუნდი, დაავიწყდა კართან რომ შეხსენეს, საკანში შემოგდების წინ. მაგრამ, როცა ხედლებზე დაიხედა, შევბა იგრძნო და მარჯვერ მუშტი ისე ძლიერ დაიჭრა მეგრულზე, ისეთი ბრავუნე გააღინა, პატიმარი შეკრთა და პირი აქვთ იბრუნა.

ბერდო იდგა და ცალ თვალს აბრიალებდა.

— ხმა გამეც რა! კაცი არა ხარ? — შეუძახა პატიმარს და ამ შემახლდში ცრემლი გამოერია.

— რა დაგემართა?.. — ჰკითხა პატიმარმა და წამოქდა, — არა გეგონა პირველად იყო ციხეში.

— ვითომ რაღოა? — იწყინა ბერდომ.

— რა ვიცი!

— სიყრმეს გეფიცები, პირველად ვარ. შენ რაღაზე ხარ დაჭერილი?

— რა ვიცი. დამვიტრის კია და... — ნაძალადევად გაიღმა პატიმარმა, — არ მოგწონს აქაურობა?

— მოგწონსო? ჰქვიანა მეპატარავებოდა, იქ ვერ ვიტყოდი, აქ როგორ დავეტევი! — წამოიძახა ბერდომ და მხრები ისე შეეპანა, თითქოს მძიმე ტვირთი გადააგლოო.

საუბარი იმ დღეს ვერ აეწყო. ბერდოს უნდოდა თავისი ღარდ-ვარამი პატიმართან გაცნობითა და მასთან დაახლოებით ტკბილ საუბარში გაეჭარებინა, მაგრამ იმ კაცმა უნდობლად შეხედა და არც სახელი უთხრა, არც გვარი, პასუხსაც მჭირად აღმდედა, გამომცდელი თვლით სჭვრეტდა. ბერდო ხელდებოდა და უფრო მეტ სივიწროვეს გრძნობდა საკანში, პატიმარი კვლავ არ ეკითხებოდა ვინაობას, უყურებდა და ზომავდა, ზომავდა და ვერ გაეგონა.

მეორე დღეს ბერდო დაკითხვავ წაიყვანეს. ციხის გამომძიებელს მაგიდაზე მისი „საქმე“ ედო. მალიმალ ქალაქდებში იქვეებოდა, ბერდოს ეკითხებოდა მის რეგოლუციურ მოღვაწეობაზე და ამაყსა და დაუფიცარ პასუხებს წერდა, სადაც ხაზგასმით უღერდა „იდეისთვის!“

გამომძიებელმა ერთი გვერდი შეავსო და ბერდოს უთხრა ფურცელის ბოლოში შენი გვარი მოაწერეო. ბერდომ ბატიფხურით მოაწერა. გამომძიებელმა გულიანად გადაიხარხარა და დაკითხვა განაგრძო. მისი სიცილი არ მოეწონა ბერდოს და ახლა მკვახედ უპასუხა. როცა მეორე გვერდიც შეივსო და ბერდომ კვლავ ბატიფხურით გამოიყვანა ხელმოწერა, გამომძიებელმა ახლა კი დიმილით გადაისვა ხელი უღვაწეზე და ბერდოს ცალ თვალში მიაჩერდა. დაკითხვა მოათავა და ბადრაგს უბრძანა, საკანში დაებრუნებინათ.

მერე ის პატიმარი წაიყვანეს საკანიდან. ბერდო მარტო დარჩა და წინ და უკან დაიხარბოდა დატყვევებული აფთარივით. „უშუშური, როცა მაგრამ შინც კარგია!“ — თქვა გონებაში, როცა პატიმარს ცარიელი საწოლის ცქერიით მოიღალა.

სიარულმა დადლა, ფიქრმა დადლა და ფეცარიელ საკანში ის კაცი მოეპატარა.

ამ ჰვეყანაზე კაცი კაცი რომ იყო, ახლა ყველაზე უფრო მწვავედ იგრძნო ბერდომ, ტკივილითა და დარღით იგრძნო. ვინ იცის წისქვილში რამდენი დამე გაუტარებია მარტო. მაგრამ იქ თავს ცალად არ გრძნობდა, მის მიერ გასულიერებული ბებერი წისქვილიც კაცი იყო, კაცი — წულის ჩხრალით მოსაუბრე, სარეკელას კაკუნითა და დოლაბების ბრავუნით.. სოფლიდან მალიმალ მოლიოდნენ კაცნი. იქ ბერდო მარტო არ იყო. ბერდო აქ არის მარტო, მიუხაფარი, მითოვებული, დატყვევებული და ძალიამცილი. ვინ იცის, როდის გაათავისუფლებენ და იქნებ არც გაათავისუფლონ.

ცოტა მოგვიანებით საკანში ნაცემ-ნაგვემი და სისხლიანეული და ნახევრად გონებაწართმული პატიმარი შემოაგდეს.

— ვაი დედასა! — ამოიგმინა ბერდომ სისხლის დანახვავზე და სიბრაღულმა გულის კოვჩი ისე ძლიერ დასწვა, უნებურად ცრემლი წასკდა. ამხელა კაცი ბავშვით გახდა. დასწვდა პატიმარს, ხელში აიყვანა, ემჩაბა, საწოლზე სათუთად მიაწვინა, წულით სახე შეუსველა და გონს მოიყვანა.

— შენ მოგიკვდეს ბერდო! — ლულულულებდა და აღარ იცოდა რა ექნა.

პატიმარი საღამოს ძლივს ალაპარაკდა. ბერდოს რამდენიმე სიტყვა უთხრა და დადუმდა. ბერდო ბღღინავდა, კედლიდან კედელს აწყებოდა და თავის გაჩენის დღეს იწყველიდა.

..ბერდოს ისევე დაუძახეს დაკითხვავ. ამჭერად სხვა გამომძიებელმა დაჭიოთხა.

ისევე თავიდან ყველაფერი: გვარი, სახელი, მამის სახელი და სხვა მრავალი.

— რომელ ორგანიზაციაში იყავი?

— რა ორგანიზაცია და რის ორგანიზაცია! — აგდებით უთხრა ალაპარაკებულმა ბერდომ.

გამომძიებელმა იგივე კითხვა ისევ ისე ხმადაბლა და ხაზგასმით დაუსვა.

ბერდო სდუმდა.

— არ იტყვი?

— რა ვთქვა, რა ვიცი! — მხრები აიჩჩა ბერდომ.

— გიციოდა, რაინც ბრძანდებოთ.. მაგ ცალ თვალსაც აქ დასტოვებ და მერე გაიგებ რას გეკითხებიან.

— თვალთ რაღოა, ვითომა?!

— ასეა საჭირო.. მიპასუხე, რომელ ორგანიზაციაში იყავი და ვინ არის თქვენი ხელმძღვანელი?

— ხელმძღვანელი? მე თვითონა ვარ ორგანიზაცია და..

— თავს ნუ იგდებ!

— ჰო! — ჩაიცინა ბერდომ, ბადრაგს გახედა, რომელიც ხშირად თოფით მას სლარაჯობდა. გახედა და გოსტაბაშვილი გაახსენდა.

— არ იტყვი? მაშინ სხვა დროისთვის გადავლო ჩვენი საუბარი. ახლა კი ჰკუთასა ასწავლეთ პატიმარს.

..და ბერდოსაც „ჰკუთასა ასწავლეს“. უღმერთოდ სცემეს, სისხლი ადინეს და საკანში შეაგდეს, მაგრამ გონება არ წართმევია. გონება ბოლომდე მიჰყვა. აფოფხდა საწოლზე, ძალიამცილი დმუოდა და სისხლს იფურთხებოდა.

* * *

— სად დაგასახიჩრეს ეგრე ძალიან? — ჰკითხა პატიმარმა, როცა ბერდომ ამ ჰვეყანად ისევ ჭანიანად მოიხედა.

— რუსეთში ვიყავ, გერმანიის ფრონტზე.. რა გქვია, კაცო, არ მეტყვი შენს სახელს?

— ალიოშა.. ალექსანდრე. როგორც გინდა ისე დამიძახე.

ბერდომ სახეზე მოისვა ხელი, თითები ნაჭრილობებს ჩამოაყოლა.

— არც კი ვიცი რანაირი ვარ! — თქვა და ამოიოხრა, მერე წულზე მიიღო ხელი, — როგორ მცემს იმ დემოქრატებმა!

გაბედული და პირდაპირი საუბარი მაინც ვერ აეწყო. ბერდო ატყობდა, რომ ალიოშა-პატიმარი გაურბოდა, ერიდებოდა. ატყობდა ამ მორიდებას და არ მოსწონდა. თვითონ გულით მიენდო. დაჭდა და ერთ დღეს ყველაფერი უშობო, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ როგორ აღედგებდა გლეხკაცების ხედი, „იდეისთვის!“ როგორ დასდო თავი, როგორ გადაემტერა სოფლის ერობის თავმჯდომარე. უამბო, როგორ გააგდო და შეიცოდა იგი. და ბოლოს გულის-ტკივილით შესჩივლა თავისი დამწყვარი, ნაცრად ქცეული წისქვილის ამბავი.

ეს იყო გულწრფელად მონაყოლი, ალაღმართა-
ლი გლხეხაცის სიტყვა.

მაშინ კი სხვანაირად შეხედა ალიოშა-პატიმარმა.

— ნუ გეწყინება და, — დაიწყო ალიოშამ, —
გეტყუი რაც ვიფიქრე. მოგზავნილი მეგონე.

ბერდომ მუშტი დაიჭრა მკერდზე.

— მე?!

— მაპატიე, უნდა გამოგეტყუე... ასე ხდება ცი-
ხეში. ყველაფერს სწავლიან პოლიტიკური პატიმარის
გამოსატყუად.

— ვაშე! ნეტა ეს არ გეტყავს... — დაიღმუვლა
ბერდომ და სახე ხელებში ჩარგო. ერთ ხანს ასე
იყო მდუმარედ, მერე წამოიხედა და სახეგაფით-
რებულ ალიოშა-პატიმარს თვალი გაუსწორა.

ალიოშა მდუმარედ იჯდა და რა ეთქვა არ იცო-
და, რით გამოესივია დაწაშული ბერდოს მიმართ.

ბერდომ აპატიო, წყენას დიდხანს არ ინახავდა
გულში. მაშინ კი სინარულით ეწია ცას, როცა
ალიოშას ვინაობა გაიგო. ეს იყო განათლებული
კაცი, ოდესის უნივერსიტეტდამთავრებული, ოქტო-
მბრის რევოლუციის აქტიური მონაწილე, ლენინთან
ნამყოფი. საქართველოს ბოლშევიკებთან ერთად
მედგრად ენარჩუნა მენშევიკურ წესწყობილებას.
ამ ძუნწმა, მაგრამ დიდი ამბების შემცველმა
ბიოგრაფიამ ბერდოს სინარული მოგვარა, ალიოშა
ვის თვალში ერთხანად გაიზარდა, ციხის კედლები
გაიწვამოიწია და დარკინული სარკმელიდან ცის
ერთი ბერე ნაკერი კი არა, მთელი სამყარო გა-
მოჩნდა.

ბერდომ სიამოვნებით გადაიფიქრებდა ხელები და
თავისი ალტაცება ვერ დაშალა:

— ეს რა კარგ ადგილას შემოგუფადივარ, კაცო!
ალიოშას გაეღიმა ბერდოს გულუბრყვილო წა-
მოძახილზე.

— მაშ უნ თემძინებელი ნიკო კაპრაშიძე გე-
ცოდინება, ბოლშევიკი ვარო... — უთხრა ბერდომ
და ალიოშას გვერდით მიუჯდა საწოლზე, — მითხ-
ბარი ერთი, რა კაცია?

— ნიკო კაპრაშიძე? სწორე ვითხრა, არ ვიცი!

— უფურე ერთი მომატყუა ჩვენი რევოლუ-
ციის წინ მოვიდა და მითხრა, მაგას ნუ სხადიხარო.
მაგასვე მეუბნებოდა გოსტაბაშვილიც. როგორ გა-
ვიგო, რომელია მართალი და რომელი არა. კაპრა-
შიძე ბოლშევიკი არა ყოფილა, რახან შენ არა
გცოდნია.

— ჩვენი, ბოლშევიკების არმია ძალზე დიდია,
ჩემო ბერდო. იმიტომ გვჭვია ბოლშევიკები. ყვე-
ლა როგორ გეცოდინება. ისე კი, უნდა დაგეტყუე-
ბინა, როგორც გირჩიის... მარტოს სად შეგეძლო
ასეთი დიდი ამბების გადაწყვეტა...

ბერდომ შეაწყვეტინა:

— ეს მითხრა კაპრაშიძემაც...

— მე გგონი სხვას ვერაფერს გირჩევდა, ის თუ
ჩვენი პარტიის წევრია.

— არ დავუჭერე, — თავი სინარულით გააქნია
ბერდომ, — არ დავუჭერე და ტყვიაც დავვიწინე.

— უფრი მიგდებ, ბერდო. კარგია, რომ გლხეხა-
ცის ბედი გაწუხებს და თავი დაგიდგია...

— იდეისთვის! — მაშინვე დაუმატა ბერდომ,
რადგან ეს სიტყვა სულსა და გულს ერჩინა.

ალიოშას ჩაეღიმა.

— აი, ერთი რამ მინდა გკითხო.

— ბრძანეთ.

— გამარჯვება რომ შეგჩინოდა, შემდეგ რას
აპირებდი?

— რასა და... მიწებს გავინაწილებდით... მოგხნავ-
დით, დავეთხავდით და ბედნიერად ვიცხოვრებ-
დით... გლხეხაცს სხვა მეთი რა უნდა?

— შესძლებდი ბოლომდე გაძლოლას?

— ბოლომდე? ჩემი გაძლოლა ვის რაღად უნ-
დადა. მე ჩემ წიქვილში საქმე გამიჩნდებოდა.

ალიოშას კვლავ ჩაეღიმა და თავზე გადაისვა
ხელი.

ეს იყო პირველი გულითადი საუბარი.

შემდგომ საუბრებში ალიოშა ასწავლიდა ბერ-
დოს, რომ ახალქალაქისა და გარიყულის გლხეხების
ბედი ნაწილია მთელი ქართველი გლხეხაცების
დუხჭირი ბედისა, რომ ამ სოფლების ვარამი ცალკე
არასოდეს შეიცვლებოდა სინარულით. გულახდი-
ლად უთხრა ისიც, რომ ბერდო ვერ შეძლებდა გა-
მარჯვებას იმიტომ, რომ...

— დიდად განათლებული უნდა იყო, ჩემო ბერ-
დო. სანთლით უკუნეთს ვერ გაანათებ.

ბერდო თავს ხრის და თავის დიდრონ ხელებს
დასჩერებდა.

— კაცი კაცთა ბედსა სწყვეტ მცირე განათლე-
ბით!

ბერდო მხრებს იწურავს და სიტყვას ვერა სძრავს,
გულში ბრძოლის ცეცხლი უტრიალებს და კეთილი
იდეა აწუხებს, დაუდგრომელს ხდის. მაშ რა ჰქნას?

— შეიძლება რევოლუციის გმირი ჯარისკაცი გახ-
დე, მხედართმთავრობას კი ვერ ჩაგაბარებდი.

ბერდო კვლავ იმეუშნება და ვიწრო საკანში ვერ
ეტივა.

— ვსწავლობდით, ვიბრძოდით — და მაინც ვსწავ-
ლობდით...

„დალოცვილო, მე ვინ რა მაღიროსა“ ფიქრებს
და ბერდო და ახლა კი ქვეშ-ქვეშ უყურებდა ალიო-
შას, კაპრაშიძეს ადარებდა, მაგრამ მსგავსებას ვერ
პოულობდა.



მზენა ჯვესკოპონის სოფელი

ქართლში ყველა სოფელი ერთ-
მანეთს ჰგავს — მჭიდროდ მიჭრილი
ორსართულიანი სახლებით, კაცლის
ჩერობით, მთიდან მოჩუხჩუხე წყა-
როებით, ლურჯი კამკაბა ზეცით.

სწორედ ერთი ამთავანია სოფელი
ხოვლეცი. როცა ამ სოფელში შედი-
ხარ, არ შეიძლება ქართული ისტო-
რიული მეცნიერების დიდი პატრი-
არქის, ჩვენი სახელოვანი მემატი-
ანის — ივანე ჯავახიშვილის სახელი
არ გაიხსენო. ის მადლოსილი კაცი
აქაური იყო...

იქნებ ამიტომაც არის, რომ ამ მი-
წაზე ყოფნის დროს ფიქრმა არ შე-
იძლება წარსულისაკენ არ მივახე-
დოს.

ფურცლავთ ვახუშტის „აღწერას
სამეფოსა საქართველოსა“ და კით-
ხულობთ:

„თეზის დახვლით არს ხევი ხოვ-
ლესი, გამოსდის რაზმითის მთას. მო-
დის ჩრდილოდამ. ერთვის მტკვარს
სამხრიდამ. არს ვენახოვანი, ხილია-
ნი და ნაყოფიერი“...

ნეტავ ახლა ენახა ვახუშტის ეს
სოფელი — სიტყვა არ ეყოფოდა ამ
ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი
მიწის შესამკობად.

„ის ურჩვენი მამულსა“...

ისინი ერთმანეთს ჰგვანან და ძა-
ლიანაც ჰგვანან — მამა და შვილი.
მამა — ყოფილი თავმჯდომარეა,
შვილი — ახლანდელი; ორივე კარგი
გამარჯელი, საქმის მცოდნე.
მაგრამ არის განსხვავებაც.
მამა მცირემცოდნე იყო, შვილს კი

პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამ-
თავრებული, ახლა სასოფლო-სამე-
ურნეოსაც ამთავრებს.

მამა — ზაქარია მიქუტიშვილი კა-
რგა ხანა სოფლის თავკაცობას გა-
მოეთხოვა. მიწას კი როგორ შეედრე-
ოდა, ბარათა და თხებით ამოუღდა
გვერდში მეწობლებს.

ვენახია მისი სიცოცხლე, მისი სა-
ნუკვარი, სუნთქვა.

ზაქარიამაც ვენახი აიღო მოსავლე-
ლად. მამ ბექტარი ვენახიდან წილს
100 ცენტნერი უჭრქენი მიიღო.

სერგო მიქუტიშვილი 1959 წელს
ჩაუღდა კოლმეურნეობას სათავეში.
და აშკარად აქობა შვილმა მამას. გა-
ამართლა ძველი ხალხური ანდაზა.

1964 წელს კოლმეურნეობამ
გადაჭარბებით შეასრულა სახელმწი-
ფოსადმი ხორცის, რძის, მატყლის,
კვერცხის მიყიდვა. მარტო კვერცხის
წლიური გეგმა მ თვეში შეასრულეს.

ივანიანთ სახლი

სახლი ორსართულიანია, ლურ-
ჯად შედებული. სოფელს ზემოდან
არწივის ბუდეხავით დაჰყურებს.
სახლს ფართო აივანი და დიდი ქვის
იბე აქვს. აივანზე ზარი მკიდია.
ზარი ყოველ დილით რეკავს. პატა-
რებს უხმობს.

აქ ეწიარება ხოვლელი ბავშვი დე-
და ენას, აქ შეიგრძნობს ხალხის სი-
ყვარულს. აქ დაფრთიანებული ბარ-
ტყები დიდ აბარეზე გამოდიან, კო-
მუნისმის მშენებელთა რიგებში დგე-
ბიან...

და ივანიანთ სახლის სიბო ვას-
დევთ სამუდამოდ.

ამ სახლში, ივანე ჯავახიშვილთან,
ხშირად მოდიოდა იაკობ გოგებაშვი-
ლი. სწორედ მათ განხნეს ორკლასი-
ანი სასწავლებელი გლხეხის ბავშვე-
ბისათვის.

მას მერე ახალმა სიომ დაჰქროლა.
სკოლა ოთხკლასიანი გახდა, ახლა
კი საშუალო სკოლაა...

მაგრამ ერთი საუვედური გვინდა
ვუთხრაო სოფლის თავკაცებს: ივანე
ჯავახიშვილისეულ სახლს მემორია-
ლური დაფა არა აქვს, მუზეუმზე
რომ აღარაფერი ვთქვათ.

ხოვლელებმა ამ საქმესაც უნდა
მიხედონ.

სოვლეს ხვალინდელი დღე

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში ხე-
ვი გადის. ხევი გოგირდის მჭახე სუ-
ნი დგას. მიწის გულიდან წყალი ამო-
ნდა. ამ წყალს დიდი გასავალი ჰქო-
ნდა. ამ ხევი ივებოდა ხის კას-
რები წყლით. მერე მიჰქონდათ ავა-
მყოფებთან. მეთად პრიმიტიული
იყო მისი გამოყენება.

ითქვა და... ამ თორმეტოდე წლის
წინ აქ სამკურნალო აბანო აშენდა.
აქ მოდიან დაავადებული, დაუძლუ-
რებული ადამიანები და მერე მიდი-
ან კმაყოფილნი, ჯანსაღნი.

ახლა ეს წყალი ხოვლელთა დიდი
სიამაყეა. ბევრი რამ გაკეთდა სოფე-

ლში, ბევრიც გაკეთდება. ამ უკანასკ-
ნელ ხანს მდინარეზე ხიდიც აიგო. მა-
ლე კულტურის სახლის მშენებლობაც
დამთავრდება.

— მომავალშიც ბევრი რამის გა-
კეთება გგსურს—ამბობს კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარე სერგო მიქუ-
ტიშვილი,—ავაგებთ საბავშვო ბაღს,
კოლმეურნეობის აღმინისტრაციულ
შენობას, აფთიაქს, ფოსტას და სხვა
დაწესებულებებს.

მაინც წყალია გლხეხი კაცის საფიქ-
რალი, წყალია ველთა ყვავილების
სიცოცხლე, ვაზის ფესვთა მესაიდუ-
მლე, სიმინდის დეროს მაცოცხლე-
ბელი, ოდიფან წყალზე ოცნებობს
ხოვლელი გლხეხიკაცი, ცას შედალა-
დებს წყალს მოწყურებული ყანა,
ნამს შემყურებს ხვტაკარული მიწა.

1968 წლიდან ხოვლეში გათვალის-
წინებულია არხის მშენებლობა.

მაშინ კი...
აღარ ატირდება ტირიფი. ცის ამა-
რა აღარ დარჩება აღმოდებული მი-
წა. მოვა წყალი და გაიხარებს ხოვ-
ლელი გლხეხი. კოლმეურნეობას გათ-
ვალისწინებული აქვს ახალი ვენახე-
ბისა და ხეხილის ბაღების გაშენება,
წალკოტად იქცევა თრიალეთის ფერ-
დობები.

ასეთია ხოვლეს ხვალინდელი დღე.

ნორა ელდუარაშვილი



დასაბამიდან დაურღვეველი
კავშირი ციურ სხეულთა შორის,
გონების ძალით დაურღვეველი
წონასწორობა ქვეყნის სასწოროს, —
მუდამ მალეღვემს,
მუდამ მათეცემს,
სიჭაბუკიდან
ჩუმს და ფიჭირანს.
ვიგონებ რიცხვებს,
ვიგონებ ლოცვებს,
ვიგონებ სიზმრებს
და ძველ ბიბლიას.

მარადისობას,
უსაზღვრობას,
ვით გადასწვდება
უმწუთ თვალი?
სამყაროს წესრიგს
და მყუდროებას
იდუმალეების
არტყია რკალი.

მთვარე, ვით მართლა
ვაჟი მიჯნური,
მოიარებით
გარს უვლის მიწას.
თითქოს აქვს თვალი,
თითქოს აქვს ყური
შეუწებლობის
ზუსტ მანძილს იცავს.
და მნათობებიც
გალაქტიკისა,

უანგარიშო,
აურაცხელნი,
თავთავიანთი
სამანებობა,
კეთილი ნებით
არიან მცველნი.

მზე დიდებული
უსაზღვრო ცაში
ცხოველმყოფელად
ბრწყინავს მარადის.
თავის არეში
გააქვს კაშკაში,
თავ-თავის დროზე
ამოდის,
ჩადის.

იგი არ ცდილობს
რომ დაეკავოს, —
გასრისოს:
მარსი,
იუპიტერი;
მათი საზღვრები
რომ გადალახოს,
უძღურს ეგვიპტოს,
ვით მძღავრი მტერი...

და ადამიანს
თუ კი უწოდეს
გვირგვინი ყველა
ქმნილებებისა,
— ხალხი ხალხს
რატომ უნდა ებრძოდეს,
არ სდევდეს
წესრიგს პლანეტებისას?..

ან თვით მე
ისე როგორ მოვხუცდი,
რომ ვერ მივაგენ
ჩემი ორბიტა?
რადაცას ველი,
რადაცას ვუცდი
და რეკვიემიც
ახლოს მოვიდა...

მაინც არ მითხრათ,
ამაღდ ელი
მსურს მივადწიოთ
მინდა იქამდე, —
ელემად იქცეს
სამყარო ვრცელი,
გზები გაიხსნას
გალაქტიკამდე.


შრომით და ღმერთით
ქართველები მუდამ ქებულნი,
თავისუფლების დასაცავად
ესმარობდით რკინას,
ემათა სიავის დამთრგუნველნი,
განასლებული,
ჩვენი მამული
დღეს ახალი ნათელით ბრწყინავს.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი მშობლიური
ტურფა მთა-ბარი,
ვაშაყობთ მედგარ, გმირულ შრომით
გმირულ ბრძოლებით;
„ქართლის ცხოვრება“
გზას გვიჩვენებს, როგორც ლამპარი,
რომ ვერ ჩაქრო ქარიშხალმა
მიწყვიტ ქროლებით.

თავისუფლების და სიმართლის
ვალიდებთ ალამს,
ვართ მოტრფილნი მომაგალის
ნათელ-მზიანის,
გვსურს გაიმარჯვოს
კაცთმყოფარულ გონების ძალამ, —
არ ემინოდეს ადამიანს
ადამიანის.

ზეცას შევხარით,
იმედებით ვუცქერთ განთიადს,
ხალისით ვმღერით
მამა-პაპურ მრავალგამიერს;
პირზე ღიმილით ვგვებებით
ეპოქას დიადს,
ელექტრონიკის და რაყეტის
ეპოქას ძლიერს.

გოგონანო, უკუბით გოგონანო



ასე მიმართავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი არაგვის სანაპიროებს, მის ატეხილ ჭალებს. შემდგომშიც, ვინ მოსთვლის რამდენმა პოეტმა მიუძღვნა ლექსები ამ მიდამოებს!

ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის ხეობებსა და კლდე-ღრეებზე სრბოლით მოქანცული არაგვი საგურამოს, ნატანტრისა თუ მცხეთის მიდამოებში გამოვავებელი, განიერ კალაპოტზე მოედინება. თვით მცხეთასთან კი ეს კალაპოტი რამდენიმე ასეული მეტრის სიგანეზე იშლება.

იყო დრო, როცა ეს ადგილები ბებრის ციხიდან მცხეთამდე დგნალის, მურყანისა თუ თეთრი ვერხვის ატეხილ ჭალებს ეჭირა, მაგრამ... სამწუხაროდ, შემოგვრჩა მხოლოდ გაუღებელი, გავერანებული ხრიოკი და რიყე.

ამ ამბავმა დააფიქრა მცხეთის რაიონის სატყეო მეურნეობის ტყის სპეციალისტები: 1958 წლის გაზაფხულზე ამ ვრცელ რიყეზე გაჩნდნენ ტრაქტორები ღრმად მხენელი გუთნებით. გადაიხნა, გადაფხვიერდა არაგვის კალაპოტი მის შესართავთან და მთელ მიდამოზე კანადის ვერხვის ერთწლიანი ნერგები ჩამწყვიდნენ.

კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად შეიცვალა აქაურობა, გაჩნდა პირველი კვირტი, პირველი სიმწვანე, ვერხვის პირველი სუსტი შრიალი და ახალშენმა ტყემ მთელი ოცდათერთმეტი ჰექტარი ფართობი მოიცვა.

1962 წელს ჭალის ნარგავები ოთხი, ხოლო 1964 წელს კიდევ ორი ჰექტარი ფართობით გაიზარდა.

ხელოვნურად დარგული ნარგავების ზრდამ გზა გაუხსნა სხვადასხვა მცენარეთა ბუნებრივ ნაყართა აღმოცენებასაც. კანადის ვერხვის შვიდ მეტრიანი სიმაღლის ხეივანი უკვე საამოდ შრიალებს, და ახლა მას მხარს უმწვენებს დგნალის, ტირიფისა თუ სხვა მცენარეთა წამონახარლები. ყოველივე ეს კი მცხეთელ მშრომელებს საშუალებას აძლევს, იფიქრონ ამ ადგილებში ულამაზესი კულტურისა და დასვენების პარკის გაშენებაზე. ეს პარკი კიდევ უფრო გააღამაზებს საქართველოს პირიანდელ და უძველეს დედაქალაქს.

ვლ. ჭინტაური

ეს დაცემული ვაკე ექვსი წლის წინათ უდაბნოს მოგავონებდათ. დღეს კი აქ მხოლოდ სიმწვანე და ხილვამაზე მეფობს.

ფოტო ვლ. ჭინტაურისა



ამაჟად დგანან ექვსწლიანი ვერხვები არაგვის შესართავთან ჭალაზე გაშენებულ ნარგავებში.



ოცდასული წლის წინათ ვახტანგ ჭაბუკიანმა, ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრის სცენაზე დადგა ა. კრიენის ბალეტი „ლაურენსია“. სპექტაკლი გააფორმა ს. ვირსალაძემ. ლიბრეტო ლაშქე დე ვეგას პიენსის „ცხვრის წყარო“ მოტივების მიხედვით დაწერა ე. მანდელბერგმა.

სპექტაკლი შეფასებულ იქნა როგორც საბჭოთა ქორეოგრაფიის ახალი გაბედული ნაბიჯი უმნიშვნელოვანესი ამოცანის — საბალეტო დრამატურგიაში ჰეროიკულ-რევოლუციური თემის, ხალხური სახეებისა და ხასიათების გახსნის გზაზე; ყოველივე ეს განსახიერებული იყო ცეკვის განახლებული ხერხებით.

შემდგომში „ლაურენსია“ დაიდგა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბევრ სცენაზე; შეიქმნა მისი კინო-ვარიანტიც, რომლის დადგმა ვ. ჭაბუკიანმა შ. მანაგაძესთან ერთად განახორციელა, საერთოდ „ლაურენსიაში“ ხალხის მსურველ ადიატრება მკოვა და იგი ხამართლიანად შევიდა საბჭოთა ბალეტის კლასიკის საგანძურში.

ბალეტის გმირია მთელი სოფელი — ფუნტე ოვებუნა, რომელიც აღსდგა კომანდორის ძალადობის წინააღმდეგ. აქ ნამდვილად ნოვატორულად აღსახა ურთიერთობა გმირებისა და ხალხისა; აქ ცალკეული პერსონაჟები მთელი მათი ინდივიდუალობით, მთლიანობაში წარმოდგენილნი, განსახიერებენ ხალხის გმირულ სულს; იგი იბრძვის და იზრდება დრამატურგიულ მოქმედებაში, რაც გადმოცემულია უსაზღვროდ მდიდარი ცეკვის სტილით.

რელიეზი და ხალხურობა — აი საფუძველი, რომელზეც აგებულია ა. კრიენის თავისი საწყისებით ფოლკლორული, სიმფონური მუსიკაც, და ს. ვირსალაძის ნათელი, სახოვანი ხელოვნებაც, რომელშიც ლაკონიურად და, ამავე დროს, უხვად არის წარმოდგენილი ფერები ორი ესპანეთისა — ერთია მზიური, მოვლვარე, დაუცხრომელი ესპანეთი ხალხისა და მეორე — კომანდორის სამყარო — შავბნელი, მოღუშული და სულისშემხუთველი.

„ლაურენსიას“ ენა — კლასიკური და ესპანური სახასიათო ცეკვის ნოვატორული შენადნობი — საფუძვლად უდევს ყველა ვარიანტის, დუეტის, ჭგუფურ და მასობრივ სცენას, რაც ემორჩილება სპექტაკლის იდეის გახსნის, დრამატურგიულ მოქმედების განვითარების ამოცანებს, პერსონაჟებისა და მასის სახოვან „შერწყმას“.

„ლაურენსიას“ ქორეოგრაფიაში გვაოცებს ხალხური ცეკვების ბოლოქარი, თითქოს ზღვარდაუღებელი სტიქიურობისა და კლასიკური კომპოზიციის მკაცრი, ჰარმონიულად შეფარდებული ფორმების კონტრასტული ერთობა, რომლის მწვერვალია მეორე მოქმედების საქორწინო სექსტეტი. განსაკუთრებული მასშტაბურობით და კომპოზიციური მთლიანობით გამოირჩევა ამ ზედმიწევნით დინამიური ბალეტის მონუმენტური „აქტივტეტურა“, რომლის ნოვატორულ ფორმებში ხალხი და გმირები მოქმედებენ და ვითარდებიან უწყვეტი, აქტიური ურთიერთმოქმედების გზით. სპექტაკლი ზემოქმედების მძლავრ ემოციურ ძალას აღწევს კულმინაციების მომენტებში — ლაურენსიას ხელმძღვანელობით გლახთა

აჯანყებისა და ფრონდოსოს მეთაურობით ხალხის ზეიმის სცენებში. აქ ხალხის ხატოვანად წარმოსახვას დიდი სოციალურ-მხატვრული უღერა აქვს, იგი აუვანილია ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე.

„ლაურენსიას“, ისევე როგორც ჭაბუკიანის სხვა ბალეტებს, ზეიმსა და „ცეკვის დღესასწაულს“ უწოდებენ. ეს უნდა გავიხსენოთ ახლა, როცა საბჭოთა ბალეტის გზა აღნიშნულია ცეკვის სფეროს გაფართოების მკაფიოდ გამოხატული ტენდენციით. და აქ არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საბალეტო კლასიკისა და ცოცხალი ფოლკლორული შეტყველების კანონიერი ფორმების სინთეზი, რომლის საშუალებით ვახტანგ ჭაბუკიანმა „ლაურენსიაში“ განსაკუთრებული სისრულითა და მრავალფეროვნებით ასახა ხალხის ხასიათი და ბედი, ამავე დროს, გადაკლასიკური ბალეტისა და საბჭოთა ქორეოგრაფიის ნოვატორული პრინციპების საუკეთესო ტრადიციების შერწყმის ნიმუში.

დრომ ცხადჭყო, რომ შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ბალეტს, ცხოველი და ქმედითია ახლაც. „ლაურენსია“ დღემდე ჩვენი ბალეტის ერთ-ერთი ყველაზე რეპერტუარული სპექტაკლია (მაგალითად, 1968 წელს იგი 111-ჯერ დაიდგა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სცენებზე).

ბალეტის პერსონაჟები იზრდებიან ბრძოლაში, ხალხთან ერთად. ეს, უწინარეს ყოვლისა, ლაურენსია-გმირი, რომელსაც ვერ ნახავდით ძველ ბალეტში, გმირი, რომელიც არა მარტო განიცდის, არამედ მოქმედებს, იბრძვის და მთელ ამ ბრძოლას მადალი რევოლუციური და ჰეროიკული პათოსი აქვს. აქ უბრალო, სიცოცხლით სავსე, თავისებური ქალიშვილი ხდება ხალხის მრისხანებისა და შურისგების მკაფიო გამომხატველი.

ამ რთულმა ნოვატორულმა სახემ შემსრულებელთა წინაშე ახალი შემოქმედებითი ამოცანები წამოჭრა. ლაურენსიას სახის პირველი შემქმნელი იყო ნ. დუდინსკაი, რომელმაც შთამაგონებლად, განსაკუთრებული დამაჯერებლობით დაგვიხატა ეს სახე. ამ როლში ახლებურად გამოჩნდნენ თავისი ინდივიდუალობით ესოდენ განსხვავებული ნიჭიერი მსახიობები — ალა შელესტი, მაია პლისეცაია, ნ. ტომოფევა. თბილისის სცენაზე ლაურენსიას დასრულებული სახე შექმნა ვერა წიგნაძემ. მის ცეკვაში ერთნაირი ძალით გამოჩნდა ქალური სინაზე, დიდი ტემპერამენტი და მაღალი გმირული პათოსი. ახალგაზრდა მოცეკვავემ ლ. მითაიშვილმა ცეკვის დამაჯერებელ პლასტიკაში, დრამატურგიულად გამომსახველ თამაშში გახსნა თავისი გმირის ხალხური ხასიათი.

ფრონდოსო — ჭაბუკიანი — ესაა ტრეშარიტი შვილი ხალხისა, კეთილშობილი და პირდაპირი, რომელიც

თავისი მტკიცე, ციცილოვანი ბუნების მთელი მგზნებარებით ეძლევა სიყვარულსა და გმირულ გატაცებას. ამ სახეში შესანაშნავი მსახიობი გვაოცებს ხალხის სულის ღრმა-ცოდნით, განუმეორებელი სტილური და პლასტიკურობით.

ფრონდოსომ არა ერთი საბჭოთა მოცეკვავე შთააგონა. მათ შორის დავასახელებთ ბ. ბრეგვაძეს, კ. სერგეევს, ა. მაკაროვს, ზ. კიკელიშვილს. ამ როლის გააზრებაში შეიტანა მისთვის დამახასიათებელი მკვეთრად დრამატული ექსპრესია. ახალგაზრდა ბ. მონავარდისაშვილი ავსებს პარტას ვაჟკაციური ტემპერამენტით, მისი ცეკვის პლასტიკა მონუმენტურობას აღწევს.

ბალეტის დანარჩენ პერსონაჟებს — პასკუალას, ხასინტას, მენგოს, კომანდორს, ასევე მოქმედებთ აქვთ ნათელი ქორეოგრაფიული ხასიათები. პირველი ბალერინა, რომელმაც შექმნა პასკუალას მკაფიო სახე ლენინგრადის სცენაზე — იყო ტატიანა ვეჩესლოვა, ხოლო მოსკოვის სცენაზე — რაისა სტრუჩკოვა, თბილისში კი ამ როლში გამოდგომდნენ ე. გელოვანი, მ. გროშევიჩი, ს. ბურავლიოვა. ხასინტას ტრაგიკული როლი შესანიშნავად გახსნეს მოცეკვავეებმა — ელენე ჩიკვაძემ, ირინე ალიქსიძემ, ეთერ ჭაბუკიანმა.

ვახტანგ ჭაბუკიანმა „ლაურენსია“ თბილისში პირველად დადგა 1948 წელს. სპექტაკლი განახლებულ იქნა 1968 წელს.

სიტყვას ადარ გავაგრძელებთ იმაზე რომ „ფუნტე ოვებუნას“ რევოლუციური პერსონაჟი და რომანტიკული სული დიდად ენათესავება ქართული ხელოვნების ტრადიციებს. მეტად სიმპტომატურია, რომ ამ პიენსის დადგმით დაიწყო ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია.

რთული ნოვატორული ფუნქცია ენიჭება სპექტაკლში კორდებალეტს. მან უნდა გახსნას ცეკვის ხერხებით ხალხის გმირული სული.

„ლაურენსია“ — ეს არის ბალეტი ისტორიულ სიუჟეტზე, მაგრამ დიდმა ოსტატმა ჭაბუკიანმა ის ჩიფიქრა და განახორციელა, როგორც ცოცხალი გამომხატურება ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლაზე ფაშისმის წინააღმდეგ; ბალეტი უდერს, როგორც უმძაფრესი პრაქტიკული უსამართლობისა და ძალადობის, ფაშისტური კაცთმოძულეობის და წყვიადის მიმართ.

ფრონდოსო და ლაურენსია — ცოცხალი მონაწილენი არიან მოწინავე კაცობრიობის საერთო ბრძოლისა ქვეყნად სიმაართლისა და სიყვარულის დასამკვიდრებლად. მხატვრული და ცხოვრებისეული აქტუალუობის ამ შესამებაშია „ლაურენსიას“ წარუვალი მნიშვნელობა.

ნატო ჩხიძე



ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ): ა. შელესტი — ლაურენსიას როლში; ვ. ჭაბუკიანი — ფრონდოსოს როლში; ვ. წიგნაძე ლაურენსიას როლში.


საქართველოს სახელმწიფო თეატრი
 „ლაურენსია“



მკობეზელი
ბიჭლიძე

თბილისის „დინამოს“ გუნდი — საბავშვო კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში.

ფოტო მ. თურქიანი და ვ. პასკოვისა.




▼ ვარძია. თამარ მეფის ფრესკა.

გეოსკეთ- ქვეყნეთის გიდა- წყაღა


ფოტო - თ. კარაშვილი



▲ ლიტონის საბაგირო გზის ტროლეიბან.



▲ ასეთ ნაგებობებს აქ უკვე უფრო ნაბიჯე შეგვდებათ.



▲ ვარძია — კლდეო ქალაქი.




▲ ამ ტერასებზე მალე ხეივანის მადლი გაშენდება.


▲ გნობალი ხეობაში.



▲ ჭავჭავის ილიაღებზე.







საყვარელი დესკოტი

პატარა მარკას ერთი ცული ზნე დასჩემდა: არ დაიძინებს, სანამ ზღაპარს არ მოისმენს. ამასთანავე მოითხოვს, რომ ყოველთვის ახალი ვუამბო.

ყველაზე უფრო ერთი გარემოება მაშინებს: თუ ზღაპრის დასაწყისი რატომღაც არ მოეწონა, შემაჩერებს, — ეგ არ მინდა, სხვა თქვიო. არავითარ შემთხვევას არ ითმენს, ვერაფრით შეაჩერებ, რომ ამბავი საინტერესო იქნება!

აი ახლაც, ჩაიფურთა თუ არა საწოლში, მომთხოვა მოვეუბნო რაიმე. მე კი დიდ გასაჭირში ვარ, რადგან ზღაპრების მარაგი შემოძვლია.

მეზობელ ოთახში რადიო ხმინაობს. ვერდის „აიდას“ გადმოსცემენ.

— გინდა გაიბო რას მღერიან? — ვეკითხები. საბედნიეროდ, თანხმობა იწება.

ვუყვები „აიდას“ შინაარსს. ერთხანს გულდასმით მოსმენს, ხანდახან თვალები ეღულდება, მაგრამ მაინც მაიძულებს განვაგრძო ამბავი.

ბოლოს ცხადად ვამჩნევ, რომ ძილს ებრძვის.

— როდის დამთავრდება ოპერა? — მეკითხება მისუსტებული ხმით.

— როდის და, რადამეს ცოცხლად დამარხვენ, მასთან მიწის ქვეშ შეიპარება აიდა, ერთად იმღერებენ სიკვდილის წინ და ამის შემდეგ ოპერაც დამთავრდება...

ერთ წუთს კიდევ უსმენს, მეერ თვალს ხუჭავს და ლულულდება:

— მაშეო, ძალიან მეძინება. ჩასახე მათ რადიოში, რომ მალე მოკვდნენ.

რადიო გამოვითმე. პატარა დესკოტსაც მაშინვე ჩაეძინა.

ჩემი ნაცნობი მიზანტროპი

— რა საჭიროა, რომ ადამიანი ცოცხლობს? რა აზრი აქვს ცხოვრებას? არავითარი! ზამთარი და ზაფხული, ბუნების მხოლოდ უაზრო მოვლენა გახლავთ, მეტი არაფერი!

ბედნიერების და სიხარულის გრძობას ადამიანის პირუტყვეულ თვისებად სთვლიდა, ქადაგებდა ცხოვრების ამოებას, სიკვდილი შეებად მიაჩნდა, ხოლო თვითმკვლელობა სიცოცხლის ლოგიკურ დასასრულად.

...ახალგაზრდობამ განვლო, შუახანს გადასცილდა, მაგრამ ახლაც იმავე აზრისაა და ისევ ისე გულაღრენილია.

მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში კი ყველაფერზე დახარბებული იყო, თავს სათუთად უვლიდა, საუკეთესო აგარაკებზე ისვენებდა, ცდილობდა რაც შეიძლება კომფორტით ეცხოვრა და ერთი წუთითაც არ დამცხრალა მასში პატივმოყვარეობისა და შურის გრძობა.



ოჯახის სიხარული


სამი გოგონას შემდეგ ოჯახს ვაფი შეეძინა. საოცრად გახარებულმა მამამ, გასტრონომიული მალაზიის სექციონერმა, გადაწყვიტა განსხვავებული სახელი უწოდოს შვილს, ბევრი არჩია და ბოლოს დაარჩია: დიოკლეტიანე.

— ვერაფერ ვერ შეეცილება სახელში! მაშინვე ყველა გაიგებს თუ ვინაა ლაპარაკობენ! ჩემი დიოკლეტიანე ერთადერთი უნდა იქნეს მთელ ქალაქში! — აღტაცებული იყო მამა თავისი გადაწყვეტილებით.

ბიჭის დედა კი უბრალო ქალი იყო, უჭირდა იმ უცხო სახელის გამოთქმა და რადგან ვერ იქნა და ვერაფრით ვერ შეეჩვია, თავის შვილს „ტლიკიანეს“ ეძახდა.

— ტლიკიანე, შვილო, მოდი ჩემთან ჩემო გამხარებელო!

ეს სახელი შერჩა ბიჭს და დღესაც, როცა ის უკვე დავაყვავებულია, ასე ეძახის და იცნობს ყველა.



დიდი ჰუმანისტი

სადილზე პარმენი ყოველთვის ისე ძღვებოდა, რომ ამის შემდეგ სულის ამოთქმა უჭირდა და, ბოლოს, კიდევაც წაუტირებდა ხოლმე.

— რა იყო, რა გემართება, ადამიანო? — უკვირდა ცოლს.

— ოხ, შემეცოდე, ჩემო დაჟინე... გული მტკივა მე უბედურს... რად დამსაჯა ღმერთმა, რად მომცა ასეთი კეთილი გული! — ოხრავდა და ცრემლებს იშვინდა პარმენი: — ამ თვალუწვდინ დედამიწაზე იქნებ ახლა საღდაც, ვილაცას ლუკმა-პური არ გააჩნია და შიმშილი აწუხებს. პო და, ამას რომ წარმოვიდგენ, უნდა ავტირდე, აბა რა იქნება!

კასპერიუასიის ახალი წესი

ატომის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების სფეროში მეცნიერება სულ უფრო და უფრო ახალ წარმატებებს აღწევს. ასე, მაგალითად, მეცნიერებმა უკვე დაადგინეს, რომ რადიოაქტიური დასხივება საკვები პროდუქტების სრულ სტერილიზაციასა და პასტერიზაციას იწვევს. განსაზღვრული დოზით დასხივების შემდეგ მიკრობები იღუპებიან და პროდუქტები, მაღალი ტემპერატურის დროსაც კი, მნიშვნელოვნად მეტ ხანს სძლებენ. კერძოდ, კარტოფილი, ამგვარი დასხივების შემდეგ, ცოცხლად ინახება თვრამეტ თვეს. დასხივება ასეც ხდება: პროდუქტებით სავსე გემს ერთბაშად გაასხივებენ და ამით პროდუქტები უკვე სამი დღე არის დაცული წახდენისაგან.

ბალანსი მთლიანად შეიხველა

ასი წლის წინათ ყოველგვარი სახის სამუშაოს 94 პროცენტი ადამიანისა და ცხოველის კუნთების ძალით სრულდებოდა, 6 პროცენტი კი მოდიოდა ქარზე, წყალსა და სათბობზე. ამჟამად, ეს ბალანსი მთლიანად შეიცვალა: 97 პროცენტზე მეტ ენერგიას, რომელსაც ადამიანი იყენებს, სათბობი იძლევა, 1,5 პროცენტს გვაძლევს წყალი, 1 პროცენტი კი ცხოველისა და ადამიანის კუნთების ძალით სრულდება.

თითისისლიანი ქარიყლაპი

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ექსპედიციამ ინდოეთის ოკეანეში დაიჭირა ქარიყლაპი, რომელსაც მთლიანად თეთრი ფერის სისხლი ჰქონდა.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ქარიყლაპის სისხლის შემადგენლობაში არ შედიოდა ჰემოგლობინი და ერიტროციტები, რკინის შემცველობა კი, სხვა თევზების სისხლთან შედარებით, ათჯერ უფრო ნაკლები იყო.

ვიგამინები და... ძველი ხელნაწერები

როგორც გამოიკვია, ვიტამინები არა მარტო ცოცხალი ორგანიზმისათვის არის სასარგებლო, არამედ ისინი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ წიგნებისა და ძველი ხელნაწერების „სამკურნალოდაც“.

ასეთი მეთოდით მკურნალობა პირველად იტალიელმა ბიოქიმიკოსებმა დაიწყეს. მათ ვიტამინების წაცხებით დაშლისაგან დაცვეს ხელნაწერებისა და წიგნების ფურცლები, რომლებზეც უძველესი ტექსტები იყო დაწერილი.

ქიმიური განაცხადი ათასობით, შიდაჯერობით...

მოდრაობის რეფლექსი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია იმ რეფლექსებს შორის, რომლებსაც ავლენს ბავშვი თავისი გაჩენის პირველსავე დღეს. ასეთია ცოცხალი ორგანიზმის მოთხოვნილება, შეთვისებული დღეამიწაზე სიცოცხლის განვითარების მილიონობით წლების მანძილზე. მოძრაობა; ფიზიკური მოქმედება, შრომა — ორგანიზმის განვითარებისა და სრულყოფის აუცილებელი წინამძღვარია.

ყოველი ადამიანის ინდივიდუალური განვითარება განუზრუნავდეს არის დაკავშირებული მის შრომასთან. რაც უფრო ნაკლებად ვმოქმედობთ, მით უფრო ნაკლებად ვითარდებით ჩვენი სხეულის ორგანოები, მით უფრო მცირდება და სუსტდება ისინი. შრომის პროცესში გამოიწვევება ამტანობა, დაღლასთან ბრძოლისა და მისი დაძლევის უნარი... ზოგს ალბათ ჰგონია, რომ ჯანმრთელობის ნამდვილი წყარო — დასვენებაა. მცდარი აზრია. დასვენება შრომის გარეშე — უმოქმედობაა. შრომისა და დაღლის გარეშე არ არსებობს დასვენება. მუშაობით დაღლა კი არ ფიტავს ორგანიზმს, არამედ, პირიქით, ავითარებს და სრულყოფილს ხდის მას. ეს დასვენების მტკიცდება მედიცინის მონაცემებითაც. ექიმებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ თუ სპორტსმენები სუსტად და ზერელედ ვარჯიშობენ და ნამდვილად არ დაიღლებიან ხოლმე, მაშინ აღმადგენელი პროცესები და ძალის განვითარებაც მათში უფრო დაბალ დონეზეა. სწორედ დაღლილობა იწვევს ნივთიერებათა ცვლის ენერგიულ პროცესებს და განაპირობებს სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ადგენას; ამიტომ არის, რომ ვარჯიშის აზრი გამოიხატება იმაში, რომ გაძლიერებული მუშაობით გაზარდოს ორგანიზმის შრომისუნარიანობა.

მასხალად, სწორედ შრომა, მუშაობა, ამასთან არა მსუბუქი, არამედ დამღლელი, მოქმედებით არის გზა ფიზიკური განვითარებისა და სრულყოფისაკენ. უმოქმედობა კი იწვევს ინვოლუციას ანუ უკუგანვითარებას, ცოცხალი მატერიის ატროფიას. მართალია, შრომა დასვენების გარეშე აძაბუნებს ადამიანს, მაგრამ დასვენებასაც უნდა ჰქონდეს თავისი საზღვარი და იგი უსუსტად იმდენხანს უნდა გრძელდებოდეს, რამდენი ხანიც აუცილებელია დახარჯული ძალის აღსადგენად. გაქიანურებული დასვენება უკვე მავნებდება ორგანიზმისათვის. ამიტომ ყველაზე მისწავნილია აქტიური დასვენება, ერთი სახის მოქმედების შეცვლა მეორე სახის მოქმედებით. ამას თავისდაუფლებურად აკეთებენ ბავშვები — ისინი ერთმანეთს უნაცვლებენ სხვადასხვა თამაშობებს და ამიტომ თითქმის არასოდეს არ იღლებიან.

ჩვენი ორგანიზმის მილიარდობით ქიმიური ძარბანა

ცოცხალ არსებათა ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების ქიმიური მდგომარეობის განხილვა შეუძლებელია. მათი წინასწარი ხარჯვის, წინასწარი გამოფიტვის გარეშე, რაც აძლევს ბიძგს ადგენისა და თვითგანახლების პროცესებს. ჩვენი ორგანიზმის ყოველი უჯრედი შეიძლება შევადაროთ ისეთ უმსხვილეს ავტომატიზირებულ ქიმიურ ქარხანას, სადაც ერთდროულად ათასამდე სხვადასხვა ურთულესი ქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. ჩვენი სხეულში კი ასეთი უჯრედი უფადავია. მარტო თავის ტვინის ქერქი შეიცავს 14 მილიარდ ასეთ ნერვულ უჯრედს. ამიტომ არის, რომ სწორედ ნერვულ სისტემას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა უჯრედების ქიმიისათვის. ცენტრალური ნერვული სისტემისაკენ ნერვული ბოჭკოების მეოხებით ყოველ მხრიდან მიემართებიან იმპულსები — სიგნალები, რომლებიც ამცონებენ მის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენი სხეულის ყოველ უბანში. თავისა და ზურგის ტვინიდან კი, ახლა უკვე სხვა ნერვული ბოჭკოებით, მიემართებიან საბასუხო სიგნალები, რომელთა საშუალებითაც წარმოებს შინაგანი ორგანოების, ქსოვილებისა და უჯრედების მოქმედების რეგულაცია და კოორდინაცია. სწორედ უჯრედთა — ჩვენი ორგანიზმის ამ უთვალავ ქარხანათა მუშაობა განსაზღვრავს ორგანიზმის მდგომარეობასა და მოქმედებას. როდესაც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა ნორმალურად მიმდინარეობს, ადამიანი თავს ჯანმრთელად და მხნედ გრძნობს. ხანგრძლივი და მძიმე მუშაობა ჩვენი ორგანიზმის მიერ აღიქმება დაღლის სახით. ეს იმიტომ ხდება, რომ მუშაობა იწვევს განსაზღვრული სახის ცვლილებებს უჯრედში, პირველ რიგში კი, ტვინისა და კუნთების უჯრედში მიმდინარე ქიმიურ გარდაქმნებში.

ტვინოვანი ქსოვილის ძირითადი საკვები ნივთიერება არის ნახშირწყლები (შაქარი), რომელიც უზრუნველყოფს ტვინის ცხოველმოქმედებასა და იცავს მის ქიმიურ შედგენილობას. ადამიანის მიერ დღეღამეში მოხმარებული 500 გრამი ნახშირწყლებიდან თითქმის 100 გრამს ტვინი შთანთქავს. ნერვული ქსოვილისათვის აუცილებელი ნახშირწყალი არის შაქარი — გლუკოზა. ნერვულ ქსოვილში არსებული მისი მარტა უმნიშვნელოა: ტვინოვანი ნივთიერების 100 გრამი შეიცავს მხოლოდ 0.04 გრამ გლუკოზას. უჯრედთა ნორმალური ცხოველმოქმედების პირობებში გლუკოზის ეს რაოდენობა მხოლოდ 10 წუთს იკარგება. ამიტომ ტვინის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი უჯრედების მუდმივი მომარაგება გლუკოზით, აგრეთვე უნებდადით, რომლის ნაკლებობის მძაბრთ ტვინი განსაკუთრებით მგრძობიარეა.

როდესაც ადამიანი მძიმე კუნთისმიერ სამუშაოს ასრულებს, შაქრის შემცველობა სისხლში მნიშვნელოვნად ეცემა. ამის შედეგად ტვინი იღებს შაქრის არასაკმარის რაოდენობას და მისი მუშაობის უნარიანობა მცირდება. თუ ასეთ მდგომარეობაში ადამიანი რამდენიმე ნაჯერ შაქარს მიიღებს, თავს გაცილებით მხნედ იგრძნობს, მაგრამ რაღა ხდება კუნთებში? რა ცვლილებებს იწვევს მუშაობა კუნთის ქიმიში?

ცენტრალური ნერვული სისტემიდან მამოძრავებელი ნერვების გზით მოსული იმპულსები იწვევენ კუნთის მუშაობას. გაძლიერებული მუშაობა იწვევს კუნთის დაღლასა და მასში რძის მუჟასა და სხვა მუჟავთა დაშლის, პროდუქტების დაგროვებას. რძის მუჟა და შხამიანი ნივთიერება — ამონიაკი კუნთებიდან ადვილად გადაიან სისხლში. მოსვენებულ მდგომარეობაში ადამიანის 100 გრამი სისხლში შეიცავს 10-20 მილიგრამ რძის მუჟას, მაგრამ, საქმარისა ადამიანმა იწყოს შეშის ხერხვა ან გაიბრინოს 1-2 კილომეტრი, რომ ეს ციფრი 100 მილიგრამამდე გაიზარდება!

ამგვარად, რძის მუჟას (და ზოგიერთ სხვა ნაერთთა) დონე სისხლში კარგი საჩუქარია იმ ცვლილებებისა, რაც მუშაობის დროს ხდება ორგანიზმში. მუშაობისა და დასვენების სწორი შეხამებისას კუნთებს ძალუფთ ხანგრძლივად, დაუღლელად მუშაობა რძის მუჟასა და სხვადასხვა რთული ნაერთების დაშლის პროდუქტების დაგროვების გარეშე.

ცნობილია, რომ მუშაობის შეჩვეული გავარჯიშებული ორგანიზმი დიდი შრომისუნარიანობით გამოირჩევა. გავარჯიშებულ ორგანიზმში სხვადასხვა

ორგანოები შეთანხმებულად მოქმედებენ. ამის შედეგად კუნთები უკეთ მარაგდებიან საკვები ნივთიერებებით და კუნთებიდან უფრო ინტენსიურად წარმოებს ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტების მოშორება. გავარჯიშებულ ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა და სუნთქვა უფრო შეთანხმებულია, ვიდრე გავარჯიშებულ ორგანიზმში. ვარჯიში გავლენას ახდენს თვით კუნთებზე, მის ქიმიურ შედგენილობასა და მასში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის ინტენსიობაზე. დადგენილია, რომ სისტემატური მუშაობა იწვევს კუნთში რთული ნახშირწყლის — გლიკოგენის რაოდენობის მომატებას და ნივთიერებათა დაშლის პროდუქტებისა და რძის მუჟავის უფრო სწრაფ მოშორებას.

ვარჯიში კუნთებში საკვებ ნივთიერებათა უფრო ინტენსიურ და უფრო ეკონომიურ მოხმარებას იწვევს. ამის მიზეზია ის არის, რომ ვარჯიში გავლენას ახდენს არა მარტო კუნთის ქიმიურ შედგენილობაზე, არამედ მოქმედებს ფერმენტულ პროცესებზეც, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლთან ერთად კუნთებში მიტანილი ნახშირწყლებისა და სხვა ნივთიერებათა რაციონალურ გამოყენებას.

დასვენება თუ უმოქმედობა?

ბუნებრივ პროფესორს დრაგომირ მატევეს თავის ერთ-ერთ წერილში მოჰყავს მაგალითი ამერიკელ მეცნიერთა პრაქტიკიდან, რომლებმაც ამას წინაშე ჩაატარეს ე. წ. „უმოქმედობით გამოცდა“. მოხალისეთა ჯგუფს მათ ფეხებსა და სხეულის ქვემო ნაწილზე დაადეს თაბაშირი შვიდი კვირის ვადით. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოხალისეები იცავდნენ კეების ჩვეულებრივ რეჟიმს. შვიდი კვირის მანძილზე თვითუღმა მოხალისემ მოიმატა წონა ცხიმების დაგროვების წყალობით, მაგრამ დაკარგა ორ კილოგრამამდე უძვირფასესი ცილოვანი ნივთიერება. ამასთან, დღით-დღე ეს დანაკარგები უფრო და უფრო საგრძობად ხდებოდა. ყოველივე ამას თან სდევდა მოხალისეთა ორგანიზმის მდგომარეობის გაუარესება. ცდის გაგრძელება შვიდ კვირაზე მეტ ხანს უკვე სახიფათო იყო მოხალისეთა ჯანმრთელობისათვის და მათ თაბაშირი მოხსნეს.


ამ ექსპერიმენტმა, სხვა მრავალ ექსპერიმენტთან ერთად, ერთხელ კიდევ დაამტკიცა ხანგრძლივი უმოქმედობის მავნეობა ცოცხალი ორგანიზმისათვის. ჩვეულებრივ, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმისათვის სრულიად საემარისა დასვენება იმ რვა საათის განმავლობაში, რომელსაც იგი ძილს ახმარს. მაგრამ დასვენებასა და ძილს, წინასწარი დატვირთვის გარეშე, ზიანის გარდა არაფერი არ მოაქვს ორგანიზმისათვის.

მაშ როგორ დავივსებთ მუშაობის შემდეგ? როგორ გავატაროთ ჩვენი შევებულება? ამას რა სწავლა სჭირდება, შეიძლება გავითხრას ჩვენმა მკითხველმა, დაიღლებ და წამოწევი ტახტზე, პატარა ჩასთვლიმე კიდეც, არა და თუ ახლო ზღვა არის, გადი პლაჟზე, გაწევი თბილ სილაზე და მიეფიცებ მუხს. საქმეც იმაშია, რომ სწორედ ასეთ დასვენებას მოსდევს ადამიანის ჯანმრთელობის შერყევა და დაძაბუნება.

დასვენება უნდა მიმდინარეობდეს აქტიურად, ეს ეხება იმათაც, ვინც ფიზიკურად მუშაობს. მით უფრო აქტიური უნდა იყოს დასვენება იმ ადამიანისა, რომლებიც გონებრივ მუშაობას ეწვიან. როცა ადამიანი მრავალი საათის განმავლობაში უზის მაგიდას, მისი ფილტვები, გულსისხლძარღვთა სისტემა და კუნთები ისე არ იტვირთება მუშაობით, როგორც ეს საჭიროა, ნელდება ნივთიერებათა ცვლის პროცესი, ორგანიზმში გროვდება ცხიმები, იკარგება ცილოვანი ნივთიერებანი, ერთი სიტყვით, იქმნება დაახლოებით ისეთი მდგომარეობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ზემოხსენებული ექსპერიმენტის დროს. ასეთ შემთხვევაში 15-20 წუთიანი ფიზიკური ვარჯიშის კი უფრო რამ არის ჩვენი ორგანიზმისათვის. იგი „გადართავს“ დატვირთვას ერთი ნერვული ცენტრიდან მეორეზე.

ის მუუდრობა და მოსვენება, რომელსაც ზოგჯერ ვაიგივებთ „ჯანმრთელობის გაფრთხილებასთან“, სწრაფად შლის ორგანიზმს, მაშინ როცა გონიერი შრომა და ფიზიკური კულტურა იცავს და აკუბებს მას. ძალის, ენერჯის, მხნეობის, გონებრივი დასვენების, ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის ყველაზე ეფექტური წყაროებია სპორტული მოედნებსა და აუზებში ვარჯიში, ტყეში ან მთებში გასიერება, ტურისტული ლაშქრობები, ნიჩბოსნობა, მეთხილამურეობა და ა. შ.

როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის დროს ჩვენ ბევრად უფრო ვიღლებით დიდუბელები, არაორგანიზებული, მოსაწყენი, უაზრო მუშაობისაგან და ვიღებთ მორალურ კმაყოფილებას დაძაბული, მოქმედებით, ნაყოფიერი შრომისაგან. მაგრამ გონებრივი შრომა ყოველთვის უნდა ერწყმოდეს ფიზიკურ შრომას, უნდა ენაცვლებოდეს მას. შრომის სწორედ ასეთი ერთობლიობა უზრუნველყოფს ხანგრძლივ, აქტიურ, უმოქმედობით სიცოცხლეს.



ყვანასკნაჲ ბეჩაჲეჲსონ

მ ო თ ხ რ ო მ ა

მოკრი მესიხივილი

მთელი დღე უჯდა ქეთევანი დისერტაციას, წუხელაც თერთად გაათენა. უკანასკნელად ასწორებდა — ჩაწერდა სტრიქონს, ისევ წაშლიდა, ეძებდა უფრო ზუსტ სიტყვას, ზუსტ გამოთქმას... და აი, მგონი, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს.

მაგრამ დაიღალა, ძლიერ დაიღალა. კიდევ ერთი კვირა და შემდეგ კი... შემდეგ — ხალხით გაჭედილი აუდიტორია, სხედან ნაცნობები, უცნობები, ელიან დისერტანტის გამოჩენას... აი, ქეთევანაც შემოდის... დღევანდელი... იწყება პაექრობა, უწონებენ ნაშრომს, აქებენ... მაშ, ამაოდ არ ჩაუვლია ამდენ შრომას, ძიებას. ულოცავენ, ხელს ართმევენ, ჰკოცნიან, ახალ წარმატებებს უსურვებენ... ფიქრით, ოცნების თვლით ხედავს ქეთევანი ყველაფერს... აი, ის რაც უნდოდა, მიაღწია ყველაფერს და ბედნიერია...

და უცებ საღვთო, გულის სიღრმეში რაღაც გაჰკრავს ხოლმე — „ნუ ატყუებ თავს, ბედნიერი მაინც არა ხარო!“

ქეთევანი გზას უკეტავს ამ ფიქრს და ისევ ხალხით სავესე აუდიტორია უდგას თვალწინ.

ისევ ჩაიკითხა ბოლო ფურცლები. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო. შებინძურებულიყო. გაზაფხულის საამო ნიავი, თითქოს ახლად გამოღვიძებულ ჩვილს ეაღვრებოდა დედა, ნაზად მოეფერა სახეზე, შემდეგ ოთახშიც შემოიჭრა და ყველა კუთხეში აკაცის ყვავილის გამაბრუნებელი სურნელი მოაფრქვია.

ფანჯარასთან ვეება აკაცია იდგა. ქეთევანმა თვალი ვეღარ მოაშორა.

— როდის აყვავდა? ნუთუ ერთ დღეში? გუშინ ერთი ყვავილიც არ შემინიშნავს.

ქეთევანი და ის აკაცია ტოლები არიან. მამამ თურმე ქეთევანის დაბადების დღეს მოიტანა ნერგი, მოიტანა და ამ ფანჯრის გასწვრივ დარგო ეზოში... იზრდებოდა გოგო და იზრდებოდა ეს ხეც, ახლა მის ტოტებზე ბელურები შემომსხდარიყვნენ და ისეთი ყვივით გაჰქონდათ, თითქოს ავითონ გაზაფხული წკრიალებს და ხმაურობსო.

ერთი მოზრდილი ტოტი კი უკვე გამხმარიყო, ნუთუ ასე მალე დაბერდა აკაცია!

ძლიერ მოუწინა პაერვი გასვლა.

— ცოტას შევისვენებ — წამოიძახა ხმამაღლა და თავისავე ხმამ შეაკრთო.

— ხმის გამცემი მაინც მყავდესო! — გაიფიქრა რატომღაც.

მობრუნდა და უცებ ვიღაცას მოჰკრა თვალი. თმებგაშლილი, ლოყებშეფაკლული, თვალბდაწითლებული ქალი სევდიანად იყურებოდა სარკიდან. ქეთევანს გააჟრჟოლა.

„წუხანდელი უძილობის ბრალია, მალე გაივლის — დაიმედა თავისი თავი.“

თვალეები დახუჭა, მოისრისა, გაახილა და... იმ ქალს ისევ ჰაღარა შეამჩნია.

— ჰე...

ახლა თვალის კუთხეებისკენ გაექცა მზერა. ნაოკები რაღაც გამომწვევად იტყირებოდნენ სარკიდან. სწრაფად აარიდა თვალი სარკეს, ერთხანს უმიზნოდ იბორიალა ოთახში, მერე ტანსაცმლის კარადა გამოაღო, კაბა გამოიღო, დახედა და შეცბუნდა. აღჩინდელი იყო.

„რაღა ეს მომყავო“, — გაიფიქრა.

მაინც ჩაიცვა, ისევ სარკესთან მივიდა, მოტრიალდა. არ მოეწონა. ახლა ტანზე ისე არ ადგა, როგორც ოდესღაც, სახესაც ისე არ უხდებოდა.

— ეჰ... „დღეები რბიან და მე“...

გამოეწყო, ქუჩაში გამოვიდა. მარტოდმარტო ჩაყვა ელექტროლაამპონებით გაჩახახებულ პროსპექტს.

რამდენი ხანია სასიეროდ არ გამოსულა ქეთევანი. მარტო სიარული ეხამუშებოდა, მეგობრები კი თანდათან შემოფანტნენ, დაოჯახდნენ და ახლა იშვიათად თუ შეხვებოდნენ საქმეზე მიმავალნი.

რა კარგი იყო, მათთან ერთად სიცოცხლისკისით რომ იკლებდა ქუჩას...

აგერ იმ ქუჩის კუთხეში ნინო ცხოვრობს. წინათ აუცილებლად გაუვლიდა. ახლაც ხომ შეიძლება ავიდეს...

კვირაა, საღვთო ეკლესია ქმრისა და შვილების პატრონის...

რუსთაველის ძეგლთან ჰაბუბების ჯგუფს გადაეყარა, რაღაცზე დაობდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ; ერთი მათგანი ყველასათვის შესამჩნევად ლელავდა, დაყინების უმტკიცებდა მეგობრებს რაღაცას.

ქეთევანს მისი სახე ეცნაურა.

— გამარჯობათ, დეიდა ქეთევანი! — მიესალმა იგი.

— გაგიმარჯოს, — უბასუხა ოდნავ შემცბარმა ქეთევანმა.

სად უნახავს ეს ბიჭი! მოიცათ, ეს ხომ ლევანის შვილია... მისი ხმა, სახე, თვალეები... ალიკვალი მამა...

და უცებ ის საღამო გაახსენდა, მოქუფრული, ქა-

რიანი... პროსპექტზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა გამვლელი.

გაჩახახებულ დარბაზში კი სუფთა იყო გაშუქებული. ახსოვს ქეთევანს — ნინოც უკვე დაკარგა ნიცი, მედიკოც... ყველა მხიარულობდა, მარტო ლევანი იყო მოწყენილი. არ იქნა და ვერ აიყოლოცა ბიჭებმა.

გვიან დაიშლნენ. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ცაზე გამთენიის ვარსკვლავი ენთო.

ლევანმა ქალიშვილები გააცილა. ისე მოხდა, რომ ბოლოს ის და ქეთევანი მარტონი დარჩნენ. უხმოლ მიაბაჩებდნენ.

სახლამდე ისე მივიდნენ, ლევანს ხმა არ ამოუღია. სახლთან კი შედგა, მოაბრუნა ქეთვინო, თვალეებში ჩახედა და...

— არა, ასე არ უნდა მომხდარიყო ქეთვინო, — უთხრა მამამ ლევანმა, — მაგრამ დეე, აღარაფერს გეტყვი... ნეტავი შენ ჰაანც იყო ბედნიერი...

თქვა ეს და გასცილდა... რამდენი ხანია მას შემდეგ.

კინოთეატრის შესასვლელთან ხალხი შეჯგუფებულიყო. ქეთევანმა აფიშას შეხედა. საშინლად მოუნდა ამ სურათის ნახვა, მაგრამ მარტო შესვლა ეუხებურხულა. ერთხანს იყოყმანა. ბოლოს მაინც ჩადგარეგში, რადგან ამ ვეება ქალაქში აღარ იყო ერთი კუნძულიც კი, სადაც მას წასვლა შეეძლო.

ფილმი დამთავრდა და ქეთევანი გარეთ გამოვიდა. ტროლეიბუსის გაჩერებასთან შევილივით გოგონას ვიღაც ბიჭისათვის პიკაჟის ლილში ჩაევლო ხელი და თვალეებში შესცივინებდა.

ქეთევანი შორიახლო დიდგა.

„მშვენიერი წყვილია“ — ამოიხრა და ფიქრით თავის ბინას გადასწვდა: ჩანებულული ოთახი, ქვეყნის წიგნები — ქართული, რუსული, ფრანგული და... მარტობა... სიცარილე... სიცარილე...

შეეშინდა. თავს ძალა დაატანა არ ატირებულყო.

...ტროლეიბუსი კი არ ჩანდა.

ვიღაც რუხკოსტუმიანი მამაკაცი მოვიდა გაჩერებასთან.

— ჩანს მე ერთი არა ვარ, ასე მარტო რომ დავეხეტები! — გაუხარდა ქეთევანს და ახლად მოსულს გადახედა.

მამაკაცს, ნადრევი მელოტის გამო, თავი საოცრად უპრიალბდა ლამპონების შუქზე.

მოვიდა ერთი ტროლეიბუსი, შემდეგ მეორე, მესამე... რუხკოსტუმიანი კი დგას და დგას. გრძნობს ქეთევანი, რომ იგი ზოგჯერ მას გადმოხედავს ხოლმე, დააქერდება, მაგრამ როგორც თვალს შეასწრებს, უცნობს მზერა სხვაგან გადააქვს.

კიდევ ერთი ტროლეიბუსი ჩამოვდა. ხალხი მიაწყდა, ყველა წავიდა, უცნობის გარდა.

— მეც ხომ ეს ტროლეიბუსი მინდოდა? რატომ არ გავყვევი? — შეშფოთებით დაეკითხა ქეთევანი თავის თავს.

და ახლა კი იგრძნო ქალმა, რომ ამ კაცს ელოდა. იგრძნო და ელდა ეცა...

„რატომ, არ მიდის“ — ტვინის უბურღავდა ეს ფიქრები — „ალბათ, უნდა რაღაც მითხრას, ნუთუ ვერ ბედავს?“

მერე ავტობუსი მოვიდა. „ვაგონ-პარკ“ — ღრიალებდა კონდუქტორი.

მამაკაცი მკვირცხლად შეახტა ავტობუსს.

ილია სოფხარია

ფიქრებს გავყვევი და ვინ იცის სად წამიყვანა, ლექსი მინდოდა დამეწერა, შემომამაღა, დაფარვატებდა უგზო-უკვლოდ როგორც ფარვანა, ერთი ოცნება სატილო — სულს მიდაღავდა.

ხან სიხარულის, აღმაფრენის გაშლიდა აფრებს, ეღინებოდა დაუმშრალი, სიცოცხლის წყაროდ, გამიფანტავდა გამოუცნობ მშფოთვარე აზრებს და მინდებდა მაჭისცემას ის უმოწყალოდ...

მინდვრად მოფენილ ყვავილების მესმოდა სუნთქვა, იდგა ბურუსი გამჭვირვალე, სადაფისფერი, ხშირად ღრუბლები ირიოდნენ, ცა იყო გულქვა, გაოგნებული დამტყვროდა — არაფრისმთქმელი.

ცხოვრების ძნელ გზას რომ უშიშრად ვეჭიდებოდი, ვერას მაკლებდა ბოროტ კაცის ხელი მსახვრალი, წავიქცეოდი? მაგრამ ისევ ფეხზე ვდგებოდი, სიჭაბუკიდან დაწყებული ვიყავ მამგრალი.

თანამგზავრით სიხალისე მე ხომ თან მსდევდა, მკერდზე ვიხევედი მორცხვად გაშლილს წითელ ყაყაჩოს, აწ გამეცალე საშუალოდ, შორს ჩემგან, სევდავ, ქვეყნად სიხარულს მოვისწარი, ამას რაღა სჭოხს...




ერთგვარების უმნიშვნელოვანესი ფენომენია. იგი ხელს უწყობს საერთაშორისო კულტურული და ეკონომიური კავშირების განვითარებას. საერთაშორისო ტურიზმი ფრიალ გაძლიერდა უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. მსოფლიოს ახალი სახეების წარმატებისა და ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყნების მიერ სავალუტო შეზღუდვების მოხსნის შედეგად.

1961 წელს უცხოელ ტურისტთა რაოდენობა უდრიდა (მილიონობით): იტალიაში—9,6; ესპანეთში—8,6; საფრანგეთში—5,8; აშშ—5,4; შვეიცარიაში—5,4; გერმანიაში—4,9; საბერძნეთში—4,4. მთელი რიგი ქვეყნები უფრო მეტ ტურისტს ჰგზავნიან, ვინემ დღეებულებენ და მათი, მაგალითად, აშშ, ინგლისის, გერმანიის, შოტლანდიის უცხოური ტურიზმის შემოსავალ-გასავლის ბალანსი პასიურია.

ტურიზმის, როგორც ბიუჯეტის წყაროს შესახებ

საქართველოს ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფენომენია

პაპა მგებელი



მცნირების განვითარების ბრიტანულმა ასოციაციამ "თავის მორიგ, ასოციაციებზე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, წელს, აგვისტოში მიიწვია სხვადასხვა სპეციალობის ათობედ საბჭოთა მეცნიერი, რომელთა შორის მე ვიყავი ერთადერთი საბჭოთა ეკონომისტი. კონგრესი მიმდინარეობდა ქ. საუტემპტონს. მე მონაწილეობა მივიღე მის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სექციების მუშაობაში.

შემდეგ, სექტემბერში, როგორც ტურისტმა, ორიოდე კვირა ვიმოგზაურე ინგლისში. ჩემი ინგლისური შთაბეჭდილებების შესახებ, ვფიქრობ, ზოგი რამ საერთოდ აღაფრთოვანებდა. აქ კი შევეხები კერძოდ ორიოდე ეპიზოდს.

ინგლისური უმნიშვნელოვანესი ცენტრში, ქ. ბირმინგემში ყოფნის დღეებში „პრავდის“ კორესპონდენტი ი. გავრილოვი და მე სტუმრად მიგვიწვია გაზეთი „ბირმინგემ ივინგ მელის“ რედაქტორმა. ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინგლისური გაზეთია, რომლის საგამომცემლო კომპანია დღემდე სამ გაზეთს უშვებს. ცალკე ნომერი ჩვეულებრივ 20 გვერდიანია: გაზეთში ფრიალ დიდი ადგილი უჭირავს განცხადებებს.

უწინარეს ყოვლისა, გაზეთის ინფორმაციისა და ზოგიერთი სხვა განყოფილება დაგვათავლიერებინებს, მერე საინტერესო ბაისი გაიმართა რედაქტორთან, რომელიც გვარწმუნებდა, რომ გაზეთი, სადაც იგი წელიწადია მუშაობს, უპარტიოა და ემსახურება მოსახლეობის უადრესად ფართო მასებს—წვიდს მათ მიუკერძოებელ ინფორმაციას და ინფორმირებულ მოსაზრებებს. თვითონ მან წინაარჩევნებში ხმა მისცა კონსერვატორებს, ახლა კი გაღწევილი აქვს ლიბერლისტებს და უჭირავს ხმარი და ა. შ. ჩვენც ცხადია, როგორც სტუმრებმა, „ინდიფერენტულად“ მოვისმინეთ მთელი ეს საუბარი. საერთოდ კი ჩანდა, რომ ეს კაცი თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული იყო.

რედაქტორმა მკითხა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე საუტემპტონში გამართულმა ბრიტანეთის მეცნიერთა ყრილობამ, რა წარმოდგენა მქონდა მანამდე საერთოდ ინგლისისა და კერძოდ ბირმინგემზე. მას ძლიერ მოეწონა, როდესაც ამ საუბრისას მე გავხსენე, რომ ქ. მარქსი ბირმინგემს ახასიათებდა როგორც „სოფლიო სახელოსნოს“.

მეორე დღეს, 2 სექტემბერს სასტუმროში მივიღე ხსენებული გაზეთის ნომერი, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი საუბრის შინაარსი და ჩემი პორტრეტი, თანაც ზოგიერთი ცნობა ჩემი ვინაობის შესახებ.

პირველ სექტემბერს, საღამოს, საბჭოთა მეცნიერები თავის ოჯახში მიგვიწვია ინგლისის პარლამენტის წევრმა, ლიბერლისტმა ჯულიუს სიდვერმონმა. აქ ჩვენ დავიხსენებინე ადგილობრივი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეები. მასპინძელმა გამოიტანა მრავალგვარი სასმელი—ღვინოები, კონიაკები, ლუდები, ხილის წყლები და ტბილეთულობა—ნამცხვრები, კონფეტები და სხვ., რასაც თვითონ და მისი მეუღლე ენერგიულად გვთავაზობდნენ.

საუბარო ენებოდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს, წინასწარჩევნო კამპანიას, რაც მამინ ინგლისში მიმდინარეობდა, მეცნიერების სხვადა-

სხვა დარგის, თანამედროვე ოჯახის მდგომარეობას. სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას, დამხვედურთა და სტუმართა ოჯახურ და საბინაო ამბებს და სხვ.

ჩვენი იქ ყოფნის დროს მასპინძელს საჩვენებლად მოუტანეს წინასწარჩევნო კამპანიისთვის მომზადებული მისი სააგიტაციო პორტრეტის სასიგნალო ამონაბეჭდები, რომლის ერთი ეგზემპლარი თავისი გრიფით მან მე მაჩუქა; ამონაბეჭდის გამო მის მომტანთან საუბარში მე, როგორც პოლიგრაფისტმა, ზოგიერთი შენიშვნა გამოვთქვი ქაღალდის ფერისა და ანაბეჭდის სისუფთავის შესახებ. მასპინძელმა ყველა ისინი გაიზარა.

2 სექტემბერს, საღამოს ქ. ბირმინგემში მიწვეული ვიყავი ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ადგილობრივი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, რაბინის რუბენ ბრუკის ოჯახში. ბრუკს აქვს ზოგადი ხასიათისა და კერძოდ ისტორიულ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული გამოცემების საქმად მდიდარი ბიბლიოთეკა. ის ისრაელის სახელმწიფოში ხელმძღვანელობს ერთ-ერთ არქეოლოგიურ გათხრას, სადაც მუშაობა, როგორც ჩანს, ჭერ კიდევ არ დამთავრებულა. მან ჩვენ გვაჩვენა ამ საშუაოთა გამოსაქვეყნებლად მომზადებული ფოტოსურათები და ნახაზები.

საუბარში სიტყვამ მოიტანა და ბ-ნმა ბრუკსმა თავის ბიბლიოთეკაში ამ თემაზე მომიძებნა და მაჩვენა ერთი საინტერესო წიგნი „ებრაული წილი-წიდეული“, გამოცემული ლონდონში, 1964 წელს, საიდანაც მე ამოვწერე ცნობები მსოფლიოში ებრაელთა მოსახლეობის შესახებ: ამჟამად დღემდე წაწე თურმე სულ ცხოვრობს 12,9 მილიონი ებრაელი, რომელთაგან ყველაზე დიდი მასები არიან აშშ—5,6 მილიონი; სსრ კავშირში—2,8 მილიონი, თვით ისრაელში—2,1 მილიონი; არგენტინაში—0,4; საფრანგეთში—0,5; დიდბრიტანეთში—0,5; კანადაში—0,3; მაროკოში—0,1; რუმინეთში—0,1; სამხრეთ აფრიკაში—0,1 და ა. შ.

ამ წიგნში აღნიშნული იყო თუ რომელ სახელმწიფოში და სახელდობრ სად (ქალაქი, სოფელი) არის ებრაელთა სინაგოგები, მაგრამ კერძოდ საქართველოში მათი არსებობა არ იყო ნაჩვენები. დამზიდებლისას ქვეყანა მიიხრა: „ვაპირებ ჩამოვიღე საბჭოთა კავშირში და თუ თბილისშიც მოვედი, იმდენი თქვენი სახით იქ ნაცნობს შევხვდებოკ“—ამაში იგი მე დავითბედი.

ბრუკის ოჯახობა დაბეჭთებით მთხოვა, რათა მათთვის გამეგზავნა რამე ქართული სიმღერის ფირფიტა. ასეთივე თხოვნა თუ სურვილი კიდევ სხვა ოჯახებშიც გამოვთქვა.

ტურიზმი, —ადგილობრივიც და საერთაშორისოც—ცნობილია ჭერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან. პატარა ალექსანდრე მაკედონელი ბევრს ოცნებობდა უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობაზე და, თუმცა მან მრავალი ქვეყანა მოიარა, საზღვარს მაინც ფეხი ვერ გადაბიჯა, რადგან იგი... იპყრობდა იმ ქვეყანას, სადაც კი შევიდოდა.

ტურიზმი განსაკუთრებით განვითარდა ჩვენს ეპოქაში. თანამედროვე მასობრივი ტურიზმი ხალხთა ურთიერთგაცნობისა და, მავსადამე, ურთი-

საკმარისია ითქვას, რომ ეს შემოსავალი 1961 წელს შუადგენდა ჩვეულებრივი ექსპორტის მთელი ღირებულების 51 პროცენტს ესპანეთში, 28 პროცენტს ავსტრიაში, 19 პროცენტს შვეიცარიაში და 18-ს იტალიაში.

ტურიზმისგან მიღებული შემოსავალი 1961 წელს უდრიდა (მილიონ დოლარობით): აშშ—975, იტალიაში—755, ინგლისში—577, საფრანგეთში—566, გერმანიაში—421 და ა. შ. საერთოდ, უცხოური ტურიზმი ეკონომიურად მომგებიანია. საქმარისია აღინიშნოს, რომ, მაგალითად, შვეიცარიამ 1960 წელს ტურიზმიდან წმინდა მოგების სახით მიიღო 700 მილიონი შვეიცარული ფრანკი.

უცხოელი ტურისტები შედგებიან უმთავრესად დასავლენებლად გამგზავრებულთაგან, ხოლო საქმიანი მისნით მოგზაურთა ნაწილი ტურისტთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს არ აღემატება. სწრაფად ვითარდება სავაჭრობილო, საზღვაო, სპორტული, სამონადირეო ტურიზმი. ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ტურიზმის სამინისტრო. მასობრივი ტურიზმის ინტერესისათვის, ტურისტული ხარჯების ეკონომიის მიზნით, გემებსა და თვითმფრინავებში შემოღებულია სპეციალური „ტურისტული კლასები“, შემოაქვთ შედგავიანი სავალიუტო კურსები, აწესებენ მოსვენების, ერთ-ორ დღიან მარშრუტებს, საკვირაო ექსკურსიანს, მაგალითად, ლონდონი-პარიზი და ა. შ.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება ტურიზმის განვითარებას, რისთვისაც ჩვენში შექმნილია ფრიალ ხელსაყრელი პირობები. ჭერ კიდევ 1929 წელს დაარსდა სპეციალური ორგანიზაცია „ინტურისტი“, რომლის მიზანია მრავალრიცხოვანი უცხოელი ტურისტების ყოველმხრივი მომსახურება.

ტურიზმი ხელს უწყობს საკუთარი და უცხოური ხალხების ისტორიის უკეთ გაცნობის საქმესაც. სოციოლოგი, რომელმაც ახლობელი თუ შორეული ხალხების ისტორია არ იცის, სხვა ხალხების კულტურას არ იცნობს, ის საკუთარი ქვეყნის ძველი თუ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცივილიზაციის რამდენადმე ობიექტურ შემფასებლად ვერ გამოდგება, რამდენადაც ამა თუ იმ მოვლენის ახსნა-განმარტება, მავსადამე, შეეხება; უწინარეს ყოვლისა, შედარენს გზით უნდა დაიწყოს.

ახლა აქ უნდა ითქვას, რომ ჩემი წარმოდგენა ინგლისზე ერთგვარად შეიცვალა. ნაცვლად ბურჟუანი და უბოროტო კლიმატური რეჟიმისა, როგორც ადრე წარმომედგინა, აგვისტო-სექტემბერში ბრიტანეთში იდგა სინაოლიანი, შეიძლება ითქვას, კაშკაშა და თბილი დღეები; თვალს იპყრობდა მწვანე მიწა და ლურჯი ცა, დიდი ქალაქების სუფთა ქუჩები, სოფლად—უზბადახიანი სამოვრები, ტყეები, პლანტაციები, ყანები, ველად—სავერდის პლაჟიანი ტბები და კუნძულის სანაპირობე—ხომალდებით გავსებული ზღვის უკიდვანო სივრცეები.

მაგრამ თვით ადამიანი ხომ ისევე და იქნებ უფრო უსასრულოა, ვით სამყარო, მართალია, მე მანამდე საქმად ახლოს ვიცნობდი ორიოდე ინგლისელს. დავკვირვებდვარ მათ მოგზაურობის, მუშაობის დროს, სუფრასზე, ნადირობისას, მასლაათში, საქმიან კამათში, მაგრამ ყოველივე ეს ყოფილა აქ, ჩვენში, საქართველოში, რუსეთში, ანდა, ვთქვათ, იტალიაში, შვეიცარიაში, რუმინეთში, თურქეთში, ჩეხეთსა და არა თვით ინგლისში. არათუ ადამიანი, თვევიც კი თავის საკუთარ

ბუნებრივ სამყაროში უნდა ნახო, რათა გაიგო, თუ რას წარმოადგენს იგი. ინგლისელიც, ცხადია, ინგლისში, თავის ოჯახში, უახლოეს მეგობართა წრეში უნდა შეფასდეს. ის, ვინც ადამიანში სიკეთეს ეძებს, იგი მან მის მოკეთეთა შორის უნდა იხილოს.

ინგლისელი სტუმართმოყვარე, გულდია და მომხიბლავია თავის ოჯახში; აქ ის მთლიანად გახსნილია თავისი სულიერი სიმდიდრით.

ტურისტები, რომელიც ამ დიდი გამოფენის, ე. ი. რომელიმე ქვეყნის ადამიანთა მთელი ცხოვრების დასათვლიერებლად მიდის, ჩემი აზრით, მარტოოდენ ცნობისმოყვარე მოგზაური როლია. ხალხური ანდაზაა—ვინც უცხოეთში თავისი ქმეცის ელჩად არ გამოდგება, ის არც მეზობლად და მოქალაქედ ვარგაო.

მ სექტემბერსაც ბირმინგემის მეცნიერებისა და კულტურის, მრეწველობისა და ვაჭრობის დაწესებულებებს ვეცნობოდი. ყველაზე მეტი დრო მაინც უნივერსიტეტში, მის კოლეჯებსა და მუზეუმებში ვავატარებ.

შეხვედრებით, შეკითხვებით, პასუხებით, დათვლიერებით, გაცნობებით, წარდგენებით, საუბრებით, კამათით, ლექციებით, სიტყვებით და გამოსვლებით არაქათამოღულოთ, ცხადია, უადრესად მოვეფიცო, როდესაც სადილად მიგვიწვიეს. ინგ-

ლისელი მეცნიერები საუკეთესო ღვინოებით გვიმასპინძლებდნენ, რომელთა შორის ყველაზე უფრო ესპანური შერი მომეწონა, რომლის ფირმა—„კაზინო“, როგორც ეტიკეტზე წერია, 1780 წლიდან არსებობს, თვით ღვინო კი 1957 წლის მოსავლია იყო.

შემდეგ აქ, სრულიად მოულოდნელად, უნივერსიტეტის მუზეუმის ფერწერის გალერეაში ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა მოწრდილმა ტილომ. ეს იყო ფრანგი მხატვრის ჟან ფრანსუა დე-ტროის (1677-1727) ნამუშევარი წარწერით: იასონი ებრძვის მეფე აიეტის ხარებს.

არგონავტების, კერძოდ იასონის თავდასავლის თემაზე მე ვიცოდი მხატვრების ვანლოს, დელაკრუას, ფოიერბახის და სხვათა ნამუშევრები. რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ სურათს, იგი აქ პირველად ვნახე და მისი ფოტოპირიც, რაც სამასჯეროდ მიძღვნა მუზეუმის თავაზიანმა დირექტორმა, თან წამოვიღე.

სურათის შინაარსი ასეთია: კოლხეთის (იას) მეფის აიეტის (მელიოსისა და პერსის ძის) სახაზლის წინ, მოედანზე, თვით აიეტი და დედოფალი მადლა აზიდულ ტახტზე სხედან, მათთან არის მედეა და გარშემო კარისკაცები; შორიახლო—მხედრონი და იასონის მხლებელი არგონავტები; გარშემო, სხვა-

დასხვა პოეზიაში, წარმოდგენილია ხალხი. განაირას ჩანს მალაღკვარებელზე შედგმული ქანდაკება, სახაზლის უკან—ქალაქი. მოედნის ცენტრში იასონი მახვილით ხელში ებრძვის ცეცხლისმფრქვეველ გავებულ ხარებს. ამ ბრძოლას ზოგი დამშვიდებული შესცქერის, ზოგიერთის სახესა და პოეზიაში ღრმა განცდებია აღებუილი.

როგორც ცნობილია, საერთოდ მრავალი ვარიანტის სახით შემონახული თქმულებების ქმედებები, აიეტი დათანხმდა იასონისთვის (იოლკის მეფის ესონიბა და პოლიმელას ძისთვის), რომელსაც მისმა აღმზრდელმა კენტავრმა ქირონმა სწავლა მკურნალობა (იასონი-მკურნალი, მიეტა ოქროს საწმისი იმ პირობით, რომ იასონი გუთანში შებამდა სპილენძის ნალებიან ალისმფრქვეველ ხარებს და ამ გუთნით მოხუცდებოდა დასთესდა დრავონის კბილებს (რაც იასონმა მასზე შეუვარებულ მეფის ასულის, საოცარი ჯადოქარის, მედეას დახმარებით შეასრულა კიდეც).

ვფიქრობ, კარგი იქნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ან რომელიმე სხვა შესაბამის ორგანიზაციაში, იკისრებდეს ამ ტილოს კოპიის გაკეთებისა და შეძენის ორგანიზაცია. მით უფრო, რომ რამდენადაც ვიცით, ჩვენს მხატვრებს ამ ესოდენ მიმზიდველ თემაზე ჯერ არაფერი შეუქმნიათ და იგი, ამ მხრივაც, შეიძლება ერთგვარი ბიძგის მიმცემი გახდეს.



შემდეგ, ისინი აცოცდნენ ხეებზე და დაიწყეს ფოთლების სხევა. საქმე რომ მოათავა, ქალმა დაიწყო ხიდან ჩამოსვლა. ვეფხვი შეუმჩნევლად მიეპარა მას და ფეხში სწვდა. ქალმა თავგანწირული დაძაბვის შემდეგ ხელს გაუშვა როკს, რომელსაც ეყრდნობოდა ხიდან ჩამოსვლის დროს და ვეფხვმა მსხვერპლი ხრამში გადაიგვია. ქალმა ფეხზე წამოდგომა სცადა. მაგრამ ვეფხვმა მას პირი სტაცა ყელში, გაგულა, შემდეგ ამოხტა ხრამის ნაპირზე და თავისი მსხვერპლით გაუჩინარდა ხშირ ბუჩქნარში.

გასაგებია, რომ ამგვარ მხეცებზე ნადირობა ფრად საშუალო და საფრთხილო საქმე იყო. კაციკამია მხეცები ისე არიან დაგვიშლი და გამოცილილი, რომ პაერის მოძრაობითაც კი გებულობენ ადამიანის ადგილამყოფელს და უსაფრდებიან მას. ამის საილუტრაციოდ ავტორს თავის წიგნში მკ-

სასიკაიე

ვეფხვსა და ავაზებსა ეონაღიკა

ჯიმ კორბეტი ცნობილი ინგლისელი მონადირეა, რომელიც თითქმის ოცდაათწლიანი წლის განმავლობაში ჯუნგლებში ნადირობდა კაციკამია ცხოველებზე — ვეფხვებსა და ავაზებზე. მთელი ეს ამბები, აღსაყვანი ხან საშინელი ტრაგიკობით, ხან კი გამარჯვების სიხარულით, მან აღწერა კრებულში „კუმანის კაციკამიები“. ეს წიგნი ახლახან გამოსცა „საბტოთა საქართველომ“ (თარგმანი სერგო აბულაძისა).

ტად საინტერესო ამბები აქვს გადმოცემული. „სავსებით რომ წარმოიდგინოთ, — წერს ჯიმ კორბეტი — რა შთაბეჭდილებას ახდენს ვეფხვის ღრენა, უნდა იმყოფებოდნენ ისეთსავე ადგილას, სადაც მე მაშინ ვიყავი. არა მგონია, რომ მაშინდელი ჩემი განცდები ბოლომდე გასაგები იყოს მკითხველისათვის. ვეფხვის ღრიალი და მის მიერ თავდასხმის პერსპექტივა მაშინებდა კიდევ, და წარმატების იმედსაც მგვრიდა“.

ჯიმ კორბეტი, გარდა იმისა, რომ უბრწყინვალესი მონადირეა, დაკვირვებული თვალის მწერალიც არის, რომელმაც შესანიშნავად დახატა კეთილი და შრომისმოყვარე ინდოელი ხალხი, ამ ქვეყნის ბუნების წარმტავი სილამაზე.

ჯიმ კორბეტი, როგორც მწერალი და მონადირე, საინტერესო ფიგურაა; ის ჩვენ გვევლინება როგორც დიდალ ჰუმანური და პროგრესული ადამიანი, რომელმაც ცოტა შრომა და გამბედაობა როლი მოახმარა იმას, რომ გაუვალ ჯუნგლებში მოესპო კაციკამია ვეფხვები, ავაზები და მხეცების თავდასხმებისაგან შეწუხებული, მიწიდან აყრილი ღარიბი ინდოელი მოსახლეობა თავისი კერისათვის დაებრუნებია.

„მე მინახავს ისეთი საშინელი სურათები, — მოგვითხრობს ჯიმ კორბეტი, — რომლებიც ქვევსაც კი აბტირებდაო...“ ჯუნგლებში, ერთ სოფელში ქალები ტყეში გაემგზავრნენ პირუტყვისათვის ბალახისა და ფოთლების მოსატანად. ნახევარი მილის გავლის

თინა ჩიკოვია

საქართველო - უკანბი ენკლის თვალთ


„ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ახლახან გამოსცა გამოჩენილი ფრანგი მწერლის ალ. დიუმას-მამის წიგნის „კავკასიის“ ქართული თარგმანი. ამ წიგნმა არ შეიძლება ღრმა კმაყოფილების გრძნობა არ გამოიწვიოს მკითხველთა შორის. პოპულარული ფრანგი ხელოვნებისტი, როგორც ცნობილია, შესანიშნავი მთხრობელი იყო და მისი სამგზავრო დღიურიც დიდი გატაცებით იკითხება. დიუმა ვრცლად ჰყვება თავის წიგნში კავკასიის ხალხების შესახებ, აგვიწერს კავკასიური ომის სხვადასხვა ეპიზოდებს, მაგრამ მთავარი ადგილი წიგნში მაინც საქართველოს უჭირავს. იგი აღტაცებულია ამ მხარის ბუნებით, ქართველების გულუხვობითა და სილამაზით. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ევროპელ მოგზაურს არ მიუძღვნია ჩვენი ხალხის რაინდული თვისებებისა და გარეგნული სილამაზისადმი ისეთი აღფრთოვანებული სტრიქონები, როგორიც ალ. დიუმამ მიუძღვნა. „მე არაფერს ვლაპარაკობ ქართველებზე, რომლებსაც საქართველომ გარეშე ვერსად ნახავთ და რომელიც იმდენად საუცხოო, კეთილშობილი, პატიოსანი, მამაცი, გულუხვი და შემართებული ერა, რომ მას სპეციალური გამოკვლევა უნდა მიეძღვნასო“ — წერს იგი.

ლია ქართველი ერის წარსულში და გულისყურით აგვიწერს ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც მას მოგზაურობის დროს შეხვედრია (მცხეთა, ანანური, გელათი და სხვ.).

დიუმას წიგნში არის ერთგვარი გამოდევნება ეგზოტიკისადმი, მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს წიგნის დიდ ღირებებს. ამ წიგნში ფასული და ღირებულია ყველაფერი, რაც მწერალს უშუალოდ, თავის თვალით უნახავს. მას კი მეტად მახვილი თვალი აქვს. ჩვენს წინაშე ცოცხლად წარმოსდგება მთელი გალერეა მე-19 საუკუნის ორმოცდაათი წლების ადამიანებისა. მათ შორის უნდა დავსახელოთ ეკატერინე ჰავკავაძე, „ციცისკის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, ბარაკონსკი, ორბელიანები; მკითხველს განსაკუთრებით ხიბლავს შემდგომში გამოჩენილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილისა და მისი მამის — ნუსის მმართველი რამაზ თარხან-მოურავის ცხოვრების აღწერა. ეს ადგილები იკითხება შეუწყვეტელი ინტერესით.

„კავკასია“ — თარგმნილია თინათინ ქიქოძის მიერ. თარგმანი თავისუფლად იკითხება, მთარგმნელის ქართული დახვეწილია, ხატოვანი და ზედმიწევნით ზუსტია.

შესავალი წერილი, რედაქცია და შენიშვნები ეკუთვნის ჩვენს ცნობილ მწერალსა და მკვლევარს აკაკი ვაწერელის; ქართულ თარგმანს ამავე წიგნს ღრმა, მეცნიერულად მდიდარი აპარატი და მაღალი ერუდიციითა და გემოვნებით დაწერილი წინასიტყვაობა. ამ წინასიტყვაობაში ავტორი არკვევს დიუმას წიგნის ისტორიულ წყაროებს, ყოველმხრივ ახასიათებს მას, ხოლო შენიშვნებში თავს უყრის უამრავ ფაქტიურ მასალას, რომელიც უადვილებს მკითხველს ფრანგი მწერლის ნარკვევების ყველა წვილიმანის უკეთ გათვალისწინებას. საკმარისია მკითხველი გაეცნოს, მაგალითად, შენიშვნას მაქი-შურატის უკანასკნელი დღეების შესახებ (იხ. გვ. 482-485). რომ დარწმუნდეს: რედაქტორს დიდი მუშაობა ჩუბტარებია, რაა მკითხველისათვის ყოველ საკითხზე ამომწურავი წარმოსაგენა მიეცა.



ალ. კრისტინაშვილი

Handwritten signature and date: 15

Handwritten text at the bottom right corner: უყჩბრობის 1964



ჩარხვერი სიბიჭი

ახლა, როცა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა ტელევიზია და ყველასათვის ახლობელი და გასაგები გახდა იგი, ტელევიზიის შეფასებისას უკვე მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა არ გავეთვალისწინებინა ყველა ის თავისებურებანი, რომლებიც მას კინოფილმისაგან განასხვავებენ. ახალი ქართული ტელეფილმი — „სამი ღამე“, იდეურ შინაარსთან ერთად, ყურადღებას იპყრობს სწორედ იმ თავისებურებებით (სიუჟეტისა და მოქმედების ძუნწი განვითარება, მსხვილი და საშუალო პლანების სიხშირე, მასობრივი სცენებისა და რიტმიული მონტაჟის სიმცირე, დროისა და სივრცის მეტრი ერთიანობა), რომლებიც სრულმეტრაჟიანი კინოფილმისათვის შეიძლება მართლაც უფერული მოგვიჩვენებოდა. მაგრამ ამჯერად, ამ ოცდახუთწუთიან ტელეფილმს ისინი მკვეთრსა და ლაკონურს ხდიან. ყოველივე ეს კი ნათლად მეტყველებს ახალგაზრდა ავტორის მ. სოსელიას პროფესიულ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილმი მისი სადებიუტო ნაწარმოებია (იგივეა სცენარის ავტორი და ოპერატორიც). ფილმი საყურადღებოა იმითაც, რომ იგი ძირითადად სადებიუტო მასში მონაწილე ახალგაზრდა მსახიობებისთვისაა.

ამ ფილმს საფუძვლად დაედო ვ. სოსინის მოთხრობა „ხუთი ღამე“. დამდგმელი შეეცადა მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმის შესაფერისად დაეხვეწა მოთხრობის შინაარსი. ამ მიზნით ხუთი ღამის ნაცვლად სამ ღამეში წარმართა მოქმედება, რამაც კიდევ უფრო მკვეთრი და ლაკონური გახადა ფილმი. სიტუაციური დიალოგებისა და ფიზიკური მოქმედების სიძუნწის ხარჯზე გამდიდრდა მოქმედების შინაგანი დინამიკა, წინ წამოიწია ე. წ. უსიტყვო დიალოგების ფსიქოლოგიურმა მეტყველებამ და ამბავსაც სიღრმე მიენიჭა.

ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში, ფაშისტური სამსჯავროს წინაშე წარსდგა სიმართლისათვის მებრძოლი ტყვე — უშანგი თუხარელი. გერმანელი ოფიცერი — ბეკერი ყველაფერს აკეთებს თუხარელის ნებისყოფის გასატყვევად. იგი თავის ვეებერთელა გააფთრებულ ძაღლს — ლორდს მიუჩენს მთელი სამი ღამის განმავლობაში მშვიტ-მწყურვალ ტყვეს, რათა აიძულოს იგი გასცეს ამხანაგები, რომლებმაც გერმანელ ფაშისტებს არ მისცეს საშუალება ელსადგური გამოეყენებინათ თავიანთი ბოროტი

ზრახვებისათვის, მაგრამ ტყვე იმარჯვებს თავისი უდრეკი ნებისყოფით. გააფთრებულ ძაღლი, რომელსაც ადრე არა ერთი ტყვე დაუგლეჯია, დათრგუნა და დაიმორჩილა ტყვის გაუტყველმა სიძლიერემ, ნებისყოფამ. პირუტყვი დაიქანცა და, ბოლოს, ფეხებქვეშ გაეგო მშვიტ-მწყურვალ ტყვეს — და ამ სამი ღამის ექსპერიმენტის შემდეგ ბეკერი მოულოდნელად წამოადგა თავზე ერთად ჩაძინებულ ძაღლსა და ტყვეს. განრისხებული ოფიცერი იძულებულია საკანში დაბრუნდეს ტყვე, და, ამავ დროს, საკუთარი ხელით ჰკლავს ძაღლს.

ფილმი საყურადღებოა არა მარტო დადგმისა და გადაღების თვალსაზრისით, არამედ ახალგაზრდა მსახიობთა შესრულების მხრივაც: როგორც ავღნიშნეთ, მათ ფიზიკური მოქმედებისათვის არ გააჩნიათ ფართო ასპარეზი. თითქმის მთელი მოქმედება წარმოებს ერთ პატარა ოთახში, და ამ კამერულ სიტუაციაში, თუ მსახიობთა შინაგანი ფსიქოლოგიური სიმართლე არა, აშკარა იქნებოდა მოსაწყენი ხელოვნურობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობი გ. სისხარულიძე — უშანგი თუხარელის როლში. მან გვიჩვენა ადამიანის სულის სიძლიერე. ეს ჩანს მსახიობის გამომეტყველებაში მაშინაც კი, როცა იგი ფიზიკურად დაქანცული, შეძრწუნებული შესცქერის გააფთრებულ ძაღლს, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ეძლევა. კარგია გერმანელი ჯარისკაცის როლში ე. ჭელბაქიანი და უნტერ-ოფიცერის როლში ლ. ანთაძე.

ძალზე საინტერესოა გერმანელი ოფიცერის — ბეკერის სახე, რომელსაც მ. ყვანია ასრულებს. მსახიობმა თავისი თამაშით აშხილა რასისტის უხამსი შინაგანი სამყარო. მოთხრობისაგან განსხვავებით, ფილმში გაცილებით მოიგო ფინალმა. მოთხრობაში ტყვე საკანში ბრუნდება და შემდეგ იგებს, რომ ბეკერმა თავისი ძაღლი სხვას მოაკლვინა. ფილმში ჩვენ ვხედავთ, რომ გამარჯვებული ტყვე მიდის საკანში, ისმის ბეკერის რვეოლვერის ხმა და მომაკვდავი ძაღლის წკმუტუნის. მსხვილ პლანზე სისხარულიძე-თუხარელის მეტყველი სახეა წარმოდგენილი, რომელსაც გული დასწყდა რვეოლვერისა და მომაკვდავი ძაღლის ხმაზე. მაგრამ მას მაქვს ამხანაგებთან დიდი გამარჯვების ამბავი.

გივი ბარამიძე



ჩარხვერი სიბიჭი


ღამეა. ქალაქს სძინავს. შემოდგომის სქელი, შავი ღრუბლები მოიზღაზრებენ ქალაქის თავზე. ოთახში თბილა. მაგიდაზე გურამი წახრილა და რაღაცას ხაზავს, დიდი ხანი არ არის, რაც ის სამუშაოდან დაბრუნდა, საჩქაროდ ივანეშა და არც დაუსვენია, ისე ჩაუჭდა ნახაზებს. დასვენებას მერცე მოასწრებს, ზეგ ინსტიტუტში უნდა წაიღოს ნახაზები. დრო კი საამისოდ არც ისე მოხალვათი უბიჭვია.

ტელეფონმა დაიწკარუნა. დაცდილი აქვს, თუ ახე გვინ ურეკავენ, სადაც კარგად არ უნდა იყოს საქმე. არც ახლა უმტყუნა გუმანმა. სადაც ტელეფონის კაბელი დაზიანებულია და ბიჭები შველას ითხოვენ. უინდლავდა. ბარნოვის ქუჩის შუაგული გადათბილი იყო. ქუჩაში ექსკავატორი იდგა და დაბლა დაეღუნა ხორთუმი. იქვე ბიჭები ფუსფუსებდნენ. ზოგს მუხლებამდე აეკაპიწებინა შარვალი, წყლით სავსე თხრილში ჩასულყო და ერთი ვაივალახით ეწეოდა რკინა-ბეტონის მილს.

— რა იყო, უმაწვილებო, რა მოხდა? — იკითხა გურამმა.

— რა და, ჯანდაბა ამის თავს — შეუტურთხეს ბიჭებმა ექსკავატორს, — ტელეფონის კაბელი დაზიანდა, ოთახის ნომერია მწყობრიდან გამოსული. თანაც წყალხადენის მილიც გაგლიჯა ამ ოხერმა, ლამის მოგვეყენოს ფეხები!

ოთახის ნომერის ვინ იცის ახლავის რა უტირის, ვის რაგორ სჭირდება ტელეფონი გურამს აღარ დაუსვენებია, ახა დაუტურთხაღდეთ ჩვენი მუხარადა, შეუძახა ბიჭები და თვითონაც წყლით სავსე ორმოში ჩახტა. წყალს, როგორც იქნა, გეზი უცვალეს. კაბელი დაზიანებულ ადგილას გადაჭრეს და გათენებამდე გათოში-



ლი თითებით აბამდნენ ხაზებს. გათენებისას დაბრუნდა შინ გურამი, დაბრუნდა და ისევ ნახაზებს მიუჭდა, დრო არ ითმენდა.


ვინ იცის, რამდენჯერ შერჩენია აი ასე, გათენებამდე, დარბი თუ ავღარ-ში დაზიანებულ ხაზებს ორგანიზაციის რაიონის სატელეფონო ქსელის უბნის უფროსი გურამ ზაქარაშვილი, რომ ჩვენს ბინებში შეუფერხებლად ეწკარიალათ ტელეფონებს.

ტელეფონი და კავშირგაბმულობა თავიდანვე სასიცოცხლო საქმედ იქცა ამ შვეკვრემანი, შავთვალწარბა ქაბუკისათვის. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქარხანა „ეილექტროგამშვებში“ მივიდა და ორი წლის განმავლობაში ელექტროგამშვებისა და რელეს დეტალებს ჩააპირკიტებდა. მერე კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტშიც შევიდა და მუშაობაც ამ არჩეული პროფესიის მიხედვით განაგრძო.

ჭერ თბილისის სატელეფონო ქსელის სარემონტო ბრიგადაში მუშაობდა შემკრებელ-მონტიორად, მერე ერთ-ერთ მიკრორაიონში — ზედამხედველად, ახლა კი მთელი უბნის უფროსია. ბრიგადაში ოცდახუთი კაცი ჰყავს და ისიც რა ბიჭები! ისე იციან თავიანთი საქმე, თავიც რომ გამოიღოთ, წუნს ვერაფერში დასდებთ. ხშირად არც კი ეკითხებიან გურამს, ისე შეაკეთებენ ხოლმე ათეულ მეტრზე დაზიანებულ კაბელს.

ამას წინათ ხომ პირდაპირ ვააოცეს საქალაქო ქსელის ხელმძღვანელობა. თავი მოიკლეს და წყნეთთან დაკავშირებული საჰაერო სატელეფონო ხაზები სულ მოკლე დროში მიწისქვეშა კაბელით შეცვალეს. ჰოდა, ახა, მადლობის მეტი რაღა ეთქმოდათ უფროსებს!

ივოლდა ბერაძე



„დროშის“ პრიზიორი

15 ნომებრის სპორტის სახახლე-ში თავიანთი გამოსვლები დამთავრეს სსრ კავშირის უძლიერესმა მოციგურავეებმა. ორი დღის განმავლობაში უჩვენებდნენ ისინი თავიანთ ოსტატობას თბილისის მაცურებლებს. რესპუბლიკურმა და საქალაქო უფროს-გაზეთებმა დააწესეს სპეციალური პრიზები ასპარეზოებაში გამარჯვებულთათვის.

უფროს „დროშის“ პრიზი მიენიჭა ნიჭიერ ლენინგრადელ მოციგურავეს ვ. შევლიაკოვს, რომელმაც მაცურებელთა ტაშის გრილში რამდენჯერმე გაიშორა თავისი ნომერი.

სურათზე: უფროს „დროშის“ პრიზიორი ვ. შევლიაკოვი.

შოთა იამანიძე ძალიან კარგად თამაშობს „კედელს“, რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვე ფეხბურთისათვის.

თბილისელთა კაპიტანს შეუძლია ბურთი დიდხანს ატაროს. შემთხვევითი როდია, რომ როცა ჩვენი მეკარეები ბურთს მიიღებენ, იმავე წუთში მოედანზე იამანიძეს დაედებენ. შოთას უნარი შესწევს ბურთი დიდხანს „დაიჭიროს“, საკუთარ საჭარბო მოედანთან შექმნილი მძიმე მდგომარეობა განმუხტოს და დამცველთა მოსაზრებლებად უკანდახეულ თავდასხმელებს თავისი პოზიციების დაკავების საშუალება მისცეს.

1962 წელს იყო „კიევი“ შოთა იამანიძემ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა და ფეხი იტყინა. რამდენიმე დღის შემდეგ კი თბილისის „დინამოელებს“ ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მატჩი ჰქონდათ კიეველ თანაკლუბელებთან. შოთა იამანიძე იმულებული გახდა მოედანზე არ გამოსულიყო.

თამაში თავიდანვე კიეველების იერიშით დაიწყო. პირველი წუთებიდანვე მოედნის ცენტრი კიეველებმა დაიპყრეს და ერთმანეთისგან გათიშეს თბილისელი მცველები და თავდასხმელები. უკრაინელი ფეხბურთელები თითქმის მთელი ორი ტაიმის განმავლობაში უტყვევდნენ, თუ ანგარიში მხოლოდ 1:0 იყო კიეველთა სასარგებლოდ, ამას გვიჩოხებდა უნდა ვუშვამოდოდო. მე ბევრჯერ მიწახავა გვიჩოხებდა ჩინებულთა თამაში, თბილისშიც და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც, მაგრამ იმ დღეს ალტაცებას ვეღარ ვშალავდი. სამწუხაროდ მცველების მიერ მოგერიებული ბურთი თავდასხმელებამდე ვეღარ აღწევდა. არ იყო ნახევარმცველი, რომელიც ბურთს რამდენიმე სეკუნდით მაინც დაიჭერდა და მოედნის ცენტრს ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნებდა. მოგერიებულ ბურთებს კიეველები

ლზე შორიდან მოატყუოს. შოთას ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად გამოუდის რთული ტექნიკური ილეთები, რომ ერთი შეხედვით მისი შესრულება კაცს შეიძლება ძალზე იოლიც მოეჩვენოს.

თბილისელ გულშემატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ ერთი ულამაზესი ეპიზოდი. შვეიციის მსოფლიო ჩემპიონატი ახალი დამთავრებული იყო. კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი იური ვოინოვი, რომელიც შვეიციაში საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა, ფეხბურთის სპეციალისტებმა და უურნალობებმა მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს. და აი, შვეიციის ჩემპიონატის დიდების შემდეგ იური ვოინოვი თბილისელებმა კვლავ იხილეს საკუთარ მოედანზე. აჩვერად იგი თავისი კლუბის — კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში გამოდიოდა. თბილისელთა რომელიღაც მცველმა ბურთი მოწინააღმდეგის საჭარბო მოედანზე ჩაიკადა. ვოინოვი ახტა და ბურთი თავით აკენწწლა. იგი უკვე მესამედ აპირებდა ბურთის აკენწწლას, როცა იამანიძე წინ ჩაუდგა, უფრო ძალიან ახტა, ვოინოვს ასაკენწწლა ბურთი თავით წაართვა და ბურთთან ერთად მიწაზე რბილად დაეშვა. მერე ბურთი მეკარეზე ჩაიგორა; იგი ამ დროს ვოინოვისაკენ ზურგით იდგა. შოთას ბურთი მიწაზე არ დაუშვია, მოულოდნელად მან ბურთი ვოინოვს პირუკუ თავზე გადაუდგო, თვითონ სწრაფად შეტრიალდა, კიეველთა კაპიტანს მარჯვნიდან მხარი აუარა, წინ გახსნილი იყო... ვოინოვს ისე დაჩინოვდა, ორთავე ხელი მოწინააღმდეგისათვის ტრუსში წაეგლო. მსაჯმა სასტყენი არ დაავიანა და ხელი თერთმეტმეტრიანი საჭარბოს წერტილისაკენ გაიშვირა. შოთა



მომავალი კაპიტნები.
ფოტო გ. გოგობიასი.

გურამ შანაჩიძე

ისევ თბილისელთა საჭარბო მოედნისაკენ გზავნიდნენ.

მატჩის დამთავრებას თხუთმეტი წუთი უკვლად როცა დავინახე, რომ შოთა იამანიძემ ტანაცმელი გაიხადა. თბილისელთა კაპიტანი მოედანზე გამოვიდა. იგი ოდნავ კოჭლობდა, მაგრამ გამოსვლისთანავე შეუტია მოწინააღმდეგის კარს. მან რამდენიმე სახიფათო რეიდი განახორციელა, რითაც კიეველი ნახევარმცველები იმულებული გახდნენ უკან დახეულიყვნენ. ამოიხსნა თბილისელთა მცველებმა და მოედნის ცენტრს წელ-წელა დაეპატრონენ. მცველებს და თავდასხმელებს შორის სიცალიერე თანდათან ამოივსო. თბილისელებმა იერიში გააძლიერეს. სულ მალე შეტევა ისევ შოთა იამანიძე. მოატყუა ორი მცველი და ბურთი კალოეს მიაწოდა. თბილისელთა ცენტრალურმა თავდასხმელებმა ანგარიში გაათანაბრა.

კიდევ ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: 1961 წელს ლენინგრადში დავესწარი თბილისის „დინამოელებს“ შეხვედრას ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. მაშინ გუნდს ავთანდილ ლოლობერიძე წვრთნიდა.

მატჩს ესწრებოდა მიხეილ იაკუშინიც. თამაშის წინ მან თბილისის დინამოელებს უთხრა:

— დღეს მოედანზე იქნება იამანიძე-მოროზოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვებს ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის გუნდი.

თამაში დაიწყო და ყველამ იგრძნო, რომ შოთა იამანიძის შეკავება არავის შეეძლო. იგი თამაშობდა ყველაფერ — ცენტრში, ფრთებზე, კართან. ერთ-ერთი იერიშის დროს მან მეტად რთული მდგომარეობიდან ულამაზესი ტექნიკური დარტყმით ბურთი ლენინგრადელთა კარის ბადეში გაავსო.

მსაჯის საფინალო სასტყენის შემდეგ, როცა ფეხბურთელებმა მოედანი დატოვეს, ანგარიში უკვე 3:0 იყო თბილისელთა სასარგებლოდ.

შოთა იამანიძის დარტყმები არ გამოირჩევა დიდი სიმძლიერით. მაგრამ მათ არ აკლია სიზუსტე და ოსტატობა. თბილისელთა კაპიტანი კარგად ხმარობს ორივე ფეხს. როცა შოთა ბურთს მიიღებს და იწყებს თავის ცნობილ რეიდს, გამოუდელი თვლილიც კი კარგად შეატყუებს, თუ არ ოსტატური დრიბლინგით მიიკვლევს გზას მოწინააღმდეგის კარისაკენ. თბილისელთა კაპიტანისათვის დამახასიათებელია ერთი რამ, რითაც ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვებინს: მას უნარი შესწევს მოწინააღმდეგე ძა-

იამანიძის უდრდესი ოსტატობით მოხიბლული გულშემატკივრების ტაშმა სტადიონის ტრიბუნები შეაწაწაწა.

შოთა იამანიძეს ერთ დროს უხაყვედურებდნენ, თითქოს მან ჩვენი შესანიშნავ ფეხბურთელთან, მიხეილ მესხთან ვერ გამოიხაზა საერთო ენა. ეს საყვედური მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მიხეილ მესხის გვერდით მე მიწახავა შესანიშნავი ფეხბურთელები — ლოლობერიძე, ბუბუკინი, აშბარცუმიანი, ბატანოვი და ივანოვი. მაგრამ არც ერთი ისე შეთამაშებული არ არის მესხთან, როგორც შოთა იამანიძე. აი, რას წერდა მოსკოვის ვ. ი. დენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრესბიურო: „არავის არ შეუძლია მესხთან თამაშში შეცვალოს თბილისელთა კაპიტანი. იამანიძე-მესხი — ეს არის საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო დუეტი. გარდა ამისა, იამანიძე როგორც ბრწყინვალე დრიბლიორი, თბილისელთა თამაშს თვითონ აძლევს განუმეორებელ კოლორიტს.“

შოთა იამანიძის თამაშს ძალზე მაღალი შეფასება მისცეს ფრანგულმა ვაჟთებმა „ეკიპაჟი“, „ორორმა“, „ლიბერასიონმა“. ინგლისურმა სპორტულმა პრესამ მესხი, იამანიძე და კოტრიკაძე მსოფლიო კლასის ფეხბურთელებად აღიარა.

თბილისელ გულშემატკივრებს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ ულამაზესი ეპიზოდებით აღსავსე მატჩი ბრაზილიის „ბაიასთან“. ქართველმა ფეხბურთელებმა ამ ორთაბრძოლაში ბრაზილიელთა კარში ოთხი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს. ძალზე დამახასიათებელი და საინტერესოა „ბაიას“ მწვრთნელის კ. ვოლანტეს ინტერვიუ, რომელიც მან თამაშის შემდეგ მისცა ჩვენი გაზეთების კორესპონდენტებს: „ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ „მშრალი“ ანგარიშით წაგება მეტად არასასიამოვნოა. მე თანავუგრძნობ „ბაიას“ თავდასხმელებს, რადგან ძნელია გაიტანო ბურთი კარში, რომელსაც იცავს შესანიშნავი მეკარე სერგო კოტრიკაძე. თბილისელთა დაცვის ხაზიდან ყველაზე უფრო მომეწონა შოთა იამანიძე, ხოლო თავდასხმედან, რა თქმა უნდა მესხი. თბილისელთა მარცხენა გარემარბი უდავოდ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელია და შეიძლება თამაშად დაჯერდეთ ბრაზილიის საუკეთესო თავდასხმელებს გვერდით. თუმცა მეტის თქმაც შეიძლება. თბილისის „დინამოს“ წარმატებით შეუძლია ებრძოდეს ფეხბურთის საუკეთესო გუნდებს. მე აქ არ მინდა ლაპარაკი ჩამოვადგო ბრაზილიის დიდ გუნდზე, რომელმაც 1958 წელს

მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, რადგან ამგვარი შედარება შესაძლოა მეტად შემთხვევითად მოგვეჩვენოს, თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთს არ უყვარს დროისა და სივრცის ასეთ დაშორებულ მონაკვეთზე მკითხაობა. მაგრამ დაბეჭითებით შემოძლია გავიმეორო, რომ „დინამოს“ თავისი ტექნიკური და ტაქტიკური არსენალით, ამ ორი მომენტის შერწყმით შეუძლია თანაბარ ბრძოლებში ჩაებას სველად საუკეთესო საკლუბო გუნდებთანაც იყო.

ბრაზილიელი მწვრთნელის სიტყვების კარგად, ფეხბურთს არ უყვარს ასეთი შორული პარალელები და შედარებები, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა დროს დაუმარცხებია პოლონეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები, მსოფლიოში უძლიერესად აღიარებული საკლუბო კოლექტივები: „შეფილდ უენსდეი“, „რეისი“, „რენინგი“, „აუსტრია“, „ნიმი“, ინგლისის უძლიერესმა საფეხბურთო კლუბმა „გულფერმპტონ უონდერერსმა“, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე საკუთარ მოედანზე უცხოეთის გუნდებთან მხოლოდ ერთხელ იწვინა წაგების სიმწარე (ესპანეთის „ბარსელონასთან“), მარტო უკანასკნელ წუთებზე გაქვითა ანგარიში და გადავიტარა დამარცხებას.

1964 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე თუ მეოთხე მატჩი ტარდებოდა. თბილისის „დინამოს“ სხვადასხვა გორკის „ვოლგას“. სტადიონის ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი. თამაშის დაწყების წინ დიქტორმა მაცურებლებს აუწყა, რომ თბილისის „დინამოს“ კაპიტანი შოთა იამანიძე ატარებდა მეორასე მატჩს საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

მაცურებლებმა მქუხარე ტაშით აღნიშნეს ეს თავისებური იუბილე. ტრიბუნებზე მისასაღმებელი ტაშით ჯერ კიდევ არ იყო მიმცხრალი, რომ მესხის ჩამოწოდებულ ბურთი შოთა იამანიძემ ულამაზესი თავური დარტყმით მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაავსო.

შოთა იამანიძე ჯერ ახალგაზრდაა. მის მუხლებს ძალა და ენერჯია არ შემოკლებია. მას წინ ბევრი წარმატება და დამაბული ეპიზოდებით აღსავსე ბრძოლები აქვს გადასატანი.

* დასასრული. იხ. „დროშა“ № 11.

საქ. შპს გ. შანაჩიძის
საბ. წიგნბეჭ.
საბ. წიგნბეჭ.
საბ. წიგნბეჭ.

„შავი არწივი“

ლეოპოლდოვის აეროდრომზე ამერიკული თვითმფრინავი დაეშვა. მგზავრთა შორის ყურადღებას იპყრობდა მაღალი, საფეთქლებზევეცხლილი კაცი, რომლის კეზიანი ცხვირი და ნაცრისფერი თვალები რაღაც მტაცებელურ იერს აძლევდა მის მზემოკიდებულ, ნაყვავილად სახეს.

მგზავრს მაშინვე გარს შემოეხვივნენ შურნალისტები. შურნალ „ტაიმის“ კორესპონდენტი კი ძველი მეგობარივით მიესალმა მას.

— ბელლო, ჭულიანი კეთილი იყოს შენი მოზრძანება კონგოში!

დაიბ, ეს გახლდათ ჰუმბერტ ფონტლერიო ჭულიანი, ევროპაში, ლათინურ ამერიკაში და აფრიკაში იარაღით მოვაჭრეთა შორის კარგად ცნობილი კონტრაბანდისტი, მეტ სახელად „შავი არწივი“. იგი მს წლისაა, შეერთებული შტატების მოქალაქეა და ამერიკის სამხედრო-სამხედრო ძალების ყოფილი პოლკოვნიკი. სწორედ იგი ამარაგებდა აღწერა იარაღით „კატანგის რესპუბლიკის“ თვითმარქვია პრეზიდენტის ჩომბეს დაქირავებულებს, რისთვისაც 1962 წელს გაგდებულ იქნა კონგოდან.

ახლა ჩომბე კონგოს პრემიერ-მინისტრია, და „შავი არწივი“ ისევ ჩამოვიდა კონგოში.

— რა მიზნით ჩამოხვედი? არის თუ არა თქვენი სტუმრობა რაიმე სამხედრო ან პოლიტიკური ნაბიჯი?—სული დაღლიათ ცნობისმოყვარეობისაგან უხრწალისტებს.

— მე აქ ჩამოვედი იმიტომ, —დაამტინავად მოწყურა თვალები ჭულიანმა, — რომ ჩემი ძველი მეგობრის მოიხ ჩომბესათვის ჩამოეტანა ჩემი ცოლის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი — ბუმბულის ბალიშების მთელი კომპლექტი, რომელთაგან თვითელი 75 დოლარი ღირს. ჩემს მეუღლეს არ სურს, რომ ჩომბე ისეთსავე ბალიშებზე იძინებდეს, როგორც ვეღაც თავი ეღო უოფილ პრემიერ-მინისტრს ადულას.

შურნალისტები გამალებით იწერდნენ მის სიტყვებს და თან მრავალმნიშვნელოვნად იდიმებოდნენ. ან როგორ არ უნდა გაეღიმიათ, როცა იგავი ბალიშების შესახებ მოგონილი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე დედას რაღაც ამ ვიზიტის კომპლექტი მიზანი. „შავ არწივის“ ჩომბესათვის უნდა გადაეცა შევიცარული ბანკების დანაბარები იმის თაობაზე, რომ ისინი მზად არიან სესხად მისცენ მას ხუთასი მილიონი დოლარი.

როგორც მერე გამოიკვია, ამ ფინანსურმა „უანგბადის ბალიშმა“ სულზე მიუსწრო კონგოს ახლად გამოცხვარ პრემიერ-მინისტრს, რომელიც ქვეყნის პატრიოტთა ძალების შეტევას გამო ერთობ საველლო მდგომარეობაში იყო.

— ახლა იმედი მაქვს, —თქვა დასასრულს ჰუმბერტ ჭულიანმა, — რომ ცივილიზებული მსოფლიო კმაყოფილი დარჩება ბატონ ჩომბეს ენერჯით და ამ ბედურულ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს სიმშვიდე და თანხმობა დაისადგურებს.

„შავი არწივი“, როგორც ყოველთვის, ახლაც თაღლითობდა. მან არაფერი უთხრა პრესის წარმომადგენლებს თანამედროვე საომარი იარაღის იმ დიდი პარტიის შესახებ, რომელიც მან თან ჩამოიტანა ჩომბესათვის. ჭულიანს არ დალატობდა იუმორის გრძნობა. ასეთ რამეზე აქ საერთოდ არ ლაპარაკობენ. ეს თავისთავად იკვლავსება. ბოლოს და ბოლოს ის, თუ რა საშუალებით იქნება მიღწეული „სიმშვიდე და თანხმობა“, წერილობრივ მთავარი ის არის, თუ როგორ გამოიყენებს ჩომბე ამ ფულსა და იარაღს.

ოპერაცია „ჩომბე“

ქ. სოლბერის (როდენია) გარეუბან მტფილდში, ერთ პატარა სახლში, კბილის ექიმის მისაღები ოთახის ვეერდით რაღაც კაცებლარის მაგვარი რამ არის მოწყობილი. აქ ჭკუფ-ჭკუფად ან თითოთითოდ მოდიან ყველა ჭურის ნაძირალები, ცხოვრებასა და სინდისზე ხელჩაქნიული თერაპიანაებით და რიგში ჩამდგარნი, ერთი-მეორის მიყოლებით უახლოვდებიან მაგდასთან მჭდომ პატარა ტანის, უღვაშებდაწყებულ კაცს. ჩომბეს ოფიციალურ აგენტ-დამპირავებელს ალასტერ უქსს თვალები უთამაშებს, არაშაადები უფრო მეტი აღმოჩნდნენ. ვიდრე მას ეგონა. ისინი ბლომად მოდიან მასთან, მოდიან, რათა გააქირაონ თავიანთი სიცოცხლე თავისუფლებისმოყვარე კონგოელი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აი, ერთი მათგანი, რომერტ კინი, წარმოშობით

ამერიკელი, მაღალი, სახედსახიჩრებელი კაცი. რომელსაც უბრძოლია ფიდელ კასტროს წინააღმდეგაც, მაღააშიც, სახმრთ ამერიკაშიც, კატანგაშიც. უქსი ადფრთოვანებით შესცქერის მას. „ნამდვილი ყაჩაღია“, —სიამოვნებით ფიქრობს იგი და ამერიკელს ცუდლუტურად უყრავს თვალს.

— ო, კეი, ჩვენ სწორედ თქვენსთანა ადამიანები გვჭირდება. კონგო არ დაიჭივებს თქვენს სამსახურს!

— მე ფული მაინტერესებს და არა თქვენი ჭირიანი კონგო—ზანტად იპურჭყება კინი და თავის ბატიფებურს ქაღალდზე სვამს. კონტრაქტი დაიდო. ამერიკიდან იგი ჩომბეს დაქირავებულია. თვეში 125 გირვანქა სტერლინგამდე ექნება. ამის საფასურად მან უმოწყალოდ უნდა ულიტოს კონგოს მშვიდობიანი მცხოვრებნი, ცეცხლი წაყოფილოს სოფლებს, სისხლში ჩაახრჩოს პატრიოტთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ახეთსავე კონტრაქტს სდებს დანელ ლენდლოუცი, 37 წლის შოტლანდიელი. მან იმიტომ გაუიდა სინდისი, რომ სამუშაო ვერ იპოვა როდენიაში. ხელს აწერს 27 წლის ფილიპ ვან რიენიც. ადრე იგი კატანგაში მეთაურობდა მასაუთ თავზეხელაღებულითა ბანდას და ეს, როგორც თვითონ ამბობს, ძალიან მოსწონდა მას.

ასობით ასეთ ყაჩაღს, როდენიის გარდა, ქირაობენ სამხრეთ აფრიკის კავშირისა და სხვა ქვეყნების მრავალ ქალაქში. მოიხ ჩომბე კმაყოფილი იფუნტებს ხელებს. ამ „აფრიკელ ჰიტლერს“, როგორც უწოდებენ მას მეზობელ ქვეყნებში, გული მიეცა. „შავი არწივის“ მსგავსი მეგობრებისა და მათ ზურგს ამოფარებული ამერიკულ-ბელგიური კონცერნების დახმარებით იგი ჭკუაზე მოიქვანს მოწინააღმდეგეებს. ტყუილად კი არ დახვეს პრემიერ-მინისტრად. ამერიკელებმა იციან, რასაც აკეთებენ. იგი, გუშინდელი ეშმაკი, დღეს ნამდვილ ანგელოზად იქცა მათთვის. სწორედ ამერიკამ ამოგრა პანდური ჩომბეს, როცა ის კონგოსაგან კატანგის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოუფავს ცდილობდა. შეერთებულ შტატებს, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ბელგიელთა დაუძლურებულ ხელნებლად კონგო მათ ქისაში ჩავარდებოდა, ეშმიოდნენ, ვაი თუ ჩომბეს დახმარებით ყველაზე განვითარებული და მდიდარი პროვინცია კატანგა ინგლისელებმა იგდონ ხელში. ეს საშურსობა ამერიკელებმა აღმოფხვრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების მეშვეობით. მაგრამ ახლა მძღვარმა სახალხო აჯანყებამ ისინი მთელი კონგოს დაქარავის საფრთხის წინაშე დააყენა. და თუ წინათ ჩომბე ცდილობდა „ეხსნა“ კატანგა ინგლისელებისა და ბელგიელებისათვის, ახლა მოწოდებულია „იხსნას“ მთელი კონგო კონგოელი ხალხისაგან არა მარტო ბელგიური კაპიტალიზატის, არამედ ამერიკული მონოპოლიებისთვისაც, რომელთა პოლიტიკები კონგოში საგრძნობლად განმტკიცდა. სხვათა შორის, ადრე ამერიკელები იმასაც უსაყვედურებდნენ ჩომბეს, რომ იგი თავისი უანდარმერიისათვის თერაკიანად დაქირავებულებს კრებდა. ახლა კი, როცა კონგოელი პატრიოტების ბრძოლამ ასეთი ფართო მასშტაბები მიიღო, ვაშინგტონი დაქირავებულების შესახებ არა მარტო სდუმს, არამედ საჩუქარად მრავალმილიონიანი დოლარის „ბალიშებსაც“ კი უგზავნის მას.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ძია სემის დახმარება „აფრიკელი ჰიტლერისადმი“. შეერთებული შტატები ჩომბეს უგზავნიან სატრანსპორტო თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, რეაქტიულ ბომბდამფრენებს, „ჭიბებს“, სატვირთო მანქანებს, ტანკებს, ტყვიამფრევეებს, ნაღმსატყორცებს და მრავალ სხვა უახლეს თანამედროვე იარაღს. ჩომბეს არმიას ასამდე ამერიკელი ოფიცერი და მრჩეველი უწევს კონსულტაციას საშტაბო სამსახურის, პარტიზანული ომისა და სამხედრო-სადენანტო ოპერაციების წარმოების საკითხებში. იწვის კონგოს მშვიდობიანი სოფლები. „ოპერაცია ჩომბე“ გრძელდება.

გუგუნიან ტამბამები

მრავალტანჯული კონგო უკვე მეოთხე წელია სისხლისაგან იცლება ამერიკული, ბელგიელი და ინგლისელი მტაცებელთა ხელში; მაგრამ კონგოელმა ხალხმა, რომელსაც კარგად ახსოვს თავისი ეროვნული გმირის—პატრის ლუმუმბას ანდერძი, გუგუნიანი გამოუცხადა ომი უფუფუფობასა და ძალმომრეობას. კივუს, კვილუს, ჩრდილოეთ კატანგის,



მანემას და სხვა პროვინციებში დანთებული სახალხო გამათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი ეღვის სისწრაფით მოედო მთელს ქვეყანას. ტროპიკულ ტყეებში განგაში დასცეს ვეება დოლდებმა—ტამბამებმა და პატრიოტებს ბრძოლისაკენ მოუწოდეს.




სულ მოკლე ხანში პატრიოტებმა გასტონ სუმბილოს, ნიკოლას ოლინგასა და სხვა მეთაურთა წინამძღოლობით ზედიზედ დაამარცხეს ლეოპოლდოვის მარიონეტული მთავრობის ჯარები და გაანთავისუფლეს მრავალი ქალაქი და სოფელი, მათ შორის დიდი სტრატეგიული და აღმინისტრაციული ცენტრი ჩრდილოეთ კონგოში—სტენლივილი. მათ ხელში აღმოჩნდა ტერიტორია, რომელიც სიდიდით ბელგიას არ ჩამოუვარდება. განთავისუფლებულ რაიონებში მშვიდობიანი ცხოვრება მკვიდრდება. იქ მოქმედობს სახალხო აღმინისტრაცია, რომელიც კონტროლს უწევს სკოლების მუშაობას და სურსათით ამარაგებს მოსახლეობას.

სახალხო რევოლუციური არმიის ნაწილებს ხელში უვარდებთ დიდძალი იარაღი და მედიკამენტები. ასოშიეიტედ პრესის ლეოპოლდოვილი კორესპონდენტი იტყობინებოდა: „თანამედროვე იარაღით მებაზობთა აღჭურვის ძირითად წყაროს წარმოადგენს კონგოს არმიის განადგურებული ნაწილები“. ამ ნაწილების მორალური მდგომარეობის შესახებ კი იგივე კორესპონდენტი აღნიშნავდა, რომ „სწორად საკმარისია აჯანყებულების მხოლოდ დანახვა, რომ რეგულარული ჯარი გაიქცეს“. ბენტაგონისა და შეერთებული შტატების მონოპოლიტური წრეების რუმორი უთრწანა „იუნაიტედი სტეს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ იძულებული იყო გულსტკივილით აღენიშნა, რომ „ჩრდილოეთ კატანგაში ბალუბას ტომის ტანხობატულმა მეომრებმა, რომლებიც პირველყოფილი იარაღით არიან აღჭურვილნი, ორჯერ წაართვეს ქალბერტული კონგოს არმიის კბილებამდე შეიარაღებულ 900 ჯარისკაცს, რომლებმაც ორჯერვე თოფის გაუბროლილად მოკურცხლეს“.

სახალხო რევოლუციური არმიის ასეთმა წარმატებებმა არა მარტო ლეოპოლდოვილი გამოიწვია პანიკა, არამედ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის დედაქალაქებშიც. ლეოპოლდოვილი თვითონ აღმოჩნდა პატრიოტთა უშუალო შეტევის საფრთხის წინაშე. და აი, სწორედ მაშინ იყო, რომ დასავლეთის მონოპოლიებმა კატანგადან გამოპანლურებული მოიხ ჩომბე მოძებნეს და კონგოს პრემიერ-მინისტრის პოსტს შესთავაზეს. ახლა ჩომბე ტყვიადან ძვრება, რომ როგორმე გაამართლოს თავის ოკეანისგამდელ პატრონთა იმედები. მათგან ნახოდი ფულთი იგი ქირაობს ყველა ჭურის ნაძირალებს, მათი თვითმფრინავებით ბომბებს უშენს საკუთარ ხალხს, მათი ტანკებით თელავს და მიწასთან ასწორებს მთელს სოფლებს. მაგრამ საუკუნეების მანძილზე გატანჯულ ხალხს, რომელმაც თავისუფლების მოსაპოვებლად ხელში იარაღი აიღო, უკვე ელარავითარი ძალა და წამება ვეღარ გადაახვევინებს ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ გზადან.



პირველი... კვლავ მონადირე

მდითგანვე ცნობილია, რომ ადამიანი კლავს კურდღელს, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ საფრანგეთში, ხომის დეპარტამენტში გამოჩნდა გულადი უურცკვიტა, რომელიც შეეცადა ეს ან-ბანური ჭეშმარიტება დაერღვია.



სიკვრილი მოლაღაჯებას

ვოლ.ქმარის გაყრის დროს ამერიკის სასამართლო თითქმის ყოველთვის ავალდებულებს ქმარს, რომ ალიმენტი გადაუხადოს ყოფილ ცოლს. თუ ქმარს ფულის გადახდის საშუალება არა აქვს, ცოლის მოთხოვნით მას აპატიმრებენ და ციხეში სვავენ.



სიყვარული და... მარხვევი

აჩქარევი საქორწინო კავშირი უმეტეს შემთხვევაში მალევე ირღვევა, მაგრამ ხანმოკლე ცოლ-ქმრული ცხოვრების მსოფლიო რეკორდი მაინც ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ კონსვილის მკვიდრებს — ჯონ დუნდისა და მის მეუღლეს, ბეტი ელზაშეიცს უნდა მივაკუთვნოთ.



...ახალგაზრდა ალბინისტების ჯგუფი ტიან-შანის მწვერვალზე აღიოდა. მოულოდნელად, როგორც ეს მთას სჩვევია, რუხი ღრუბლები ჩამოწვენი და ქუხილის ხმა გაისმა.


— შეჩერდით! — დაიძახა ერთმა ალბინისტმა და წინ მიმავალ მეგობრისაკენ გაიშვირა ხელი, — შეჩერდით-მეთქი! გურამს თმაზე ცეცხლი ეკიდება!.. — მე კი არა, შენ თვითონ გეკიდება თმაზე ცეცხლი!.. შეხედეთ, ბიჭებო, როგორ იესო ქრისტესავით დასდგომია თავზე შარავანდელი! — ნუგზარიც იწვის!.. — არიქა, თენგიზს უშველეთ!.. — ყველას ცეცხლი გვიკიდია, ბიჭებო!..

სასწაულიც კი შეიძლება მოხდეს, თუ ადამიანი სწორად იქნება. ალბინისტები გაოცებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ხატებს ხატავენ: თავზე „წმინდანის“ შარავანდელი ჰქონდათ შემომდგარი.

გარეკანის პირველ გვერდზე: მოციგურავე გოგონები. ფოტო ო. თურქიახი და ე. პესოვისა. მეოთხე გვერდზე: მზეო, ცოტაც მოიცადე. ფოტო თ. ფურცხვანიძისა. ჩანართის მეოთხე გვერდზე: მესხი გოგონა. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. | ო. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

